პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი. კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 6ა მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის ლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღ. მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პრ., № 34, ტელეფონი № 8 81

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები
საქართველოს ფურცლებზე— ტექსტის უკან 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 20 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება რამდენიმეჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9-3½ ს., 3½ ს. შემდეგ კი ხნ[illegible] ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 9 თებერვალი 1928 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 33 (2076)

დღიური

- მემარცხენე ფრთის წარმომადგენლების გამორიცხვა მუშათა პარტიიდან.
- 12 თებერვალს გაიხსნება ინდოეთის ნაციონალური კრება.
- აჯანყება მექსიკაში.—სამღვდელოება აწყობს თავდასხმებს ქალაქებზე.
- საფრანგეთის პრესა ამერიკასთან დადებულ საარბიტრაჟო ხელშეკრულების შესახებ.

დირექტივა შესრულებული უნდა იქნას

საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობის რეზოლიუციაში საკითხს ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. პარტია უკანასკნელ ყრილობამდეც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საბჭოთა აპარატის გამარტივება-გაჯანსაღების საკითხს. ამ მიზნით, სხვათა შორის, საკავშირო კომპარტიის ცკამ წარსული წლის ნოემბერში სპეციალური დადგენილებაც გამოიტანა.

როგორ ატარებენ ცხოვრებაში ადგილობრივი ორგანიზაციები ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოების მითითებებს? ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადჰყო, რომ პარტიულ ორგანიზაციებმა და უფრო მეტად ამ ორგანიზაციების ქვედა საფეხურებმა—უჯრედებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს აპარატის რაციონალიზაციის და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში. არის ერთგვარი მიღწევები. მაგრამ უნდა პირდაპირ ითქვას, რომ დირექტივა **საკმაოდ შესრულებული არაა.** ამას ცნობს თავის ცირკულიარულ წერილში ადგილობრივ ორგანიზაციებისადმი საკავშირო კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტი.

ზოგიერთი პარტიული კომიტეტი არ აქცევს სათანადო ყურადღებას უჯრედების მუშაობას აპარატის რაციონალიზაციის დარგში. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას სამაზრო პარტიულ ორგანიზაციებზე. ზოგგან არის ერთგვარი მავნე ტენდენცია, რომელიც ძირფესვიანად უნდა აღმოიფხვრას. ესაა ბიუროკრატიულ დამახინჯებათა უარყოფა საკუთარ დაწესებულებაში. ამიტომაა, რომ ხშირად ზემდგომ პარტორგანიზაციის მითითებით იმართება ადგილობრივ ორგანიზაციების საგანგებო თათბირები და კრებები ბიუროკრატიზმის საკითხის შესახებ, გამოაქვთ დადგენილებები და რეზოლიუციები ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. ხოლო დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებაზე ნაკლებ მზრუნველობას იჩენენ. არ ხდება დადგენილებათა შესრულების შემოწმება.

გარდა ამისა პარტიული და უპარტიო მასა ხშირად არაა საკმაოდ გაცნობილი პარტიის უმაღლეს დირექტივებს აპარატის გაუმჯობესების დარგში. სხვათა შორის აქედან გამომდინარეობს ის მავნე გარემოება, რომელსაც ხშირად ადგილი აქვს ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში მაგალითად. პარტორგანიზაციები მიაქცევენ დიდ ყურადღებას [illegible] აპარატის ტიპიური [illegible] და სათანადო მზრუნველობას ვერ იჩენენ აპარატის „სოციალური ნაწილის“ გა[illegible]. ამავე დროს აპარატის მარტო ტიპიური [illegible] მუშაობა სათანადო ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ ამასთან ერთად მიღებული არ იქნა ზომები [illegible] ბლად, ჩინოვნიკური მედიდურობის, ნათლიმამობის, „ლაქუცობის“, ქვეშევრდომობისა და სხვა მავნე მოვლენათა დასაძლევად.

საჭიროა ადგილობრივ ორგანიზაციებმა თავიანთი მუშაობა აპარატის გაუმჯობესების დარგში წარმართონ ორივე მიმართულებით. ამასთან ერთად მათ განმეორებით უნდა მოახდინონ იმის შემოწმება, თუ როგორ ასრულებენ პარტუჯრედები უმაღლეს პარტიულ ორგანიზაციების დირექტივებს აპარატის გაიაფება - გამარტივების დარგში. კერძოდ ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროფკავშირების მუშაობას. ეკონომიური კომისიები ხშირად ვერ იჩენენ სათანადო აქტივობას. ადგილობრივი პროფორგანიზაცია ამ გარემოებას არ აქცევს შესაფერ ყურადღებას. ადმინისტრაცია ხშირად ზერელედ ეკიდება ეკონომიურ კომისიების მუშაობას და დადგენილებებს. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოუღოს პარტუჯრედებმა. კარგა ხანია ცნობილია, რომ ფაბრიკის ადმინისტრაციასთან ერთად პასუხისმგებელი [illegible]. რაც [illegible] ის პასუხისმგებლობა არ განისაზღვრება ადმინისტრატიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით. აქ [illegible] წარმოების გაუმჯობესებაზე მზრუნველობას.

პარტიულ კომიტეტებმა თავის მხრივ უნდა მიიღონ ზომები, რათა გაუადვილონ საბჭოთა უჯრედებს ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. იმ მიზნით, რომ უფრო იქნას გამოაშკარავებული ჩვენი აპარატის ტკივილები და შესაძლებელი გახდეს რაციონალიზაციის საქმეში ფართო მშრომელი მასების ჩაბმა. საბჭოთა უჯრედებმა დროგამოშვებით უნდა მოაწყონ გაერთიანებული კრება საწარმოო უჯრედებთან ან უპარტიო მუშებთან. ასეთი კრებები დიდ ნაყოფს გამოიღებს აპარატის გაიაფება-გაუმჯობესების საქმეში.

ბრძოლა სახელმწიფო აპარატის გადაკეთებისათვის, ბრძოლა იმ სნეულებათა წინააღმდეგ, რომლითაც დაავადებულია ჩვენი აპარატი. პარტიამ და ხელისუფლებამ დასახა ერთ-ერთ უდიდეს ამოცანათ. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ ფართე მშრომელი მასის აქტიური დახმარებით. აქ ყველაზე მეტად მავნებელია დეკლარატიული გამოსვლები და მხოლოდ ზეპირი განცხადებები აპარატის რაციონალიზაციის აუცილებლობის შესახებ. საკითხის ამნაირად დასმა ხშირად ხელს უწყობს ნამდვილ პრაქტიკულ მუშაობის მიფუჩეჩებას აპარატის რაციონალიზაციის დარგში. ეხლა განსაკუთრებით საჭიროა კონკრეტიულ ღონისძიებების გამოძებნა და ყოველდღიური შავი მუშაობა აპარატის გადასაკეთებლად. აქეთკენ მოუწოდებს თავის ცირკულიარულ წერილში საკავშირო კომპ. ა.-კ. საოლქო კომიტეტი ადგილობრივ ორგანიზაციებს.

სიცრუის ნიმუში

ზუბრების პარლამენტის მეოთხე სესიის დიდი ამბით გახსნაზე ადგილი ჰქონდა გეორგი —ბოლდუინის ბრწყინვალე სეფე-სიტყვას, რომელიც შეიძლება გამოდგეს „კაზიონური“ ოპტიმიზმისა და სიცრუის ბრწყინვალე ნიმუშად. რათა თავის მსმენელთა და მკითხველთა ყურადღება ჩამოეშორებია იმ სიძნელეთაგან რომლებსაც განიცდის ბრიტანეთის „დიდი“ იმპერია, მეფის მთავრობის ხელმძღვანელი (სად გაგონილა ასეთი ამბავი?) სეფე-სიტყვაში იძულებული შეიქნა „თავდაბლად“ ჩაეარა კიჩუმით „იმპერიის მარგალიტ“ ინდოეთისათვის. რათა მთელი მსოფლიოს ყურადღება ჩამოეშორებია ინდოეთისათვის, ბოლდუინმა არჩია [illegible] დაწვრილებით შეჩერებულიყო ჩინეთში მიღწეულ „გამარჯვებებზე“. ჩინეთში მიღწეულ გამარჯვებებს ბოლდუინმა ამ სიტყვაში თან დაურთო ცნობა ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ შეერთებულ შტატებთან და „კეთილი ნების“ ზრდის შესახებ, რაც წარმოადგენს საფუძველს მრეწველობაში მშვიდობიანობის არსებობისათვის.

ეს სეფე-სიტყვა, რომელსაც თავის დროზე დაასწრო ჩერჩილმა, შეიცავს სულ ცოტა რომ ვთქვათ, საოცარ გაზვიადებას. დავიწყოთ საკითხებიდან მრეწველობის რაციონალიზაციისა და მშვიდობიანობის შესახებ მწარმოებლებსა და პროფკავშირებს შორის. ა. წ. 12 იანვრის თათბირზე სერ ალფრედ მონდმა დარწმუნებით განაცხადა, რომ „ჰორიზონტზე არავითარი ღრუბელი არ მოჩანს და არავითარ კონფლიქტებს არა აქვს ადგილი სამუშაო ხელფასის გამო“-ო. ამას მან დასძინა, რომ მრეწველობის რაციონალიზაციის გატარება შესაძლებელია მხოლოდ „ორგანიზაციულად შეკავშირებულ შრომის დახმარებით“-ო.

კაპიტალისტური პრესა ინგლისში ეხლა განსაკუთრებით უსვამს ხაზს მრეწველობის იმ დარგების— ქიმიურის, საავტომობილოს და სხვ —მნიშვნელობას, რომლებიც უკანასკნელ წლებში ვითარდა და განუწყვეტლივ ვითარდება დღემდე. ამ დარგების შედარებით კარგი მდგომარეობა უდავო ფაქტია. მაგრამ ეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ ახაზღაურებს იმ ქრონიკულ კრიზისს, რომელიც გრძელდება მრეწველობის იმ გადამწყვეტ დარგებში, რომლებიც წარმოადგენს დიდბრიტანეთის იმპერიის ძლიერების საფუძველს.

ყბადაღებული რაციონალიზაცია ჭეშმარიტად კუს ნაბიჯით მიიწევს წინ. ინგლისის ბურჟუაზია მეტის - მეტად არის გარყვნილი მონოპოლიურ ბატონობის საუკუნოებით, რომ ცხოვრებაში გაატაროს რაციონალიზაცია „გერმანიის ყაიდაზე“

ამასთანავე კლასობრივ ბრძოლის განვითარების მთელი გზა ინგლისში მოწმობს რომ ეხლანდელ პირობებში საეჭვოა ინგლისის კაპიტალმა მოახერხოს რაიმე არსებითი დახმარების მიღება ეგრედწოდებულ „ორგანიზაციულად შეკავშირებულ შრომისაგან“ მრეწველობის რაციონალიზაციის განხორციელების მიზნით.

1927 წელი უდავოდ ყველაზე უფრო „მშვიდობიანი“ ომის შემდგომი წელი იყო ინგლისისათვის. მაგრამ ეს მშვიდობიანობა იყო მაღაროს მუშებთან ულმობელ გასწორებისა და გენსაბჭოს და მუშათა პარტიის ბელადების მოღალატურ პოლიტიკის შედეგი. ხოლო ამასთანავე ეჭვს გარეშეა, რომ ამ მშვიდობიანობას ბოლო ელება. არა მარტო საფეიქრო მრეწველობა, არამედ მრეწველობის მთელ რიგ სხვა დარგებშიაც — ლითონის, გემთმშენებლობის და სხვ.— მწიფდება სერიოზული კონფლიქტები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თავის დროზე „შავ პარასკევს“ ინგლისის მრეწველობაში მოჰყვა შედარებითი მშვიდობიანობა. მაშინ ხოჯესები და მაკდონალდები გაიძახოდნენ ხანგრძლივი—5—10 წლის მშვიდობიანობის გეგმებით. მაგრამ მუშებმა შედარებით აწრაფად დააღწიეს თავი დეპრესიას, რომელიც მოჰყვა დამარცხებას, და დეპრესია სწრაფად შეიცვალა ბრწყინვალე და მედგარი მოძრაობით.

კუკი უდავოდ მართალი იყო, როდესაც მან სწორედ იმავე, ზემოხსენებულ თათბირზე (მონდის თავმჯდომარეობით), განაცხადა, რომ თუ მონდს თავის ჯიბეში ჰყავს გენსაბჭო, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მას თავის განკარგულებაში ჰყავს ინგლისის მუშათა ორგანიზაციულად შეკავშირებული მოძრაობა. საპროტესტო მოძრაობა გენსაბჭოს ბიუროკრატების პოლიტიკის წინააღმდეგ მოწმობს, რომ ინგლისის კაპიტალის იმედები, მუშათა შრომის პირობების გაუარესების ხარჯზე რაციონალიზაციის სწრაფად და უმტკივნეულოდ გატარების შესახებ, მოკლებულია საფუძველს.

ამაზე უფრო დიდი საფუძველი არა აქვს სეფე—სიტყვაში მოყვანილ განცხადებებს იმის შესახებ, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მდგომარეობა ჩინეთში. თითონვე ბოლდუინი იძულებული გახდა ცნობები წარმატებათა შესახებ „შეევსო“ „არევ-დარევისა“ და სამოქალაქო ომის აღნიშვნით, რაც თანდათან ვითარდება ჩინეთში. ინგლისის ბურჟუაზიის უფრო გონიერ წარმომადგენლებს მშვენივრად ესმით, რომ რევოლიუცია ჩინეთში სრულებით არ დამთავრებულა და რომ დიდი ბრიტანეთის იმპერიალისტური ზრახვები აუცილებლად დაეჯახება, როგორც ჩინეთის რევოლიუციონურ მოძრაობას, ისე იმ დანარჩენ იმპერიალისტურ სახელმწიფოების მეტოქეობას, რომლებიც იმავე ხარბი თვალით უცქერიან ჩინეთს, როგორც ინგლისი.

ყველაზე უფრო ბოროტ დაცინვას რეალურ სინამდვილეზე წარმოადგენს სეფე—სიტყვის ის სტრიქონები, რომლებიც ეხება ჩრდილოეთ- ამერიკის შეერთებულ შტატებს. დაწყებული ვაშინგტონის კონფერენციიდან, ურთიერთობას ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის არ მიუღწევია ისეთ გამწვავებამდე, როგორც ამჟამად. ამ ურთიერთობის პირობებში ლაპარაკი „მოწმენდილ ცის“ შესახებ შეუძლია მხოლოდ ისეთ თვალთმაქცებს, რომლებიც საპარლამენტო ტრიბუნით იმისთვის სარგებლობენ, რომ დაამახინჯონ მიმდინარე მოვლენათა აზრი.

მაგრამ ლონდონში წარმოთქმული სეფე—სიტყვა დამახასიათებელი და ყურადსაღებია არა მარტო იმ პრობლემათა თვალსაზრისით, რომლებიც გაშუქდა მასში, არამედ იმ მრისხანე საკითხის თვალსაზრისითაც, რომელსაც სულ უფრო და უფრო აქტუალური მნიშვნელობა ეძლევა და რომელსაც სეფე—სიტყვამ სიჩუმით ჩაუარა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ინდოეთი.

გეორგი— ბოლდუინის სეფე—სიტყვას წინ უძღოდა ინდოეთის მეფის მოადგილის სერ ირვინის უფრო ნერვიული და მწვავე გამოსვლა. ირვინის გამოსვლა მოხდა ორიოდე დღით ადრე საიმონის ცნობილ კომისიის ინდოეთში ჩასვლამდე, იმ კომისიის, რომლის ბოიკოტი სულ უფრო და უფრო პოპულიარული ხდება ინდოეთის ყველა კუთხეში. ირვინმა თავისი სიტყვა გამოიყენა მუქარისა და დარიგებისათვის ინდოეთის „უგუნურ“ მცხოვრებთა მიმართ. მაგრამ მისი სიტყვის მთელი კილო მოწმობს, რომ მას მშვენივრად ესმოდა იმ ახალ განხეთქილების მნიშვნელობა, რომელმაც იჩინა თავი ურთიერთობაში ბრიტანეთის იმპერიასა და მის საუკეთესო კოლონიას შორის. მოვლენებმა, რომლებიც მოჰყვა ირვინის სეფე—სიტყვას, სავსებით გაამართლა ის მოუსვენრობა, რომლითაც გამსჭვალული იყო ეს სიტყვა. ინდოეთის ხალხის მასების აქტიური ბრძოლით საიმონის კომისიის წინააღმდეგ აიხსნება ის ფაქტი, რომ ინგლისის პარლამენტის ახალ სესიის გახსნის დროს ბოლდუინი იძულებული შეიქნა სიჩუმით ჩაეარა „იმპერიის მარგალიტისათვის“. მაგრამ ინდოეთის პრობლემა ისეთი არაა ,რომ მას „სიჩუმით“ დააღწიო თავი.

შევიწროებული საშინაო და საგარეო წინააღმდეგობათა ზრდით, ინგლისის იმპერიალიზმი მიდის ახალ სერიოზულ სიძნელეებისა და კრიზისებისაკენ. იმპერიის პასუხისმგებელი ხელმძღვანელები გამოდიან ამ დროს სიტყვებით, თითქო ყველაფერი რიგზე იყოს. მაგრამ ეს არავის სჯერა. ასეთია იმ მთავრობის ბედი, რომელსაც ისტორია თანდათან ჩიხში ამწყვდევს.

„პრავდა“, 8 თებერვალი.

ნორვეგიის პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა მუშათა მთავრობას

გაიხსნა ინგლისის თემთა პალატის სესია

გერმანიის რეიხსტაგმა მიიღო კანონი საქარხ.-საფაბრიკო კომიტეტების წინააღმდეგ

უნგრეთის ჟანდარმების თავდასხმა ავსტრიის ტერიტორიაზე.-უნგრეთელ ემიგრანტის გატაცება

ნორვეგიის მუშათა მთავრობის დამარცხება

ოსლო, 7 თებერვალი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იტყობინება, რომ პარლამენტმა 86 ხმით, 63 წინააღმდეგ მიიღო ლიბერალების მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია მუშათა პარტიის მთავრობის დეკლარაციის გამო (ლიბერალების რეზოლიუცია გამოსთქვამს მწუხარებას იმის გამო, რომ მუშათა პარტიის მთავრობა „სთვლის“ თავს ნორვეგიის ხალხის მხოლოდ ერთი ნაწილის წარმომადგენლად“, და იმის გამო, რომ მთავრობას არა აქვს დამსახურებული ნდობა, რომელიც საჭიროა ფინანსების აღსადგენად და მშვიდობიანობის დასამყარებლად ჩვენს ქვეყანაში“).

პრემიერმა ხორნსრიუდმა განაცხადა, რომ მთავრობა გადადგება. მინისტრთა საბჭოს სხდომა შესდგება 10 თებერვალს. (ადს).

ინგლისის თემთა პალატის სესია

სესიის გახსნა

ლონდონი, 7 თებერვალი. 7 თებერვალს მეფემ გახსნა თემთა პალატის მეოთხე სესია. სეფე სიტყვა შესდგებოდა ზოგადი ადგილებიდან ბუკინგემის სასახლეში ორ სუფრაჟისტ ქალს უნდოდა პეტიციის მიცემა მეფისათვის მაგრამ პოლიციამ არ დართო ნება.

მეფის სიტყვა

ლონდონი. 7 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„მეფის სეფე სიტყვაში პარლამენტის სესიის გახსნის გამო ნათქვამია, რომ მდგომარეობა ჩინეთში იმდენად გაუმჯობესდა, რომ შეიძლება მნიშვნელოვანად შემცირებულ იქნეს სახმელეთო და საზღვაო ძალები, რომლებიც გაგზავნილია შორეულ აღმოსავლეთში კონცესიების ტერიტორიაზე მცხოვრებ ინგლისის და ინდოეთის ქვეშევრდომთა დასაცავად. მიუხედავად ამისა. შინაური არევ-დარევა და სამოქალაქო ომის გამო შექმნილი მდგომარეობა, და როგორც ჩინელთა, ისე უცხოელთა სიცოცხლის და ქონების არა საკმაო უზრუნველყოფა, ჯერ კიდევ იძლევა საბაბს შიშიანობისათვის. მიუხედავათ ხელისშემშლელ პირობებისა, მთავრობა იცავს თავის წინანდელ დეკლარაციაში გამოხატულ პოლიტიკურ ხაზს,რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ის მზადაა ანგარიში გაუწიოს ჩინეთის მისწრაფებებს. თუ ჩინელები შესძლებენ ინგლისის მოქალაქეთა სიცოცხლის და ქონების დაცვას და უზრუნველყოფას.

ინგლისის და შეერთებულ შტატების ურთიერთობის შესახებ სიტყვაში ნათქვამია, რომ შეერთებულ შტატების მიერ წამოყენებულ საარბიტრაჟო ხელშეკრულების შინაარსს მთავრობა იხილავს დაწვრილებით და თანაგრძნობით უყურებს.

შემდეგ სიტყვა მიუთითებს მთელ რიგ ნიშნებზე, რომლებიც მოწმობენ, როგორც შინაურ, ისე საგარეო ვაჭრობის პროგრესიულ ზრდას და აღნიშნავს, რომ ეს ნიშნები ამართლებენ იმ იმედს, რომ თანამშრომლობისა და კეთილი სურვილის პირობებში მახლობელ წლებში მიღწეულ იქნება პროგრესი.

„მთავრობა —ნათქვამია შემდეგ სიტყვაში —იხილავს მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის ადგილობრივ გადასახადთა სიმძიმისაგან განთავისუფლების შესაძლებლობას“.

დასასრულ სიტყვაში ნათქვამია, რომ პარლამენტში შეტანილ იქნება ახალი კანონი საარჩევნო უფლების შესახებ

კანონი ფაბ-ქარხკომების წინააღმდეგ

გერმანელი მენშევიკები მხარს უჭერენ რეაქციონურ კანონ-პროექტს

ბერლინი, 7 თებერვალი. რეიხსტაგის კომისიამ, რომელიც არჩევს სოციალ- პოლიტიკურ საკითხებს, განხილულ იქნა წინადადება ფაბქარხკომებზე არსებულ კანონის შეცვლის შესახებ. წინადადება არსებითად მხარს უჭერს მწარმოებელთა მისწრაფებას გაანადგურონ ფაბრქარხკომები და გამოიხატება შემდეგში: იმ შემთხვევაში, როცა ახალ ფაბრქარხკომების არჩევნების მოსაწყობათ საარჩევნო კომიტეტი არ არის დანიშნული ძველ ფაბრქარხკომისა ან წარმოების მეპატრონის მიერ წინადადება მისი დანიშვნის შესახებ შეიძლება შემოტანილ იქნეს მხოლოდ შრომის სასამართლოს თავმჯდომარის მხრივ, სოციალ-დემოკრატებმა თავი შეიკავეს წინადადების გაკრიტიკებისაგან და მხოლოდ შეიტანეს შესწორება, რომლის თანახმად პროფკავშირებსაც უნდა ექნეთ უფლება წამოაყენონ წინადადება საარჩევნო კომიტეტის დანიშვნის შესახებ. პროექტი მიღებულ იქნა სოციალ- დემოკრატების შესწორებით. მიუხედავათ ამისა, ის ძირს უთხრის გერმანიაში არსებულ კანონს ფაბრქარხკომების შესახებ. პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს მხოლოდ კომუნისტებმა. (ადს)

მსოფლიო ნავთის ტრესტების ბრძოლა

დეტერდინგს მომხრეები ეცლება

ნიუ - იორკი, 7 თებერვალი. „ნიუ იორკ ტაიმს“ იუწყება, რომ ამერიკის და ინგლისის ზოგიერთ ნავთის მრეწველებს შორის სწარმოებს საიდუმლო მოლაპარაკება ინგლის - ჰოლანდიის ტრესტის „როიალ დეჩ შელ“-ის და ამერიკულ ტრესტის „სტანდარტ ოილ“-ს შორის წამოჭრილი კონფლიქტის მოწესრიგების მიზნით.

გაზეთის სიტყვით, ნავთის მრეწველნი, რომლებიც არ იღებენ უშუალო მონაწილეობას ამ ტრესტებს შორის გამართულ ბრძოლაში. ცდილობენ თავიდან აიცილონ ნავთზე ფასების დაკლება, რაც ერთ- ერთ იარაღს წარმოადგენს ამ ბრძოლაში.

გაზეთი იუწყება, რომ **ინგლის- ამერიკის კომპანია, რომელიც ასაღებს „სტანდარტ ოილ“-ის ნავთის პროდუქციას, აცხადებს, რომ ის მზად არის მონაწილეობა მიიღოს ბრძოლაში დეტერდინგის წინააღმდეგ.** გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე, რომ **„სტანდარტ ოილ კომპანია ნიუ-ჯერსიში“ პირველად მხარს უჭერდა დეტერდინგის გამოსვლას საბჭოთა ნავთის შესყიდვის წინააღმდეგ, მაგრამ ამჟამად არაფერს არ ამბობს არც ამის სასარგებლოდ და არც საწინააღმდეგოთ. რაც შეეხება „სტანდარტ ოილ კომპანიას ნიუ-იორკში“, ის განაგრძობს საბჭოთა ნავთის შესყიდვას.** (ადს).

საიმონის კომისია ინდოეთში

საიმონის წერილი

ლონდონი, 7 თებერვალი. ინდოეთის საკონსტიტუციო რეფორმებს გამომძიებელი ინგლისის კომისიის თავმჯდომარემ—**საიმონმა** ინდოეთის მეფის მოადგილეს გაუგზავნა წერილი.

ამ წერილში ის წინადადებას იძლევა მოეწყოს კომისიის შეერთებული თათბირი ინდოეთის საკანონმდებლო კრების შვიდ წარმომადგენელთან. როგორც კომისია, ისე საკანონმდებლო კრების წარმომადგენლები შემდეგ ცალ-ცალკე წარუდგენენ თავიანთ მოხსენებებს ინგლისის პარლამენტს.

ბოიკოტი საიმონის კომისიას.

ლონდონი, 7 თებერვალი. რეიტერის სააგენტო ნიუ-დელიდან (ინდოეთი) იუწყება, რომ ინდოეთის პარტიების ბელადებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ მათ დაწვრილებით განიხილეს საიმონის განცხადებაში წამოყენებული სამოქმედო გეგმა. პარტიის ბელადები აღნიშნავენ, რომ მათი არგუმენტები კომისიის და მისი მუშაობის გეგმის წინააღმდეგ დაფუძნებულია პრინციპებზე, რომლებსაც საიმონის გეგმა სრულებით არ ეხება. ამიტომ პარტიები იძულებული არიან დარჩნენ ძველ თვალსაზრისზე, რომლის თანახმად მათ არავითარი საერთო არ უნდა ჰქონდეთ საიმონის კომისიასთან.

რეპრესიები ბოიკოტების წინააღმდეგ

ლონდონი, 7 თებერვალი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, **მადრასის ხელისუფლების ორგანოებმა აუკრძალეს მუშაობა იმ კომიტეტს, რომელიც შექმნილია საიმონის კომისიისათვის გამოცხადებულ ბოიკოტის განსახორციელებლად. ერთი თვის განმავლობაში უკანონოდ ცხადდება ყოველგვარი კრებები, რომლებსაც მიზნად აქვს ნაციონალური გლოვის გამართვა საიმონის კომისიის მადრასში ჩასვლის გამო. აკრძალულია აგრეთვე პლაკატების გამოფენა და მოხალისეთა შეკრება პროპაგანდის საწარმოებლად კომისიის წინააღმდეგ.** (ადს).

უნგრეთის ჟანდარმების თავდასხმა ავსტრიის ტერიტორიაზე

ვენა, 7 თებერვალი. ვენის გაზეთები აქვეყნებენ ბურგენლანდიის მთავრობის ცნობას იმის შესახებ, რომ **21 იანვარს ავსტრიის ტერიტორიაზე — ბურგენლანდში შეიჭრენ უნგრეთის ჟანდარმები დააპატიმრეს ქვანახშირის მაღაროებში მომუშავე უნგრეთელი ემიგრანტი როტი გაუყარეს ხუნდები და წაიყვანეს უნგრეთის ტერიტორიაზე.** ვინტოვკებით შეიარაღებული ჟანდარმები. აცდენ რა ავსტრიის საბაჟო რაზმს. გადავიდნენ საზღვარზე ისე, რომ მათ არ აცნობეს ადგილობრივ ჟანდარმთა სამმართველოს როტის დაპატიმრების შესახებ. ბურგენლანდის მთავრობამ ამის შესახებ აცნობა ავსტრიის მთავრობას (ადს).

ოტტო ბაუერის შეკითხვა პარლამენტში

ვენა, 7 თებერვალი. ავსტრიის ნაციონალურ საბჭოს საბიუჯეტო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე სოციალ-დემოკრატების ბელადმა ოტტო ბაუერმა წარმოსთქვა სიტყვა უნგრეთის ჟანდარმების თავდასხმის შესახებ ავსტრიის ტერიტორიაზე ბურგენლანდში.

24 იანვარს, **უნგრეთის ჟანდარმთა რაზმი შეიჭრა ბურგენლანდში, რაცინგის ნახშირის მაღაროებში და ძალით წამოიყვანა იქიდან ემიგრანტი როტი, რომელიც მემაღაროეთ მუშაობდა. ჟანდარმებმა როტს გაუყარეს ბორკილები და ძალით წაიყვანეს უნგრეთის ტერიტორიაზე.**

ბაუერმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ავსტრიის მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა მოსთხოვოს უნგრეთს გატაცებულ როტის უკან დაბრუნება და თავდასხმაში მონაწილე ჟანდარმების გადაცემა ავსტრიისათვის. ბაუერის აზრით, ეს ჟანდარმები პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემულნი ავსტრიის სასამართლოს წინაშე

ბაუერს უპასუხებს კანცლერი ზეიპელი.

ზეიპელის პასუხი

ვენა, 7 თებერვალი. ავსტრიის ნაციონალურ საბჭოს საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე ავსტრიის კანცლერმა ზეიპელმა პასუხი გასცა ოტტო ბაუერის შეკითხვაზე უნგრეთის ჟანდარმთა თავდასხმის შესახებ ავსტრიის ტერიტორიაზე ბურგენლანდში. ზეიპელმა განაცხადა:

„ინციდენტის შემდეგ უნგრეთის ჟანდარმერიის ოფიცერმა ბოდიში მოიხადა და განაცხადა, რომ ჟანდარმებმა არ იცოდენ საიდ გადიოდა საზღვარი. ავსტრიის მთავრობა არ დაკმაყოფილდა ბოდიშის მოხდით და თავისი ელჩის საშუალებით ბუდაპეშტში მომხდარი ამბის შესახებ აცნობა უნგრეთის მთავრობას. ჟანდარმების გადაცემა ჩვენთვის, რასაკვირველია, შეუძლებელია, ვინაიდან არც ერთი სახელმწიფო არ დასთანხმდება გადასცეს თავისი მოქალაქე უცხო სახელმწიფოს სასამართლოს“.

ოტტო ბაუერმა, მიიღო რა მხედველობაში ცნობა, აღნიშნა, რომ ინციდენტისადმი უყურადღებოთ მოპყრობა დაუშვებელია, ვინაიდან საზღვარზე ინციდენტები გახშირდა.

სან-გოტარდის ინციდენტი, ბაუერის აზრით, არ შეიძლება შეფასებულ იქნეს მხოლოდ საბაჟო ტეხნიკის თვალსაზრისით, ვინაიდან 1926 წლის ბოლოდან იტალიიდან ავსტრიის გზით უნგრეთში მიდიოდა აფარებული ტვირთი, რომლებიც დოკუმენტებში აღნიშნული იყო, როგორც ხელოვნური სასუქი, სინამდვილეში კი, ეჭვს გარეშეა, ეს იყო იარაღის ტრანსპორტი და მხოლოდ შემთხვევით აღმოჩენილ იქნა იარაღის გაგზავნის ერთი ფაქტი (ადს).

მეორე-ხარისხოვან საქონელთა ექსპორტი

მეორე ხარისხოვან საქონელთა ექსპორტს დღეს საკავშირო მასშტაბით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, იგი სდგას ჩვენი მეურნეობის გადაუდებელ საკითხების პირველ რიგში. აუცილებლადაა მიჩნეული ჩვენ მთლიან ექსპორტში საექსპორტო „წვრიმალის“ ხვედრითი წონის გადიდება და ამით ჩვენი ექსპორტის დაზღვევა შესაძლებელ შემცირებისაგან. ჩვენი ექსპორტი ემყარება უმთავრესად რამოდენიმე ძირითად საქონელს. (ნედლეულს) და თუ მათ დამზადება კონიუნკტურულ და სხვა მიზეზების გამო შეფერხდა,, ამით ექსპორტიც შემცირდება. ამის თავიდან ასაშორებლად და საერთოდ ექსპორტის გასაძლიერებლად მეორე ხარისხოვან საექსპორტო საგნების დამზადებას უნდა მიექცეს ყურადღება. ამავე დროს ასეთი საგნების ექსპორტს ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ დარგში ძლიერდება ადგილობრივი ინიციატივა.

მეორე ხარისხოვან ექსპორტის მოწესრიგებას მრავალი სიძნელე ელობება წინ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საექსპორტო შესაძლებლობანი მდიდარია, როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის დარგში, საკმაოდ ძნელია ჩვენი საექსპორტო წვრიმალს გამოუნახოთ სათანადო ბაზარი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. ძნელია აგრეთვე ჩვენ საქონელს ისეთი ხარისხი და გარეგნობა მივსცეთ, რომელიც დააკმაყოფილებს საზღვარ - გარეთელ ბაზრის მოთხოვნილებას. პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება ამ საქმეში ჩვენ ნაკლები გვაქვს

გავითვალისწ[illegible] როგორია ამ მხრივ ჩვენი პერსპექტივები.

განსაკუთრებით მდიდარია ჩვენი მეორე ხარისხოვან ექსპორტის შესაძლებლობანი სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დარგში დიდი ყურადღების ღირსია ხილი, როგორც გამხმარი ისე ნედლი, უკანასკნელი უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებიდან. აქაური ნედლი ხილი კარგად იტანს შორეულ გადატანას. გადატანა უმთავრესად საფრანგეთშია მოსახერხებელი. თხილი და კაკალი, უმთავრესად დასავლეთ საქართველოს რაიონებიდან თხილისა და კაკლის ექსპორტი წასულ წელში გეგმაზე გადაჭარბებით იქნა შესრულებული, რაც მოწმობს მათი ექსპორტის მოსახერხებლობას. თხილისა და კაკლის ექსპორტი განზრახულია უმთავრესად ამერიკაში. ცდის ხასიათი აქვს ე. წ. შვეიცარიის ყველის ექსპორტს. პირველათაა განზრახული კახური ღვინის გაზიდვა გერმანიის ბაზარზე, სადაც კონიუნქტურული პირობები იმედს იძლევიან. ის კარგად გასაღდება. ამ მხრივ „საქართველ. ღვინოს“ და „სახალხო მეურნეობის ტრესტის“ მიერ უკვე გადადგმულია ნაბიჯები. საგრძნობი მნიშვნელობა აქვს კვერცხის ექსპორტს, რომლის გატანა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

სამრეწველო საქონელთა ჯგუფში შეგვიძლია აღვნიშნოთ ხილის და ბოსტნეულობის კონსერვები, თამბაქოს ნაწარმოებნი, მთელი რიგი ნაწარმოებნი სამთოქიმიურ მრეწველობის დარგიდან, მათ შორის ლითოგრაფიული ქვა, გრეხილი ავეჯი, კინო-სურათები, შინამრეწველობის ნაწარმოებნი და მრავალი სხვა. ჩვენ აქ მიზნად არ ვისახავთ მთლად ჩამოვთვალოთ საქართველოს შესაძლებლობანი მეორე ხარისხოვან ექსპორტის საქმეში. ა.-კ. საექსპორტო ორგანიზაციის მიერ უკვე მიღებულია სათანადო ზომები მეორე ხარისხოვან ექსპორტის საქმის მოსაგვარებლად ამიერ-კავკასიის მასშტაბით: წესდება საქონლის სტანდარტები, დამზადების რაიონებში ეწყობა სპეციალური მოწყობილებანი ხილის დახარისხებისათვის, ეწყობა ხილის საშრობი მანქანები უმჯობესდება ხილის ჩაწყობის და ჩალაგების მეთოდი. ხილის კონსერვაციისათვის იგება სპეციალური მოწყობილობანი. ამასთან ერთად მიღებულია ზომები დასავლეთ ევროპის ბაზრის პირობების შესასწავლად კომერციულ ინფორმაციის გაძლიერების საშუალებით. ყველა ამ და სხვ. ღონისძიებათა გატარება, რომლებიც გააძლიერებენ მეორე ხარისხოვან საგანთა ექსპორტს, დიდათ შეუწყობს ხელს აქტიურ ბალანსის შექმნას ჩვენს საგარეო ვაჭრობაში.

ი. მ—ძე.

საპრეზიდენტო არჩევნები პორტუგალიაში

პარიზი, 7 თებერვალი. ლისაბონიდან იუწყებიან, რომ 4 მარტს პორტუგალიაში დანიშნულია საპრეზიდენტო არჩევნები, რომელმაც გარეგნულად უნდა დააკანონოს არსებული რეჟიმი, ვინაიდან ეხლანდელ დიქტატორის გენერალ **კარმონის** პრეზიდენტად არჩევა უზრუნველყოფილია. (ადს).

ოხრანკის დიქტატურა

მინისტრი ვერ კისრულობს პასუხისმგებლობას ოხრანკის მოქმედებისათვის

ვენა, 7 თებერვალი. **სამხრეთ-სლავიის პარლამენტში ყოფილმა მინისტრმა პეტროვიჩმა თავის სიტყვაში განაცხადა:**

„სამხრეთ-სლავიაში ნიღაბ აფარებული დიქტატურაა. სამოქალაქო თანამდებობებზე ურიგებენ ოფიცრებს. მინისტრებს სცვლიან რამდენიმე საათში პარლამენტის დაუკითხავად.

პოლიციის თვითნებობის საილუსტრაციოთ, პეტროვიჩმა მოიყვანა ახალ შინაგან საქმეთა მინისტრის რადოვიჩის განცხადება იმის შესახებ, რომ ის ვერ იკისრებს პასუხისმგებლობას ოხრანკის მოქმედებისათვის. კენჭის ყრის დროს ხმის უმნიშვნელო უმრავლესობით მიღებულ იქნა მთავრობის რეზოლიუცია (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

გომინდანის ცეკას მეოთხე პლენუმი.

შანხაი, 7 თებერვალი. როგორც ნანკინის სააგენტო იუწყება, გომინდანის ცეკას მეოთხე პლენუმი, დაიხურა დღეს. უკანასკნელ სხდომაზე პლენუმმა დაადგინა გააუქმოს ყველა დადგენილებები და რეზოლიუციები, რომლებიც მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირთან და ჩინეთის კომპარტიასთან არსებულ ურთიერთობის დროს. (ადს).

იაპონელების თარეში.

შანხაი, 7 თებერვალი. „ჩაინა ტაიმს“-ის ცნობით, იაპონიის მეზღვაურები, რომლებიც იაპონიის გამანადგურებელმა გადმოსხა დაეს რკინის მაღაროების ტერიტორიაზე, ყოველდღე ახდენენ მანევრებს. იაპონიის საზღვაო სარდლობამ განაცხადა, რომ თუ მაღაროები ხელში ჩაიგდენ ნაციონალისტებმა, ნაპირზე გადმოსხამენ კიდევ 600 იაპონელ მეზღვაურს.

რეიტერი უარჰყოფს

პეკინი, 7 თებერვალი. **რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის პეკინელ ელჩ მარტელის სიტყვის ოფიციალური ტექსტი, არ შეეფერება გომინის სააგენტოს ვერსიას.**

შენიშვნა. გომინის სააგენტოს ცნობაში ნათქვამი იყო, რომ მარტელმა ნანკინში გამართულ ბანკეტზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც უსურვა „ჩქარი წარმატება ნაციონალურ რევოლიუციას“. (ადს).

პინში დაიკავეს წითლებმა.

შანხაი, 7 თებერვალი. პრესის ცნობით, **ხუნანის პროვინციის კომუნისტების რაზმმა გადალახა გუანდუნის პროვინციის საზღვარი და 8 თებერვალს დაიკავა სანაპირო ქალაქი პინში.** (ადს).

ცენტროსოიუზის თანამშრომლების განთავისუფლება

შანხაი, 7 თებერვალი. ცენტროსოიუზის ხანკოუს განყოფილების დირექტორი ამხ. კოსოლაპოვი ჩამოვიდა შანხაიში.

საუბარში საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან ამხ. კოსოლაპოვმა განაცხადა, რომ თანამშრომლები რიკმანი, შკაფუნი და სამი ჩინელი გაანთავისუფლა ხანკოუს ხელისუფლებამ. გლატუ და ესიხი ჯერ კიდევ დაპატიმრებული არიან. (ადს).

იან-სენი გაცემას უპირებს უ-პეი-ფუს

პეკინი, 7 თებერვალი. იუნაიტედ პრესის ცნობით, **იანსენი (სიჩუანის პროვინციის დუბანი) დათანხმდა ნანკინის მთავრობის მოთხოვნილებაზე უ-პეი-ფუს გაცემის შესახებ.** ამ მოთხოვნილებას ნანკინის მთავრობა აყენებდა, როგორც წინასწარ პირობას იან-სენთან ზავის დადებისათვის.

შანხაის აჯანყებისათვის

პეკინი, 7 თებერვალი. ჰოვესის სააგენტოს ცნობით, შანხაიში დაპატიმრებულია ლი-ტუნ-გო, რომელსაც აბრალებენ კომპარტიის წევრობას და მონაწილეობის მიღებას წარსულ წელში შანხაიში მომხდარ აჯანყების მოწყობაში.

ამხ. ტროიანოვსკი იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

ტოკიო, 7 თებერვალი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იაპონიაში ამხ. ტროიანოვსკიმ მიიღო პრესის წარმომადგენლები. ამხ. ტროიანოვსკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის დადებული კონვენცია თევზის ჭერის შესახებ წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს შემდგომ შეთანხმებებისათვის საბჭოთა კავშირსა და იაპონიის შორის პეკინში დადებულ ხელშეკრულების საფუძველზე.

შემდეგ ამხ. ტროიანოვსკიმ გამოსთქვა იმედი, რომ ეკონომიური კავშირის განმტკიცება გამოიწვევს პოლიტიკურ ურთიერთობის გაუმჯობესებას და ხაზი გაუსვა კულტურულ ურთიერთობის საჭიროებას ორივე ქვეყნის შორის. როგორც ამხ. ტროიანოვსკიმ აღნიშნა, დიდი მიღწევა იყო ამ დარგში საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთის დელეგაციის ჩამოსვლა იაპონიაში და კუხარას და გოტოს ჩასვლა მოსკოვში (ადს).

ვაშინგტონის კონვენციის დამტკიცების გარშემო

პარიზი, 7 თებერვალი. მინისტრთა საბჭოში ირჩეოდა საკითხი, თუ როგორი პოზიცია უნდა დაიჭიროს საფრანგეთის მთავრობამ იმის გამო, რომ ინგლისმა უარი სთქვა 8 სათის სამუშაო დღის შესახებ ვაშინგტონში მიღებულ კონვენციის რატიფიკაციაზე და როგორი უნდა იქნეს მთავრობის დამოკიდებულება ინგლისის წინადადებისადმი კონვენციის გადათვალიერების შესახებ.

მინისტრთა საბჭომ დაადგინა: 1) ვაშინგტონის კონვენციის მიმართ შენარჩუნებულ იქნეს წინანდელი პოზიცია, რომელიც მთავრობამ დაიჭირა ორივე პალატასთან შეთანხმებით. 2) **წინადადება გაეწიოს ყოველგვარ წინადადებას, რომელიც შეეხება კონვენციის გადათვალიერებას.** (ადს).

ქაღალდის ნაფლეთი

პრესა საფრანგეთ-ამერიკის საარბიტრაჟო ხელშეკრულების შესახებ

პარიზი, 7 თებერვალი. საფრანგეთის პრესა ესალმება ახალ საარბიტრაჟო ხელშეკრულების დადებას საფრანგეთსა და ჩრ.-ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, მაგრამ აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება არაფერს არ სცვლის წინანდელ ხელშეკრულებასთან შედარებით.

„ჟურნალ“-ი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არბიტრაჟი არ ვრცელდება პოლიტიკური ხასიათის კონფლიქტებზე და ამავე დროს ხელშეკრულება არ ითვალისწინებს არავითარ გამოსავალს, თუ რომელიმე უფლებრივი ხასიათის დავის საარბიტრაჟო გზით გადაჭრა შეუძლებელი გახდება. გაზეთი აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება არ უზრუნველყოფს იმ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრასაც კი, რომლებზედაც ვრცელდება ხელშეკრულების მოქმედება.

პარტინაკსი გაზეთ „ეკო დე პარი“-ში ახალ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გამო სწერს:

„1914 წელში არსებობდა 61 საარბიტრაჟო ხელშეკრულება, ამათგან 17 ხელშეკრულებაში მონაწილეობას იღებდა ჩრ.-ამერ. შეერთებული შტატები. არც ერთი ამ ხელშეკრულებათაგანი არც ომამდე და არც ომის დროს არ ყოფილა გამოყენებული. ამ ხელშეკრულებათა თითქმის ყველა მონაწილე ებრძოდა ერთმანეთს, ყოველ შემთხვევაში კონფლიქტები ქონდათ ერთმანეთში“. (ადს).

პოლონეთი არჩევნების წინ

სპეციალური რაზმი მიტინგების გასარეკად.

ვარშავა, 7 თებერვალი. მემარჯვენე პრესა ბრალს სდებს პილსუდსკის მომხრეებს იმაში, რომ მათ შეადგინეს სპეციალური მებრძოლი რაზმი მათდამი მტრულად განწყობილ პარტიების მიტინგების გასარეკად. გაზეთებს მოჰყავთ ცნობები, იმის შესახებ, რომ პოლიცია დახმარებას უწევს პილსუდსკის მომხრე რაზმელებს. (ადს).

კომუნისტების დაპატიმრება პერემიშლში.

ვარშავა, 8 თებერვალი. პრესის ცნობით პერემიშლში გრძელდება კომუნისტების დაპატიმრება. (ადს).

მემარცხენეთა გამორიცხვა

ინგლისის მუშათა პარტიიდან

ლონდონი, 7 თებერვალი. მუშათა პარტიის აღმასკომმა დირექტივა მუშათა პარტიიდან კომუნისტების გამორიცხვის შესახებ გაავრცელა მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის ყველა წარმომადგენლებზე, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული არიან ისეთ „არაოფიციალურ“ ორგანიზაციებთან, როგორიცაა რემედასი, უმუშევართა ორგანიზაციები და სხვა. **ბირმინგამში მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის რამდენიმე წარმომადგენელი გამორიცხეს პარტიიდან იმიტომ, რომ მათ მხარი დაუჭირეს საპარლამენტო არჩევნებში კომუნისტის კანდიდატურას** ბოტენგამის (ლონდონი) პროფსაბჭომ და აგრეთვე მუშათა პარტიის განყოფილებამ პარტიიდან გამორიცხეს მემარცხენე ფრთის 9 წარმომადგენელი რომელთაგან მხოლოდ 3 კომუნისტი (ადს).

შეტაკება ინდოეთ-ავღანისტანის საზღვარზე

ქაბული. 7 თებერვალი. **უკანასკნელ დროს ავღანისტანისა და ინდოეთის საზღვარზე ხდება განუწყვეტელი შეტაკებები ინგლისელებსა და ვაზირისტანის დამოუკიდებელ ტომებს შორის. შეტაკებები გამოიწვია იმან, რომ ინგლისელებმა ხელში ჩაიგდეს დამოუკიდებელ ტომების ტერიტორია ახალ ციხე-სიმაგრეთა ასაგებათ მოსაზღვრე ოლქში. ინგლისის [illegible] სელების საავტომობილო რაზმი. ქაბულის გაზეთი „იმან ავლან“-ი უძღვნის ვაზირისტანის [illegible] მია: „ინდოეთის მთავრობის მოქმედება ეწინააღმდეგება მის მშვიდობიან განცხადებებს, რომელთა დანიშნულებას შეადგენს საზოგადოებრივ აზრის მოტყუება. ის ამბები, რომლებიც ხდება ინდოეთის საზღვარზე, ადასტურებს ამ ჭეშმარიტებას. ინგლისის აგრესიული პოლიტიკა თავისუფალ მოსაზღვრე ზოლის მიმართ იწვევს დამოუკიდებელ ტომების შეიარაღებულ შეტაკებებს ინგლისელების ჯარებთან და ერთი-ერთმანეთის საწინააღმდეგო [illegible] ციხეების, გზების, მაეროდრომების და ყაზარმების [illegible]**

თუ ვაზირების მოძრაობა გავრცელდა [illegible] დეგი ინგლისელებისათვის უაღრესად არახელსაყრელი იქნება“. (ადს).

მონდი მიემგზავრება პალესტინაში

ლონდონი, 7 თებერვალი. პალესტინიდან მიღებულ ცნობებით, ტელავივში ჩამოვიდა ინგლისის უდიდეს ქიმიურ კონცერნის მეთაური ალფრედ მონდი, რომელიც ცნობილია, როგორც ინიციატორი ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოსთან გამართულ მოლაპარაკებისა „მრეწველობაში მშვიდობიანობის“ დამყარების შესახებ. ტელავივიდან მონდი მიემგზავრება ხაიფაში და ბაღდადში. როგორც იტყობინებიან, მონდის მოგზაურობა პალესტინაში დაკავშირებულია მონდის კონცერნის დიდ სამრეწველო გეგმებთან ახლო აღმოსავლეთში. ასეთია მაგალითად განზრახული ნავთსადენის საბოლოო პუნქტის გამორკვევა, ეს ნავთსადენი ინგლისის ნავთის სარეწაოებს მოსულში შეაერთებს ხმელთა შუა ზღვის ნაპირთან. მონდის პალესტინაში მოგზაურობის ოფიციალური მიზანია დახმარების აღმოჩენა პალესტინის მოსახლეობისათვის იმ სიონისტურ საქველმოქმედო ორგანიზაციის სახსრებიდან, რომელსაც მეთაურობს მონდი. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო პოლიტ-სამმართველოს ახალი თავმჯდომარე

ა.-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა განთავისუფლა ამხ. პავლუნოვსკი ამ.-კავკასიის სახ. პოლიტ. სამმართველოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან, რადგან ის დანიშნულია საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სამხედრო-საზღვაო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

ა.-კავკასიის სახ. პოლიტსამმართველოს თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. კაული.

ამხ. ა. ი. კაული

ალექსანდრე იონების ძე კაული დაიბადა გლეხის ოჯახში 1887 წელს სამარის გუბერნიაში (ეხლანდელ ვოლგის მხარის გერმანელების ავტონომიურ ოლქში). მას დამთავრებული აქვს მოსკოვის უნივერსიტეტი (1913 წელს). თებერვლის რევოლიუციამდე ამხ. კაული მასწავლებლობდა საშუალო სასწავლებელში. თებერვლის რევოლიუციის დასაწყისიდანვე აქტიურ მუშაობას ეწეოდა კომუნისტურ პარტიაში და შემდეგ საბჭოთა დაწესებულებებში.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ამხ. კაული მუშაობდა ტულის საგუბერნიო კომიტეტის მდივნად, შემდეგ სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარეთ. ამავე დროს იყო საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის წევრი და ტულის მუშათა დაგლეხთა დეპუტატთა საბჭოს წევრი.

შემდეგ მთელ რიგ ოლქებში ამხ. კაული მუშაობდა, როგორც საკავშირო ცაკის რწმუნებული სასურსათო საქმეში.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიაში ამხ. კაული მუშაობდა 1919 წლიდან.

უკანასკნელ დროს, 1924 წლიდან, ის მუშაობდა ჩრდილო კავკასიაში საგანგებო კომისიის სრულუფლებიან წარმომადგენლად.

უკანასკნელი ცნობები

ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრის განცხადება

რიგა, 8 თებერვალი. უცხოელ ჟურნალისტების მიღების დროს გარეშე საქმეთა მინისტრმა ბალოდისმა გააკეთა განცხადება ლატვიის საგარეო პოლიტიკის შესახებ. იმ ნაწილში რომელიც ეხებოდა საბჭოთა კავშირს, ბალოდისმა განაცხადა:

„ჩვენი პოლიტიკური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან ჩვენ გვსურს დავიცვათ საზავო ხელშეკრულების ნიადაგზე. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნა მოლაპარაკებას ახალ პოლიტიკურ ხელშეკრულების დადების შესახებ საბჭოთა კავშირთან, ჩვენ მიზნად დავისახავთ დავიცვათ ჩვენი საზავო ხელშეკრულების მნიშვნელობა და ლატვია-ესტონიის კავშირის მნიშვნელობა, ავიცილოთ ერთა ლიგასთან ჩვენი თანამშრომლობის შეზღუდვა და გამოვნახოთ ნათელი და საიმედო ფორმულა შესაძლებელ კონფლიქტების მოსაგვარებლად. რაც შეეხება კონკრეტულ საკითხს თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ, უკანასკნელ დროს ეს საკითხი აქტუალურად აღარ ითვლება და მის გადაჭრას დასჭირდება ხანგრძლივი დრო. ჩვენმა სავაჭრო ხელშეკრულებამ საბჭოთა კავშირთან უნდა მოაწესრიგოს ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა ორივე სახელმწიფოს შორის. შევსძლებთ თუ არა ამ მიზნის მიღწევას—ამაზე მსჯელობა ჯერ-ჯერობით ნაადრევია. ლატვია თავის მხრივ გააკეთებს ყველაფერს, რაც თკისრა ამ ხელშეკრულების დადებისას და ამიტომ საკითხი მისი გადასინჯვის შესახებ ჯერ-ჯერობით არ შეიძლება დასმულ იქნას". (ადს).

შეტაკება სუდანელებსა და ინგლისელებს შორის

ანგორა, 7 თებერვალი. ინგლისელების დამსჯელი ექსპედიცია შიდა სუდანის ტომების წინააღმდეგ ფართო ხასიათს ღებულობს. ტომებმა დაიხიეს ჭაობიან და ტყიან ადგილებში, სადაც შეუძლებელია მათთვის ყუმბარების დაშენა აეროპლანებიდან და სადაც მათ ხელში ვერ ჩაივდებს ქვეითა ჯარი. ინგლისელების რაზმებსა და მათ დამხმარე სუდანელთა რეგულიარულ ნაწილებს შორის მოხდა შეტაკება, ვინაიდან სუდანელებმა უარი განაცხადეს ებრძოლად მოწინავე ხაზზე. შეტაკების დროს მოკლულია ბრიტანეთის ერთი ოფიცერი და რამოდენიმე ბრიტანელი და სუდანელი ჯარისკაცი. (ადს).

შვეიცარიის სოციალ-დემოკრატია მთავრობაში მონაწილეობის მომხრეა

ბერლინი, 7 თებერვალი. შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობამ ბერნში მიიღო რეზოლიუცია, რომელიც შესაძლებლად სცნობს სოციალ-დემოკრატების მონაწილეობას მთავრობაში (ადს).

ტერორი არჩევნების წინ

ვარშავა, 8 თებერვალი. „კურიერ პორანნის" ცნობით, ვილნოში „გამოურკვეველ პირობებში" მოჰკლეს მუშურ - გლეხურ გაერთიანების ბლოკის ადგილობრივი წარმომადგენელი შეიერი. მოკლული ითვლებოდა ვილნოს ოლქის პროფკავშირთა ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეთ.

ვარშავა, 8 თებერვალი. სლონიმსკის მაზრაში (ვილნოს ოლქი) დაპატიმრებულია 12 კაცი. „კურიერ პორანნის" სიტყვით, დაპატიმრებულთა საქმიანობა გამოიხატებოდა კომუნისტური საარჩევნო ლიტერატურის გავრცელებაში.

ვარშავა, 8 თებერვალი. განაპირა რაიონში გაკრულია მუშურ - გლეხურ მთლიანობის ბლოკის საარჩევნო სიების პლაკატები. პლაკატების კონფისკაციის თავიდან აცილებლად, მათში აღნიშნულია, რომ მათი შინაარსი „წარმოადგენს ამონაწერს მთავრობის ოფიციალურ ორგანოდან" (რომელშიაც წესების თანახმად ქვეყნდება არჩევნებში მონაწილეობის მიმღებ ჯგუფების პროგრამები). პლაკატები პოლიციას ჯერ-ჯერობით არ ჩამოუხსნია, მაგრამ ბლოკის მიერ გამოშვებულ მოწოდებას კონფისკაცია უყვეს.

ვარშავა, 8 თებერვალი. ლვოვიდან მიღებული ცნობებით ამ დღეებში აღმოსავლეთ გალიციაში მომხდარ მასიურ დაპატიმრებებს კავშირი აქვს სეიმის მომავალ არჩევნებთან. ლვოვის პოლიცია ხშირად ხსნის დაპატიმრებებს. პოლიცია ამტკიცებს, რომ მან მიიღო ცნობები, თითქოს შუა იანვარში დანციგში შესდგა პოლონეთის კომპარტიის ყრილობა, რომელსაც დაესწრენ დელეგატები აღმოსავლეთ გალიციიდან; პოლიცია ამტკიცებს, რომ ამ ცნობების მიხედვით მომხდარმა ჩხრეკამ თითქოს „დიდი შედეგები" გამოიღო. სულ დაპატიმრებულია 50-მდე კაცი. გუშინ ლვოვში პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა უნდოს (უკრაინის ნაციონალურ - დემოკრატიული გაერთიანება) ბინაზე და უნდოს ორ ორგანოს „დილო"-ს და „გრომადსკი გოლოს"-ის რედაქციებში. პოლიციამ წაიღო ბევრი დოკუმენტები და დააპატიმრა „გრომადსკი გოლოს"-ის ორი თანამშრომელი (ადს).

საბჭოთა ნავთის გამარჯვება ინგლისში

ლონდონი, 7 თებერვალი. ნავთის პროდუქტების რუსეთის ამხანაგობა („როპ"), რომელიც ინგლისში ანაწილებს საბჭოთა ნავთს დიდი წარმატებით ანვითარებს თავის ოპერაციებს, მიუხედავად „შუბლომაართა" მოწოდებისა, რომ ბოიკოტი გამოეცხადოს საბჭოთა ნავთს. მერტენში (დეოგეში) „როპ"-მა შეიძინა სამფლობელოდ მთელი რკინისგზის სადგური: სადგური და რკინის გზის კანცელიარია გადაკეთდება „როპ"-ის კანტორად. სადგურის მახლობლად „როპ"-ს აქვს დიდი საწყობი.

რა ესიზმრებათ ბურჟუაზიულ გაზეთებს

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს განცხადება

მოსკოვი, 8 თებერვალი. უკანასკნელ დღეებში უცხოეთის პრესის ზოგიერთი ორგანოები ავრცელებდენ შეთხზულ ცნობებს იმის შესახებ, რომ ვითომც ზღვის რაიონში, რომელიც ფეოდოსიის ნავთსადგურს ეკვრის, ჩაყრილია ნაღმები და დახურულია მიმოსვლა სავაჭრო გემებისათვის. როგორც გამოირკვა თურქეთიდან მოსული ცნობებით, უცხოეთის პრესის მიერ გავრცელებული ყალბი ცნობები პირველი წყარო არის ინგლისის გენერალური საკონსულო სტამბოლში. თურქეთის ოფიციოზური გაზეთი „მილიეტი" იუწყება, რომ ბრიტანეთის კომერციულმა ატაშემ სტამბოლში სავაჭრო ფლოტის სტამბოლის სამმართველოს აცნობა, რომ საბჭოთა მთავრობამ დახურა ფეოდოსიის ნავთსადგურში შესვლა ყველა გემებისათვის. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო ადასტურებს, რომ ეს ხმები გამომდინარეობს ინგლისის წარმომადგენელთაგან სტამბოლში და აღნიშნავს, რომ ეს ხმები არაფრით არ მართლდება. მიუხედავად უარყოფისა, ზემოხსენებული წყაროდან გავრცელებული ყალბი ცნობები კვლავ იბეჭდება საზღვარგარეთ.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს დავალება აქვს კატეგორიულად განაცხადოს, რომ ეს ხმები თავიდან ბოლომდე წარმოადგენს შეთხზულ ჭორს, რომელსაც არავითარი საფუძველი არ აქვს (ადს).

შეურაცხყოფილი „უმანკოება"

ციხე — როსკიპ ქალთან შედარებისათვის

ნიუ-იორკი, 7 თებერვალი. 7 თებერვალს დააპატიმრეს „დეილი უორკერი"-ს (კომუნისტური პარტიის ორგანო) რედაქტორი დენნი, იმავე გაზეთის ყოფილი რედაქტორი ბიტელმანი და გაზეთის ყოფილი ადმინისტრატორი მილერი, რომელთაც წარუდგინეს ბრალდება „ზრდილობიანობის კანონის" დარღვევაში. ბრალდება დამყარებულია იმაზე, რომ წარსული წლის მარტში გაზეთში დაიბეჭდა პოემა, რომელშიაც ამერიკას ადარებდენ როსკიპ ქალს. დენნისა და სხვების დაპატიმრება წარმოადგენს ახალ ცდას შექმნან საბაბი „დეილი უორკერ"-ის დახურვისათვის. დენნი უკვე იჯდა 1 თვე ციხეში მანამ, სანამ საქმე გაირჩეოდა და პირველად, მილერი იჯდა ერთი კვირა. „დეილი უორკერი"-ს რედაქცია ამ საქმის გამო უკვე დაჯარიმეს 500 დოლარით. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო სცნობს მათ დამნაშავედ, ბრალდებულთ მოელის დაპატიმრება 5 წლამდე. ამავე დროს გაცემულია ბრძანება უორკერს პარტიის ცაკის წევრ ენგდალის დაპატიმრების შესახებ (ადს).

იაპონიისათვის კელოგის მიუღებელია წინადადება

ტოკიო, 7 თებერვალი. ადგილობრივი პრესის ცნობით, იაპონიის საზღვაო წრეები გამოსთქვამენ აზრს კელოგის წინადადების წინააღმდეგ წყალქვეშა ნავების მოსპობის შესახებ. ეს წინადადებაა, მათი აზრით, შეუსრულებელია, ვინაიდან წყალქვეშა ნავები წარმოადგენს ერთად-ერთ საიმედო საშუალებას პატარა სახელმწიფოთა დასაცავად. მაგრამ ისინი მაინც აცხადებენ თანხმობას სერიოზულად განიხილონ ეს წინადადება, თუ ის ოფიციალურად იქნება წარმოდგენილი. (ადს).

ქალთა საარჩ. უფლებები

ლონდონი, 7 თებერვალი. ბოლდუინმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ კანონპროექტი საარჩევნო უფლების გაფართოების შესახებ საშუალებას მისცემს ქალებს, რომელთაც მიაღწიეს 21 წლის ასაკს, მონაწილეობა მიიღონ პარლამენტის ახალ არჩევნებში. ამჟამად ინგლისში ქალები საარჩევნო უფლებით სარგებლობენ მხოლოდ 30 წლის ასაკამდე მიღწევის შემდეგ (ადს).

აკადემიკოს ბენუას გარდაცვალება

ლენინგრადი. 8 თებერვალი. 8 თებერვალს ღამით, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ხუროთმოძღვრების პროფესორი გიორგი ნიკოლოზის-ძე ბენუა. (ადს).

საბჭოთა კავშირში

იაროშჩუკისა და სხვათა საქმე

არტემოვსკი, 8 თებერვალი. იაროშჩუკისა, შილინისა და სხვათა საქმის გამო გრძელდება მოწმეების დაკითხვა. სასამართლო არკვევს — გახეული ჰქონდა თუ არა შილინას ქეიფის დღეს საცვლები, რასაც მნიშვნელობა აქვს შილინას გაუპატიურების ცდის საკითხის გამოსარკვევად. მოწმეთა ერთი მეორეს საწინააღმდეგო ჩვენების გამო, სასამართლო სინჯავს ნივთიერ საბუთს— შილინას საცვალს, რომელიც გახეულია რამოდენიმე ადგილას. სასამართლო აქვეყნებს აგრეთვე შილინას განკვეთის აქტს. შემდეგ საქმის ვითარების საკმაოდ გამორკვევის გამო, სასამართლომ შესწყვიტა მოწმეების დაკითხვა (ადს).

მანქანათა აგების ახალი რეკორდი

ლენინგრადი, 8 თებერვალი. ქარხანამ „ელექტროსილამ" გამოუშვა 6 ათასი კილოვატი ტურბოგენერატორი. დღევანდლამდე დამზადებული ტურბოგენერატორების სიმძლავრე არ აღემატებოდა 5 ათას კილოვატს.

ყინვები ყირიმში

სიმფეროპოლი, 8 თებერვალი. ყირიმში კვლავ ზამთრის იშვიათი და მკაცრი ამინდია. გაყინა არა მარტო ქერჩის სრუტე და კარკინიტის ყურე (ყირიმის სანაპიროს დასავლეთით), არამედ ფეოდოსიის ნავთსადგურიც რომელიც ჩვეულებრივ არ იყინება. ასეთი ყინვები უკვე 30 წელიწადია, რაც ფეოდოსიაში აღარ ყოფილა (ადს).

მღვდელი— კონტრ-რაზვედკის აგენტი

პერმი, 8 თებერვალი. დამთავრდა მღვდელ კონიუხოვის საქმე. კონიუხოვი 1918 წელში თეთრებთან მსახურობდა საიდუმლო აგენტად კონტრ-დაზვერვაში. მისი მითითებით დახვრეტილ იქნა 40 კომუნისტი. კონიუხოვს მიუსაჯეს დახვრეტა (ადს).

ყინვები ხარკოვში

ხარკოვი, 8 თებერვალი. ყინვამ 27 გრადუსს მიაღწია. ამბულატორიაში გატარდა—100-ზე მეტი კაცი, რომელთაც დამზრალი აქვთ ყურები და ხელისა და ფეხის თითები.

ამხ. მიქოიანი ტყავის მრეწველობის შესახებ

მოსკოვი, 8 თებერვალი. 7 თებერვალს ვაჭრობის სახ. კომისარმა ამხ. მიქოიანმა მეტყავეთა საკავშირო ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა, რომ ტყავის მრეწველობა ზრუნველყოფილ უნდა იქნეს საკუთარი ნედლეულის ბაზით ჩვენს ქვეყანაში. ძირითადი ლოზუნგია: მივაღწიოთ ტყავის წარმოების სწორ ორგანიზაციას, მის სპეციალიზაციას, მოწყობილობისა და ნედლეულის სისწორით განაწილებას და აგრეთვე გლეხთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ტყავის მრეწველობის განვითარების ამ ძირითადი პირობების შესრულებით მეტყავეები შეუწყობენ ხელს ჩვენი სოციალისტური მრეწველობის პროგრესს.

ინგლისისა და საბჭოთა კოოპერაციის ურთიერთობა

მოსკოვი, 8 თებერვალი. ინგლისიდან დაბრუნებულმა საბჭოთა კოოპერატიულ დელეგაციის მეთაურმა და „ცენტროსოიუზ"-ის თავმჯდომარემ ამხ. ლიუბიმოვმა განაცხადა, რომ მიღწეული შედეგების თვალსაზრისით დელეგაციის მიერ ჩატარებული მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. დელეგაციის ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებში მეგობრულად ხვდებოდნენ, განსაკუთრებით იმ ორგანიზაციებში, რომელთა დელეგატებმა ინახულეს საბჭოთა კავშირი (ადს).

პრობკის ხის გაშენება ამიერ-კავკასიაში

ლენინგრადი, 8 თებერვალი. გამოკვლევებით ბოტანიკის ინსტიტუტმა გამოარკვია, რომ ყირიმის სამხრეთ ნაწილში და ამიერ-კავკასიაში შესაძლებელია პრობკის ხის გაშენება. მუხის ქერქიდან მზადდება პრობკა, რომელიც დღემდე უცხოეთიდან შემოგვქონდა. ახლო ხანში ჩატარებული იქნება მუშაობა ამიერ-კავკასიაში პრობკის ხის გასაშენებლად (ადს).



გლეხები სესხის შესახებ

წერილი ამხ. მ. ი. კალინინისადმი

ტვერი, 8 თებერვალი. თუ რა წარმატებით მიდის სესხის განაღდების საქმე სოფლის ღარიბ ფენებს შორის, შემდეგი ფაქტი მოწმობს: ილინის ვოლოსტის სოფელ შალიმოვოს გლეხებმა განიხილეს სესხის საკითხი და ერთხმად დაადგინეს, რომ მთელ სოფელს მოეწერა ხელი სესხზე. სოფელმა 44 კაცის ხელმოწერილი კოლექტიური წერილი გაუგზავნა ამხ. მ. ი. კალინინს, რომელსაც შემდეგს სწერენ: „ჩვენი სოფელი ღარიბია, ჩვენში სულ 74 სახლკარია, აქედან 44 განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან. ჩვენ გავერკვიეთ და გავიგეთ სესხის სარგებლობა და ვესალმებით საბჭოთა მთავრობას იმ მზრუნველობისათვის, რომელსაც ის იჩენს გლეხობის მიმართ. ჩვენ მის დაუხმარებლად და [illegible] გარეშე მეურნეობას ვერ გავამაგრებთ. მიხეილ ივანეს ძე, გამოუშვი კიდევ გლეხთა სესხი—ჩვენ გავასაღებთ". (ადს)..

სესხის რეალიზაციის კამპანია საკრ. ამხანაგობებში

საქართველოს სასოფლო-სამ. საკრედიტო ამხანაგობებში უკვე შეუდგენ სამზადისს გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციისათვის.

ამჟამად სასოფ.-სამ. საკრედიტო სისტემის ხაზით მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კამპანია; სარგებლობენ რა ამ შემთხვევით, „სოფლის კავშირის" რაიონული ინსტრუქტორები და საქ. სასოფ.-სამ. ბანკის რაიონული ინსტრუქტორები საკრედიტო ამხანაგობების წევრთა საერთო კრებებზე გამოდიან მოხსენებებით, სადაც აცნობენ დამსწრეებს სესხის მნიშვნელობას.

საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკის ცნობით, ასეთი მოხსენებები ჩატარებულია მარნეულის (ბორჩალოს მაზრა) და საგარეჯოს (თბილისის მაზრა) საკრედიტო ამხანაგობებში.

მარნეულში მოხსენებებით გამოვიდა ბანკის ინსპექტორი შ. ფოფხაძე, რომელმაც გააცნო გლეხობას სესხის მნიშვნელობა და დანიშნულება.

კრებას დაესწრო 1.700 კაცი (საკრედიტო ამხანაგობების წევრები), რომელთაც დაადგინეს ყველამ შეიძინოს სესხის ობლიგაციები.

საგარეჯოში ინფორმაციული მოხსენებით ამავე საკითხზე გამოვიდა ინსპექტორი გ. კოკვაძე.

რათა უფრო გაცხოველდეს სესხის რეალიზაციის კამპანია, ხვალ საქ. სასოფ.-სამ. ბანკის ინსპექტორები მიემგზავრებიან ადგილებზე.

ელგუჯა.

ტრანსპორტი და სესხი

ა.-კავკ. რკინიგზების გამგეობამ გზათა კომისარიატიდან მიიღო კომისრის მოადგილის ამხ. ხულიმოვის მიერ ხელმოწერილი დეპეშა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციისათვის ხელის შეწყობის შესახებ.

გზათა კომისარიატი წინადადებას აძლევს ტრანსპორტის ორგანოებს ადგილებზე შეუთანხმდენ და მჭიდრო კავშირი დაამყარონ სესხის რეალიზაციის საქმეში ადგილობრივ საფინანსო ორგანოებთან და აღმასკომებთან.

ტრანსპორტის ორგანოები სესხის გავრცელებაში გამოყენებული იქნებიან საკომისიო აპარატის სახით.

როგორც დეპეშიდან სჩანს, ტრანსპორტის ორგანოები, რომელთაც სურთ სესხის რეალიზაციის წარმოება სოფლებში, ადგილობრივ აღმასკომებთან სდებენ სათანადო ხელშეკრულებებს და გასაღებულ სესხის საერთო ჯამიდან საკომისიო გასამრჯელოდ მიიღებენ 2 პროცენტს.

ის ორგანოები კი, რომლებიც სესხს გაასაღებენ დაბა-ქალაქებში, ხელშეკრულებას დასდებენ საფინანსო ორგანოებთან და საკომისიოს მიიღებენ ერთ პროცენტს გასაღებულ ობლიგაციების საერთო რაოდენობიდან.

საკავშირო თათბირი შრომის დაცვის საკითხებზე

მოსკოვი, 8 თებერვალი. 7 თებერვალს შრომის დაცვის საკავშირო თათბირზე მოსმენილ იქნა მოხსენებები შრომის დაცვის მდგომარეობის შესახებ უკრაინაში, აზერბეიჯანში და ურალის ოლქში. შრომისა და პროფესიონალურ გაერთიანებათა ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებმა მკაცრად გააკრიტიკეს მრეწველობის ორგანოების მუშაობა უშიშროების ტეხნიკისა და სამრეწველო სანიტარიის განხორციელების საქმეში, გააკრიტიკეს აგრეთვე შრომის დაცვის ორგანოების მუშაობის ხელმძღვანელობა ცენტრის მხრივ.

აზერბეიჯანის შრომის სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. ანანკინმა გააკეთა მოხსენება შრომის დაცვის მდგომარეობის შესახებ ბაქოს ნავთის სარეწაოებში. მომხსენებელმა განაცხადა, რომ შრომის დაცვა სარეწაოებში უკანასკნელ დრომდის თითქმის არ ტარდებოდა. ეხლა ეს ხორციელდება მხოლოდ სამრეწველო-საფინანსო გეგმის ფარგლებში. კაპიტალური მშენებლობის სერიოზული ნაკლი ნავთის მრეწველობაში არის ის, რომ თითქმის არ არსებობს მშენებლობის გეგმა და სპეციალური ღონისძიებანი უშიშროების ტეხნიკის დარგში.

ახალი მანქანების გამოწერა არ არის შეთანხმებული შრომის სახ. კომისარიატის ორგანოებთან. ძალიან ცუდ მდგომარეობაშია სარეწაოებში სამუშაო დღის მოწესრიგების საკითხი. 1926 წელში დაშვებულ იქნა 8.465.000 ზედმეტი სამუშაო საათი, ხოლო 1927 წელში ამ რიცხვმა მიაღწია 12 მილიონამდე. შრომის დაცვის ეს დარგი სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს.

აზერბეიჯანის მემაღაროეთა კავშირის ცეკას წარმომადგენელმა ამხ. ბელოკოლენსკიმ გააკრიტიკა შრომის სახ. კომისარიატის ორგანოების მუშაობა და განაცხადა, რომ ამ ორგანოებს ძალიან მცირე ავტორიტეტი აქვთ. ხშირად გვესმის სამეურნეო მუშაკებისგან, რომ ისინი გააკეთებენ იმას, რაც მათ უნდათ და არა ისე, როგორც ამას მოითხოვენ შრომის დაცვის ორგანოები; შრომის დაცვის ორგანოები ვერ იყენებენ თავის უფლებებს (ადს).

ყოფ. წითელ მეთაურთა მოწყობა სამსახურში

მოსკოვი, 8 თებერვალი. 1926 წ. შემოდგომაზე გამოცემული იყო საკავშირო მთავრობის დადგენილება მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებიდან დათხოვნილ მეთაურთა შემადგენლობისათვის დაწესებულებებში ადგილების სამი პროცენტის შენახვის შესახებ. ამა წლის დასაწყისში სამოქალაქო სამსახურში მოწყობილთა საერთო რიცხვი 25.000 კაცს აღწევს. მიღებულია ყოველგვარი ზომები, რათა წითელი არმიის ათი წლის თავისათვის საბოლოოდ აღმოიფხვრას უმუშევრობა წითელი არმიის რიგებიდან დათხოვნილ მეთაურებს შორის. ამ მიზნით ადგილების სამ პროცენტიანი ჯავშანი გავრცელებულია ამჟამად არა მარტო კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებებზე, არამედ კერძო საქციო საზოგადოებებზეც (ადს).

პარტიული ცხოვრება

თბილისის კომიტეტში

სამ თებერვალს თბ. კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა ცენტრალური პარტსკოლის მოხსენება 1927-28 წლის პირველი სემესტრის შედეგების შესახებ.

პრეზიდიუმმა მიღებულ დადგენილებაში აღნიშნა, რომ ცენტრალური და თბილისის პარტსკოლების გაერთიანება სრულიად მიზანშეწონილი გამოდგა, რაც გამოიხატა იმაში, რომ შესამჩნევად გაუმჯობესდა სკოლის მატერიალური მდგომარეობა, იგი უზრუნველყოფილ იქნა პარტიული მუშაკებით, კურსანტების სოციალური და პარტიული შემადგენლობა წარსულთან შედარებით ბევრად უფრო დამაკმაყოფილებელია, სწავლა-აღმზრდელობითი მუშაობა თანდათან უმჯობესდება და სხვ.

პრაქტიკულ მითითებებში პრეზიდიუმმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მიმდინარე მომენტის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა პარტიული აქტივის საერთო კულტურული და პოლიტიკური დონის აწევა, რასაც უნდა ემსახუროს პარტიული სკოლა. რომ ეს მუშაობა უკეთეს ნიადაგზე იქნეს დაყენებული, ამისთვის საჭიროა ც. პარტსკოლამ მომავალი წლისათვის ყურადღება მიაქციოს ახალ მისაღებ კურსანტთა თანაბარი მომზადების მქონე შემადგენლობის შერჩევას. აუცილებელია აგრეთვე მომავალი წლისათვის გამოიცეს სკოლისათვის საჭირო სახელმძღვანელოები და სამოსწავლო ხელსაწყოები ქართულ ენაზე.

სკოლის ხელმძღვანელები უნდა შეეცადონ, რომ სწავლის ყოველი ნაბიჯი დაუკავშირონ პრაქტიკულ მუშაობას, თანამედროვე საკითხთა შესწავლას.

პარტიული სკოლის ამოცანაა არა მარტო სწავლის მიცემა კურსანტებისათვის, არამედ ამ უკანასკნელთა პოლიტიკური აღზრდაც. ამ საქმისათვის კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკოლის გარეშე პრაქტიკულ მუშაობის წარმოებას. ეს მუშაობა უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ კურსანტები საზამთრო და საზაფხულო არდადეგების დროს მიმაგრებულ იქნენ წარმოებით უჯრედებზე სამუშაოთ.

სკოლის გარეშე პრაქტიკული მუშაობის აღნუსხვას უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს ც. პ. სკოლის ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

ამას გარდა პრეზიდიუმმა გამოიტანა მთელი რიგი წინადადებებით პარტსკოლის ორგანიზაციული ხასიათის საკითხებზე.

კანდიდ.

შორდებიან ოპოზიციას

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრებმა ამხ. ვართან პეტროსიანმა, არსენ მაქაცარიამ, აკაკი შარაშიძემ, პარმენ სოხაძემ და ჯანჯღავამ საქ. კომპარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისიას წარუდგინეს განცხადება ოპოზიციისაგან ჩამოშორების შესახებ.

ამხ. ვართან პეტროსიანი, მუშა პარტიის წევრი 1918 წლიდან, სწერს:

„ოპოზიციის მოქმედება, თუნდაც იგი სიტყვიერად უარყოფდეს მეორე პარტიის შექმნის სურვილს, თავისთავად იწვევს მეორე პარტიის შექმნას.. ჩვენთვის ცხადია ოპოზიციის ანტილენინური და მენშევიკური ხასიათი".

ამხ. პარმენ სოხაძე, პარტიის წევრი 1917 წლიდან, აცხადებს:

„მთლიანად ვუერთდები პარტიის უმრავლესობის დადგენილებებს. დავრწმუნდი, რომ ოპოზიციის დეზორგანიზატორული მოქმედება შეუწყნარებელია ჩვენს პირობებში. მისი შეხედულებანი აშკარად ანტილენინურია და დამღუპველია ოქტომბრის მონაპოვართათვის. [illegible] შეგნებული ლენინელი — ბოლშევიკი მოვალეა ებრძოლოს ამ მიმართულებას. ვწყვეტ ორგანიზაციულ და იდეურ კავშირს ოპოზიციასთან და მხარს უჭერ მე-15 პარტიული ყრილობის ყველა დადგენილებას".

ოპოზიციისაგან ჩამოშორების შესახებ განცხადება შეიტანეს აგრეთვე შემდეგმა ამხანაგებმა სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრედიდან: პავლე მინდიაშვილმა, მუშა, პარტიის წევრი 1919 წლიდან; სტეფანე ჩურსინმა, ამიერ - კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტი, პარტიის წევრი 1921 წლიდან; გალაქტიონ ხუციბერიძემ, მუშფაკელი, მუშა, პარტიის წევრი 1925 წლიდან; მიხეილ მუმლაძემ, მუშფაკელი, მუშა, პარტიის წევრი 1926 წლიდან; იოსებ მაზიაშვილმა, მუშა პარტიის წევრი 1926 წლიდან და კომკავშირის წევრი 1923 წლიდან; გიორგი ხარჯანოვმა, მუშა, პარტიის წევრი 1921 წლიდან; დავით ლეჟავამ, პარტიის კანდიდატი; ნოე ჯინჯარაძემ, პარტიის წევრი 1918 წლიდან; შ-ლვა ლოლომაძემ, პარტიის წევრი 1918 წლიდან; დიმიტრი სიხარულიძემ, კომკავშირის წევრი 1919 წლიდან, პარტიის წევრი 1925 წლიდან; ია მიქაძემ, პარტიის წევრი 1921 წლიდან; სერგო თაბაგარმა, პარტიის წევრი 1919 წლიდან.

უჯრედთა მდივნების მოადგილეების შესახებ

პარტ-მუშაობის პრაქტიკაში მიღებულია და ბევრ ადგილას ტარდება უჯრედების მდივნების მოადგილეების სისტემა, რასაც უეჭველად სათანადო ნაყოფიც მოაქვს.

ბევრია შემთხვევები, რომ დანიშნულია ამა თუ იმ უჯრედის კრება, მაგრამ ხშირად ის არ სდგება სხვათა შორის შემდეგი მიზეზების გამო: უჯრედის მდივანი ავად გახდა ან მივლინებაშია სამსახურის გამო ან კიდევ „სხვაგან მოუხდა წასვლა პირადი საქმეების გამო".

აგრეთვე ხშირად საჭირო ხდება კრების მოწვევა რიგს გარეშე, თემკომი, რაიკომი ან თვით მაზრკომი უგზავნის განკარგულებას უჯრედის (თემკომის) მდივანს, მაგრამ უჯრედის მდივანი დანიშნულ ადგილზე არაა. ბიუროს წევრები პასუხისმგებლობას იხსნიან. კრების მოწვევა ხშირად შეუძლებელი ხდება.

რომ ასეთ მოვლენებს ადგილი არ ექნეს რომ ჩვენი კრებები უფრო ნაყოფიერი და დაინტერესებელი იყოს, მეტი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ ასეთ „წვრილმანებს", რისთვისაც საჭიროა:

უჯრედის მდივნები მეტ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ და როცა მათ სხვადასხვა საქმეებისა გამო მივლინებებში უხდებათ წასვლა, უნდა დასტოვონ თავიანთი მოადგილე.

ამიტომ სასურველია საერთოდ შემოღებულ იქნეს ბიუროების და თემკომების მდივნების მოადგილეთა სისტემა. მდივნების მოადგილეებათ გამოყოფილ უნდა იქნას ბიუროს (ან თემკომის) საუკეთესო წევრი, რომელიც მდივანთან ერთად უშუალოთ ჩაებმება უჯრედის მუშაობაში, დაწვრილებით გაეცნობა მას და ექნება საშუალება საჭიროების დროს უხელმძღვანელოს უჯრედს. ეს ხელს შეუწყობს მდივნების განტვირთვასაც და მუშაობის ნაყოფიერებასაც.

მ. ბარამია.

როგორ მუშაობს საგარეჯოს პიონერთა ორგანიზაცია

(თბილისის მაზრა)

საგარეჯოს რაიონის ნორჩ პიონერთა ორგანიზაცია 1927 წლის მეორე ნახევარში დაძლის გზას დაადგა. ეს უმთავრესად გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: უჯრედები ვერ უწევდენ ბავშვთა ორგანიზაციას სწორ ხელმძღვანელობას და ამასთანავე თემკომს არ მოეძებნებოდა ისეთი მომუშავე, რომელიც შესძლებდა დაშლილ ორგანიზაციის ხელახლა შედგენას და ამუშავებას. თემკომის წინაშე მწვავედ დაისვა საკითხი ძლიერი ხელმძღვანელის გამოძებნაზე. საკითხი დროზე მოგვარდა. ნ.-პ. თემ-ბიუროს თავმჯდომარეთ გამოყოფილ იქნა იგივე ფიზკულტურის ინსტრუქტორი ამხ. ალ. მეზვრიშვილი. მისი ენერგიული მუშაობით პიონერთა ორგანიზაცია მალე გამოცოცხლების გზაზე დადგა. დღეს საგარეჯოს რაიონის ყველა სოფლებში დაარსებულია ნ.-პ. კოლექტივი, რომლებიც აერთიანებენ 400-ე ნორჩ პიონერს და 160 ოქტომბრელს. ყველა კოლექტივებთან არსებობს ცალკე საბჭოები. კოლექტივებში სისტემატიურად ტარდება საუბრები. დაარსდა საგარეჯოს და მანავის თემში კედლის გაზეთები. ქოხ-სამკითხველოებში მოეწყო პიონერთა კუთხეები. იმართება ხშირად პიონერთა დილები-წარმოდგენები. ეწყობა შაბათობები. პიონერები ჩაბმული იქნენ გასამხედროების წრეებში. დაარსდა პიონერთათვის დომინოს და ჭადრაკის შემსწავლი წრეები. სხვადასხვა რევოლიუციონურ დღესასწაულებს ყოველთვის ამშვენებს მრავალრიცხოვან პიონერთა ორგანიზაციის მწყობრი გამოსვლები. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ პიონერებს არა აქვთ შესაფერისი ტანისამოსი. საჭიროა თბილისის ნ.-პიონერთა ბიურომ ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ახლად შექმნილ ორგანიზაციას.

ილ. ბ—ლი.

მეცნიერება და ცხოვრება

(თბილისის უნივერსიტეტის ათი წლის თავისათვის)

> «Нам надо во что бы то ни стало поставить себе задачей для обновления нашего госаппарата: во-первых, учиться, во-вторых, учиться и в-третьих, учиться и затем проверять то, чтобы наука у нас не оставалась мертвой буквой или модной фразой, чтобы наука действительно входила в плоть и кровь, превращалась в составной элемент быта вполне и настоящим образом» *)
>
> ЛЕНИН.

I.

ვფიქრობ, ზევით მოყვანილი სიტყვები არ საჭიროებენ ახსნა-განმარტებას, ისინი უნაკლულოდ და სავსებით გამოხატავენ მეცნიერების მნიშვნელობას მშრომელი ხალხისათვის, მისი ყოფა-ცხოვრებისათვის, კერძოდ, ეს სიტყვები ზედგამოჭრილია საქართველოს პირობებისათვის. მეცნიერების კერას დღეს ჩვენში უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს თბილისის უნივერსიტეტი, რომელსაც მხოლოდ ამა წლის 8 თებერვალს შეუსრულდა ათი წელიწადი. ეს ვადა მეტად მცირე დროა უნივერსიტეტის ცხოვრებაში, უნივერსიტეტის ზრდისა და განვითარებისათვის. უნივერსიტეტის შექმნა არ შეიძლება აჩქარებით, ამისათვის საჭიროა არა თუ ათეული წლები, არამედ საუკუნოებიც. დღემდის ყოველ შემთხვევაში ეს ასე იყო. ცნობილ უნივერსიტეტებს ევროპაში და რუსეთშიაც არა თუ რამოდენიმე ათეული წლების, არამედ რამოდენიმე საუკუნოების არსებობის ისტორია აქვთ.

იმათ შექმნას და განვითარებას მოუნდა მეცნიერთა და მასწავლებელთა რამოდენიმე ათეული თაობათა თავგანწირული გონებრივი შრომა და აურებელი ნივთიერი სახსარი. თვითეულ ასეთ უნივერსიტეტს აქვს თავისი საკუთარი საგულისხმიერო ისტორია. ეს ძველთა ძველი უნივერსიტეტები ცოცხალი მოწმენი არიან მრავალ ისტორიულ, სოციალურ და კულტურულ ცვლილებათა და პოლიტიკურ რევოლიუციებისაც. მაგრამ რაც ყველაზე მეტად საყურადღებოა, ეს ის, რომ ამ უხუცეს უნივერსიტეტთა ლაბორატორიებში მეცნიერები ახდენენ სხვადასხვა აღმოჩენებს და გამოგონებებს, იმუშავებდენ თეორიებს და ქმნიდენ ჰიპოტეზებს,—და ყოველივე ეს ხელს უწყობდა კაცობრიობის წინსვლას, საზოგადოების საწარმოო ძალთა ზრდა-განვითარებას როგორც ხედავთ, ამ ძველ უნივერსიტეტებს მიუძღვით ღვაწლი კაცობრიობის წინსვლაში. მაგრამ იმათი უდიდესი ნაკლი ის იყო, რომ ისინი ხალხს სრულიად დაშორებული იყვნენ. ისინი ცხოვრობდნენ თავისი განსაკუთრებულ ცხოვრებით, და გამოდიოდა ისე, რომ ისინი მუშაობდენ არა ხალხისთვის, არამედ თვით მეცნიერებისათვის: ასე რომ მეცნიერების ტაძარი—უნივერსიტეტი ხალხისთვის მიუწდომელი იყო, უნივერსიტეტი ხალხის თვალში რაღაც საიდუმლოებით იყო მოცული. დროთა განმავლობაში ასეთი მდგომარეობა თანდათან იცვლებოდა და უკანასკნელ ხანებში უნივერსიტეტები უფრო და უფრო ფართედ უღებდენ თავის კარებს იქ შესვლის მსურველთ, მაგრამ ამერიკის და ევროპის უნივერსიტეტები აქამდის განაგრძობენ განკერძოებით მუშაობას, ისინი მაინც ისე რიგად ვერ დაუახლოვდენ უბრალო, მშრომელ ხალხს. ეს აიხსნება განსაკუთრებით ბურჟუაზიის, ვაჭარ მრეწველთა და მემამულეთა კლასების ბატონობით. სწავლა-ცოდნა, მეცნიერება, მაღალი ტეხნიკა და ხელობა [illegible] დიდ იარაღს და საშუალებას წარმოადგენენ ცხოვრებაში; ამიტომ აშკარაა, ვინც ჰფლობს ამ იარაღს, მას საშუალება ეძლევა გამოიყენოს სწავლა-ცოდნა ცხოვრებაში თავის კერძო ინტერესებისათვის სხვის დასაჩაგრავად. მაშასადამე, სწავლა-ცოდნის შეძენა ანიჭებს კერძო პირს დიდ უპირატესობას იმათ წინაშე, ვინც მოკლებულია ამ ცოდნას. ამიტომ თავის თავად იგულისხმება, რომ გაბატონებული კლასები ყველგან და ყოველთვის ყოველგვარ ზომებს ღებულობდენ, რათა ის უპირატესობა, რომელსაც იძლევა სწავლა-ცოდნა, თავის ხელიდან არ გაეშვათ. აქედან ყოველგვარი დაბრკოლება და შეზღუდვა, რათა მშრომელი ხალხისთვის უმაღლესი სპეციალური ცოდნის მიღება გაეძნელებინათ და თითქმის შეუძლებელიც გაეხადათ.

ასე იყო ყოფილი რუსეთის მეფეთა იმპერიაში ოქტომბრის დიდებულ რევოლიუციამდე. ასეა დღემდის თავისი ყალბი დემოკრატობით განთქმულ ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. და ეს სრულიად ბუნებრივია იმ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წესწყობილებისათვის, რომელიც ბურჟუაზიულ ქვეყნებში არსებობს, ამ მხრით მხოლოდ საბჭოთა ქვეყნებში მოხდა ძირითადი ცვლილება, რადგანაც აქ სამუდამოთ მოისპო ბურჟუაზიის ბატონობა და ჰეგემონობა.

ამიერიდან საბჭოთა ქვეყანაში უნივერსიტეტი და საერთოდ ყველა უმაღლესი სკოლა, გახდა მართლა სახალხო და იქ შესვლის უპირატესობა მიეცათ მშრომელი ხალხის, მუშების და გლეხების შვილებს.

ამგვარად, უმაღლესი სკოლების და მათ რიცხვში უნივერსიტეტების სახე საბჭოთა ქვეყნებში სრულიად გამოიცვალა. ოქტომბრის რევოლიუციამდე დიდ უმრავლესობას იქ შეადგენდენ შეძლებული და მქონებელი კლასების—კაპიტალისტების, მემამულეების, გრაფების, თავადების და სხვ. მყვლეფელთა შვილები, დღეს კი მათი ადგილი დაიჭირეს მუშების, გლეხების და ხელოსნების შვილებმა, ე. ი. მოხდა უმაღლესი სკოლების სრული და ნამდვილი დემოკრატიზაცია.

ახლა გადავიდეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე.

II.

თბილისის უნივერსიტეტი სულ ახალგაზრდა უმაღლესი სასწავლებელია მას მხოლოდ ახლა გაუთავდა პირველი ათეული წელიწადი. იმავე დროს ის რუსეთის დიდი ოქტომბრის რევოლიუციის ღვიძლი შვილია. მართალია, თბილისის უნივერსიტეტი იშვა მენშევიკების ბატონობის დროს საქართველოში, მაგრამ მისი არსებობის, ზრდის და განვითარების დრო უმთავრესად ეკუთვნის საბჭოების ხანას. რა თქმა უნდა, ყველა ეს გარემოება ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, როცა თბილისის უნივერსიტეტზე ვლაპარაკობთ. ყველაზე უფრო საყურადღებო აქ ის არის, რომ თბილისის უნივერსიტეტის გახსნა მჭიდროდ დაკავშირებულია რუსეთის 1917 წლის დიდ რევოლიუციასთან და ამ რევოლიუციის გამარჯვებასთან. ინტერეს მოკლებული არაა აქ ის გარემოებაც, რომ საკითხი თბილისში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ დაიბადა ჯერ კიდევ მეფის რეჟიმის დროს, მე-19 საუკუნის 70 წლებში, მაშინდელი საზოგადოების შედარებით უფრო პროგრესიულ წრეში. მაგრამ ვინ იყვნენ ისინი, ვინც წამოაყენა ეს საკითხი. ესენი იყვნენ ისევ ბურჟუა- ლიბერალები და მემამულეები, რომლებიც ზრუნავდენ, მხოლოდ თავიანთ შვილებისათვის, რომელთა გაგზავნა უმაღლეს განათლების მისაღებათ იმათ უჭირდებოდათ ჩრდილოეთში, სადაც აქაურ ახალგაზრდობას მეტათ ცივი ჰავის გამო უძნელდებოდათ ცხოვრება. რომ მაშინდელი მთავრობას ნება დაერთო იმ დროს თბილისში უნივერსიტეტის გახსნაზე, ის იქნებოდა, რა თქმა უნდა, რუსული და არა ქართული უნივერსიტეტი, რომელიც კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს რუსიფიკატორობას და სადაც შესვლის უფლება ფაქტიურად ექნებოდა უმეტეს ნაწილად მდიდართა და შეძლებულთ. მიუხედავად ყველა ამისა, უნივერსიტეტს თბილისში იმ დროს მაინც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. ეს უთუოდ დიდი პროგრესიული ნაბიჯი იქნებოდა, მაღალი კულტურის, მაღალი ტეხნიკის დანერგვისა ჩვენ ჩამორჩენილ ქვეყანაში. გარდა ამისა, თბილისის უნივერსიტეტი მაშინდელ პირობებშიაც, რუსეთის სხვა უნივერსიტეტების მსგავსად, შეიქნებოდა რევოლიუციონური მოძრაობის ერთ-ერთ კერად და, მაშასადამე, ის ხელს შეუწყობდა ამ მოძრაობის განვითარებას. მეფის თვითმპყრობელობა ყველა ამას ანგარიშში უწევდა, იგი ოდნავადაც არ იყო დაინტერესებული ჩვენი ქვეყნის კულტურის განვითარებაში, მისი საწარმოო ძალების ზრდაში, პირიქით, იგი, ატარებდა რა აქ პირწავარდნილ კოლონიალურ პოლიტიკას, ყოველივე ამას ეწინააღმდეგებოდა მაგრამ რისიც მეფის თვითმპყრობელ მთავრობას ყველაზე უფრო ეშინოდა, —ეს იყო რევოლიუციონური მოძრაობა. ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ მაშინდელი მთავრობა ასე გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში თბილისში უნივერსიტეტის დაარსებას. ამ ხნის განმავლობაში შუამდგომლობათა გზავნა არ შეწყვეტილა, მაგრამ მთავრობა ყველა ამ შუამდგომლობაზე უარს ამბობდა. ბოლო ხანებში იწყეს ლაპარაკი უნივერსიტეტის მაგიერ თბილისში პოლიტეხნიკუმის გახსნის შესახებ. თითქო მთავრობა არ იქნებოდა წინააღმდეგი პოლიტეხნიკუმის გახსნის, თუ ქ. თბილისი და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქები ამისთვის საჭირო თანხას გაიღებდენ და შენობისათვის მიწას უფასოდ დაუთმობდენ. მაგრამ ახლა პოლიტეხნიკუმისათვის ადგილის არჩევის ნიადაგზე გაჩაღდა,—როგორც იტყვიან „დიდი ომი" ორ ბანაკს შორის: თბილისის სოვდაგრებსა და ქართველ თავად-აზნაურობას შორის. სოვდაგრები თხოულობდენ პოლიტეხნიკუმის აგებას ნავთლუღში, ხოლო მეორენი ვაკეზე. ამ კინკლაობასა და დავიდარაბაში გადიოდა დრო. პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმე კი ჭიანურდებოდა, და მთავრობასაც სწორედ ეს უნდოდა.

ამნაირად, საქმე მოეწყო ისე, რომ რომანოვების დროს ვერც საქართველო და ვერც ამიერ-კავკასია საერთოდ ვერ ეღირსა ვერც უნივერსიტეტს და ვერც პოლიტეხნიკუმს, როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადი გარდატეხა მოხდა ამ მხრივ მხოლოდ მეფობის დამხობის შემდეგ, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა, რომელმაც დაიჭირა ჩამოგდებული თვითმპყრობელი მთავრობის ადგილი და რომელსაც სავსებით მხარს უჭერდა მენშევიკების პარტიაც, უნივერსიტეტის და საერთოდ უმაღლეს სასწავლებლების დაარსების საქმეში, როგორც თბილისში, ისე ამიერ-კავკასიაში დაადგა თითქმის იმავე პოლიტიკას, რასაც ადგა ათეული წლების განმავლობაში თვით მეფის მთავრობა. მან ვერ გადაიდგა ამ საქმეში გადაჭრილი ნაბიჯი, ყოყმანობდა. და თუ თბილისში ჯერ 1917 წლის 9 იანვარს დაარსდა პოლიტეხნიკური ინსტიტუტი და შემდეგ 1918 წლის დასაწყისში გაიხსნა უნივერსიტეტი, ორივე ეს საქმე იყო უფრო კერძო ინიციატივის ნაყოფი, ვინემ კერენსკის ან მენშევიკების მთავრობათა საქმე.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამ მხრივ თბილისის უნივერსიტეტის დაარსება. მენშევიკების მთავრობამ, რომლის დროს მოხდა თბილისის უნივერსიტეტის გახსნა, სრულიად ვერ დააფასა ეს ამბავი. საქმე იმაშია, რომ თბილისის უნივერსიტეტი დაარსდა პოლიტეხნიკუმის პირისპირ: პირველი იყო ქართული უმაღლესი სკოლა, ხოლო მეორე რუსული. დროებით მთავრობა აძნელებდა და აჭიანურებდა თბილისში პოლიტეხნიკუმის დაარსებას რუსულ ენაზე, და თუ იგი ასე თუ ისე თანხმობას აცხადებდა პოლიტეხნიკუმის დაარსებაზე, არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა თბილისში მეორე უმაღლესი სკოლის გახსნაზე და ისიც უნივერსიტეტის და კიდევ ქართულ ენაზე. რომ არ მომხდარიყო ოქტომბრის რევოლიუცია, ე. ი. რომ არ დამხობილიყო კერენსკის ბურჟუაზიული მთავრობა და რუსეთში არ დამყარებულიყო საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც ნაციონალურ საკითხში გამოიწვია გარდატეხა, ქართული უნივერსიტეტის დაარსება თბილისში იმ დროს შეუძლებელი იქნებოდა. ამნაირად თბილისის უნივერსიტეტის დაარსება 1918 წლის დასაწყისში პირდაპირ და უშუალო შედეგი იყო ოქტომბრის რევოლიუციისა, რომელსაც ასე ეწინააღმდეგებოდა ბურჟუაზიასთან ერთად მენშევიკების პარტია. ქართველ მენშევიკების პარტიას თავისი ბრმა სიძულვილის მეოხებით ბოლშევიკებისადმი ეს გარემოება სრულებით გამოეპარა და საერთოდ უნდა ითქვას,—და ამას ამტკიცებს ისტორიაც,—რომ მენშევიკების მთავრობას ისე რიგად არც კი აინტერესებდა ქართული უნივერსიტეტი. ეს მთავრობა უნივერსიტეტს თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, მან არ იცოდა უნივერსიტეტის მდგომარეობა, არ იცოდა მისი მოთხოვნილება და საჭიროება, არ იცოდა თუ რა კეთდებოდა უნივერსიტეტში... სრული სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა იქ ასეთი გამოურკვეველი და სავალალო მდგომარეობა.

III.

რა ცვლილება მოხდა თბილისის უნივერსიტეტის ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში? დაწვრილებით ამ საკითხის გამორკვევა არ შეადგენს ამ წერილის საგანს,—მე უნდა აღვნიშნო რამდენიმე უფრო საყურადღებო მომენტი.

უპირველეს ყოვლისა აქ უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველოს საბჭოთა მთავრობა თავიდან მეტად სერიოზულად უყურებდა უნივერსიტეტს. ნამდვილი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა უნივერსიტეტს მხოლოდ საბჭოთა წყობილების დროს მიეცა, მაგრამ ყველასათვის ადვილად გასაგები მიზეზების გამო საბჭოთა მთავრობამ პირველ ხანებში ვერ მიაწოდა უნივერსიტეტს საჭირო ფინანსიური საშუალებანი და, თავისთავად იგულისხმება, ეს ქმნიდა უნივერსიტეტში მეტად მძიმე მდგომარეობას. შემდეგ ეს მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა და უნივერსიტეტი ჩადგა ცოტათ თუ ბევრად ნორმალურ კალაპოტში.

რაც შეეხება მეორე მხარეს, თვით უნივერსიტეტის მუშაობას, თუ რამდენათ შეეფერებოდა ეს მუშაობა პირველ ხანებში საბჭოთა ხელისუფლების პირობებს,—უნდა ითქვას აშკარად, რომ პირველ ხანებში ვერც ეს საკითხი იყო სათანადოთ მოგვარებული. ამაში დამნაშავე იყო, როგორც თვით უნივერსიტეტი, ე. ი. მისი უშუალო ხელმძღვანელები, ისე საბჭოთა მთავრობაც. საქმე იმაში იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მიაჩნდა სახელმწიფო უნივერსიტეტი მეტად სათუთ დაწესებულებათ და ამიტომ იგი ერიდებოდა დიდხანს მის შინაურ საქმეში ჩარევას, თუმცა კარგათ იცოდა, რომ იქ ყველაფერი თავის რიგზე არ იყო. რა თქმა უნდა სიფრთხილე აქ აუცილებლათ საჭირო იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღეთ მეორე უკიდურესობა, და ეს არ ვარგოდა, ეს უკვე დიდი შეცდომა იყო.

მეორეს მხრივ სრული სიცხადით უნდა ითქვას აქვე ისიც, რომ თვით უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა ოდნავად ვერ აუღეს ალღო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შექმნილ მდგომარეობას. გამოდიოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება უნივერსიტეტს თითქოს სრულებით არ ეხებოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება თითქოს სრულებით შემთხვევითი და წარმავალი მოვლენა იყო, მხოლოდ ერთი ეპიზოდი საქართველოს ცხოვრებაში, რის შემდეგ საქართველო ისევ ძველ დროს დაუბრუნდებოდა, ამიტომ უნივერსიტეტს შეეძლო გვერდი აევლო საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ეს იყო სასტიკი შეცდომა, რაც პირდაპირ დანაშაულის ხასიათს ღებულობდა. აშკარაა, ეს იყო მეტის მეტად არა ნორმალური მდგომარეობა, რომლის გაგრძელება შეუძლებელი იყო. საქმე იმაში იყო, რომ არც სტუდენტობის სოციალური შემადგენლობა, არც სწავლა-განათლების დაყენება სახელმწიფო უნივერსიტეტში სრულებით არ შეეფერებოდა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დანიშნულებას. საჭირო იყო ყველა ამის ძირიანად შეცვლა, ე. ი. საჭირო იყო, არც მეტი არც ნაკლები, უნივერსიტეტის გასაბჭოება. ასე წარმოიდგინეთ, უნივერსიტეტი ერთ დროს ანტისაბჭოთა ელემენტების ბუდეს წარმოადგენდა, და ეს იმიტომ, რომ სტუდენტობის დიდი უმრავლესობის სოციალური შემადგენლობა არადამაკმაყოფილებელი იყო. გამოდიოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში ეწეოდა და ეწევა მუშაობას ერთი განსაზღვრული გზით და მიმართულებით სოციალიზმისაკენ, და ის დაწესებულება კი, რომელმაც უნდა ამზადოს მუშაკები და მშენებლები ამ მიზნით, სრულებით არ უწევდა ანგარიშს საბჭოთა ხელისუფლების არჩეულ გზას და მის მიზანს და განაგრძობდა ახალგაზრდობის აღზრდას და მომზადებას იმ მიმართულებით, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი ამოცანას. ასეთ არა ნორმალურ მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოღებოდა ბოლო.

საბჭოთა ხელისუფლება, როგორც ვიცით, თავის მთავარ მიზნათ ისახავს მთელი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წესწყობილების გარდაქმნას სოციალისტურ წესწყობილებაზე. როგორ შესძლებს საბჭოთა ხელისუფლება ამ მიზნის განხორციელებას, თუ ამ მუშაობაში არ ჩაებმება სკოლა. განსაკუთრებით უმაღლესი სკოლა, უნივერსიტეტი. აშკარაა, რომ სკოლის გარეშე, სკოლის დაუხმარებლად ამ მიზნის განხორციელება შეუძლებელი შეიქნება. რაც შეეხება დაბალსა და საშუალო სკოლების პირველი და მეორე საფეხურისას, უნდა ითქვას, რომ საბჭოთა მთავრობამ თავიდანვე შესძლო ამ სკოლების სწორ გზაზე დაყენება და ამიტომ იმათი გასაბჭოება კიდევ უფრო წარმატებით წავიდა წინ საქმე გართულდა მხოლოდ უმაღლესი სკოლის ირგვლივ, მაგრამ ბოლოს ეს სიძნელეც დაძლეულ იქნა. და დღეს ამ მხრივაც თბილისის უნივერსიტეტი უკვე ნორმალური პირობებშია ჩაყენებული. საქმე გამოკეთდა საგრძნობლად. უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა, პროფესორებმა და მასწავლებლებმა უკვე საკმარისად შეიგნეს და შეითვისეს უმაღლესი სკოლის დანიშნულება და როლი საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში. იმავე დროს თვით სტუდენტობაშიაც მოხდა ერთნაირი გაჯანსაღება, რამაც გამოიწვია მასში დიდი გარდატეხა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. მართალია, ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქმე უკვე გაჩარხულია. ამ სახით გადადის თბილისის უნივერსიტეტი თავისი არსებობის მეორე ათეულ წელიწადში. ახლა მან უკვე იცის, რა უნდა აკეთოს, როგორ უნდა იმუშაოს, რომ სისწორით და პირნათლად შეასრულოს თავისი როლი. ეს როლი კი, როგორც ვთქვით, მეტად დიდი და პასუხისმგებლიაა. ესაა კულტურული და ტეხნიკური ბაზის შექმნა სოციალიზმის განსახორციელებლად და ჩვენი ქვეყანა სწორედ ამ კულტურის და ტეხნიკის მხრივ არის ჩამორჩენილი. საკმარისია ამის დასამტკიცებლად მოვიყვანოთ აქ ჩვენი დიდი მასწავლებლის ლენინის სიტყვები, რომლებიც მისთვის დამახასიათებელი სიძლიერით გამოხატავდენ ჩვენს სინამდვილეს: „ჩვენთვის—სწერდა იგი—საკმარისია ახლა აი ეს კულტურული რევოლიუცია იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა შეიქმნას სავსებით სოციალისტური ქვეყანა, მაგრამ ჩვენთვის ეს კულტურული რევოლიუცია წარმოადგენს უდიდეს სიძნელეს—ეს სიძნელე ერთის მხრით წმინდა კულტურული თვისების (რადგან ჩვენ წერა-კითხვის უცოდინარი ვართ) და მეორეს მხრივ—ნივთიერი თვისებისა (რადგანაც, რომ კულტურული გავხდეთ, საჭიროა საბჭოთა წყობილების ნივთიერ საშუალებათა განსაზღვრული განვითარება, განსაზღვრული ნივთიერი ბაზა)". აი როგორ აყენებდა საკითხს ამხ. ლენინი ამ ექვსი წლის წინ. მაგრამ იგი სასოწარკვეთილებას ოდნავადაც არ ეძლეოდა. პირიქით, მიუხედავათ ასეთ დიდ სიძნელეთა, იგი გამოთქვამდა ღრმა რწმენას, რომ პროლეტარიატი მშრომელ გლეხობასთან დაკავშირებული კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებებსა და სიძნელეებს და დასახულ მიზანს მიაღწევსო. მას შემდეგ, რაც ზევით მოყვანილი სიტყვები იყო დაწერილი, ჩვენ საგრძნობლად წავიწიეთ წინ სოციალისტურ მშენებლობაში და რამდენიმე მივუახლოვდით კულტურულ რევოლიუციას. მაგრამ ჯერ კიდევ შორსა ვართ დასახული მიზნიდან— წინ გვიდგას გიგანტური მუშაობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. ეს ისეთი მუშაობაა, სადაც მარტო აჩქარებით ჩვენ ვერას გავხდებით. საჭიროა საბჭოთა სახელმწიფო და მისი ყველა ორგანოების ერთის მხრით და მთელი მუშათა კლასის მეორე მხრით შეუწყვეტელი, შემჭიდროებული და შეუპოვარი მუშაობა კულტურისა, სახალხო განათლებისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რომ გავიმარჯვოთ საბოლოოდ.

აშკარაა, უნივერსიტეტი, იდეოლოგიური ფრონტის ერთი უდიდესი იარაღი, ვერ დარჩება ამ დიდი მუშაობის გარეთ. ის აუცილებლად უნდა ჩაებას ამ მუშაობაში. საბჭოთა ხელისუფლების სხვა ორგანოებთან ერთად მიიღოს მასში აქტიური მონაწილეობა. თბილისის უნივერსიტეტი თავისი 7.800 სტუდენტით და 400 - ზე მეტი პროფესორებით და მასწავლებლებით წარმოადგენს მართლაც ნამდვილ არმიას, რომელსაც ისეთი პატარა ქვეყნის ცხოვრებაში, როგორიც არის საქართველო, შეუძლია დიდი კვალი დაამჩნიოს. საბჭოთა ხელისუფლება ფიქრობს მხოლოდ ერთ რამეზე—მთელი ეს ძალა გამოყენებულ იქნას ჩვენი ხალხის სასარგებლოდ. მისი კულტურული განვითარებისათვის და მისი მეურნეობის ასაყვავებლად სოციალისტურ საფუძველზე. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ იმაში, რომ თბილისის უნივერსიტეტი პირნათლად და ერთგულად შეასრულებს იმ როლს, რომელიც მას დაკისრებული აქვს: მისცემს ჩვენ ხალხს მომზადებულსა და აქტიურ სპეციალისტებს, ექიმებს, აგრონომებს, ინჟინერ - ტეხნიკოსებს, მასწავლებლებს და სხვადასხვა, რომლებიც მართლაც შეეცდებიან იმ კულტურული და ტეხნიკური რევოლიუციის მოხდენას, რაზედაც მიგვითითებდა ამხ. ლენინი.

ამიტომ, ამ განვლილი ათი წლის თავზე ჩვენ უნდა უსურვოთ თბილისის უნივერსიტეტს სრული გამარჯვება და წარმატება ზევით ნაჩვენები გზით. მაშინ ის დაიმსახურებს ხალხის სიყვარულს და თვით მეცნიერება არ შეიქნება მკვდარ საგნად და ის შეუსისხლხორცდება ხალხის ყოფა-ცხოვრებას.

ფ. მახარაძე.

---

1) „რაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენი სახელმწიფო აპარატის გასაახლებლად უნდა დავისახოთ მიზნათ პირველად სწავლა, მეორედ სწავლა და მესამედ — სწავლა და შემდეგ შემოწმება იმისა, რომ მეცნიერება არ გადაიქცეს ჩვენში მკვდარ საგნად ან ახალ მოდის ფრაზად, რომ მეცნიერება მართლა შეესისხლხორცოს ჩვენს ყოფა-ცხოვრებას, ნამდვილად გახდეს მისი შემადგენელი ელემენტი". წერილიდან: „უმჯობესია ნაკლები, მაგრამ უკეთესი".

(დაწერილია 1923 წ. 2 მარტს).

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ახალქალაქი, 7 თებერვალი. 5 თებერვლამდე ახალქალაქის მაზრაში შემოვიდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 97 პროცენტი. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები სასწრაფო ზომებს იღებენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დანარჩენი ნაწილის მოსაკრებლად (ადს).

მერძეობა სამხრეთ-ოსეთში

ცხინვალი, 7 თებერვალი. მთიან ოსეთში მოხდა სარძეო კოოპერატივების გამგეობათა გადარჩევა. უკანასკნელ დროს გლეხებს ემჩნევა დიდი მისწრაფება მერძეობის საქმის კულტურულ საფუძვლებზე მოწყობაში.. მიმდინარე სამეურნეო წლიდან განზრახულია, რომ მერძევეთა არტელებს მიუჩინონ საძოვლი მინდვრები (ადს).

ნაციონალიზაცია სამხრეთ-ოსეთში

ცხინვალი, 7 თებერვალი. ნაციონალიზაციის უმტკივნეულოდ ჩასატარებლად სამხრეთ-ოსეთის მხარეთმცოდნეობის საზოგადოებასთან დაარსდა საგანგებო სატერმინოლოგიო კომისია ოსურ ენაზე ტექნიკური ტერმინების შესამუშავებლად. კომისიამ უკვე შეიმუშავა ბევრი ტერმინი იურიდიული პრაქტიკის დარგში (ადს).

საამშენებლო ტუფი სამხრეთ-ოსეთში

ცხინვალი, 6 თებერვალი. სამხრეთ-ოსეთის სახ. მეურნეობის საბჭომ თბილისში გაგზავნა ნიმუშები საამშენებლო ტუფისა, რომელიც აღმოაჩინეს სამხრეთ - ოსეთის ორტევის რაიონში. სახ. მეურნეობის საბჭოს ცნობით ტუფის მადანს თვალსაჩინო სივრცე უჭირავს.

წერილები

ცოტა რამ გლეხურ ახალგაზრდობის სკოლების შესახებ

(წერილი ახალსენაკიდან)

ამჟამად მეორე საფეხურის შრომის სკოლებს თანდათანობით სცვლის გლეხური ახალგაზრდობის სკოლა, რომლის მიზანია მომზადოს მიწის კულტურული მუშაკი, შექმნას საბჭოთა ახალი გლეხი—კოოპერატორი.

უდავოა, რომ ეს სკოლა ჩვენი სინამდვილისათვის დროულია და ამ სკოლით მეტის გაკეთება შეიძლება სოფლისათვის, ვიდრე მეორე საფეხურის შრომის სკოლით. გლეხობაც გრძნობს ამ სკოლის უპირატესობას და არ იშურებს თავის წვლილს.

გლეხობის ასეთი განწყობილება სკოლისადმი არ უნდა დარჩეს უყურადღებოთ და მას მართლაც უნდა მიეცეს იმდენად უზრუნველყოფილი სკოლა, რომ მან შესძლოს გლეხობის იმედების გამართლება.

როდის შევსძლებთ ამას? ცხადია, მაშინ, როდესაც სკოლას შევქმნით სამუშაო მტკიცე ბაზას.

უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ მაზრებში არსებული სკოლებისათვის ჯერ ყველაფერი მოწესრიგებული არ არის. არავისათვის არ შეადგენს საიდუმლოებას, რომ მაზრებში გახსნილი სკოლები ჯერ მოუწყობელია, მათ ხშირად არ აქვს შესაფერისი ბინა, ინვენტარი, სასწავლო ხელსაწყოები და ლაბორატორიები, არა ჰყავთ სათანადოთ მომზადებული და საქმით დაინტერესებული მასწავლებლები, ტექნიკური თანამშრომლები და არის შემთხვევა, როდესაც სკოლა თვეობით რჩება უმასწავლებლოთ. გლ. ახ. სკოლების მასწავლებელთა შემადგენლობა ხშირად შევსებით შესაფერისად მოუმზადებელ ელემენტებს.

რომ მომავალში თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი ნაკლი, საჭიროა სკოლის გახსნა მოვახდინოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც სკოლა უზრუნველყოფილია შესაფერისი ბინით, მიწის ნაკვეთით, ინვენტარით, უსაჭიროესი სასწავლო ხელსაწყოებით და მომზადებული და საქმით დაინტერესებული მასწავლებლით; წინააღმდეგ შემთხვევაში ხელს შევუწყობთ სრულიად დაუმსახურებლად სოფლისათვის მეტად მნიშვნელოვან გლ. ახ. სკოლის იდეის დამახინჯებას.

საჭიროა მაზრებში არსებულ სკოლების გაჯანსაღებაზე ზრუნვა და მათი გაჯანსაღების შემდეგ თანდათანობით გლ. ახ. სკოლის ქსელის გადიდებაზე გადასვლა ზემოდ აღნიშნული პირობების დაცვით.

ი. ცომაია.

კოოპერატივი უნდა დაგვეხმაროს

თიანეთი, თბილისის მაზრა

გასული წლის მოუსავლობამ ჩვენი თემიც საგრძნობლად დააზარალა. ზოგს სამი-ოთხი თვის სარჩო თუ მოუვიდა, არიან ისეთებიც, რომლებსაც სათესლეთაც არ ეყოფათ გასული წლის მოსავალი. ამ გარემოებამ გლეხობა საგონებელში ჩააგდო და ეშინიათ მოსალოდნელ სიმშილისა.

საჭიროა ამ თავიდანვე ზრუნვა სათანადო ორგანოების მიერ, რომ გლეხობას მიაწოდოს შეღავათიან ფასებში საჭირო ხორბალი. ეს საქმე კოოპერატივმა უნდა იკისროს.

თიანელი.

დაგვიხსენით ექიმბაშებისაგან

შუხუთის თემი, გურია,

შუხუთის თემი მდებარეობს ორ საექიმო პუნქტებს შუა (ლანჩხუთისა და ნიგოითის), რომელიც დიდათ დაშორებულია პუნქტზე და ავადმყოფები თავის დროზე ვერ იღებენ საექიმო დახმარებას. შუხუთის თემში საექიმო პუნქტის უქონლობით მშვენივრად სარგებლობენ ექიმბაშები. ისინი დაძრწიან სოფლად და ჩემულობენ ზოგი ნემსების კეთებას და ზოგიც სხვა ასეთგვარ მკურნალობას, რასაც შედეგათ მოაქვს ავადმყოფობის უფრო მეტად გართულება და ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანის დაღუპვაც.

რამოდენიმეჯერ იქნა შუხუთის თემისაგან შუამდგომლობა აღძრული ოზურგეთის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებისადმი, რათა ხსენებულ თემში გახსნან საექიმო პუნქტი, მაგრამ დღემდე ეს შუამდგომლობა არ იქნა დაკმაყოფილებული და ამით ექიმბაშებს მიეცათ საშუალება უფრო გააფართოონ „მოღვაწეობა".

როცა სხვა გზა არ იყო, თემის მოსახლეობამ დაადგინა თავიანთი ხარჯით გაეხსნათ საექიმო პუნქტი, მაგრამ გასული წლის მოუსავლობამ ხელი შეუშალა ამ საქმის განხორციელებას.

შუხუთის თემი 900 კომლის შემადგენლობით ღირსია ქონდეს საკუთარი საექიმო პუნქტი, რითაც გლეხობას საშუალება მიეცემა თავის დროზე გაუწიოს საექიმო დახმარება ავადმყოფებს და ექიმბაშობასაც ბოლო მოუღოს.

ოზურგეთის ჯანმრთელობის განყოფილებამ უნდა დაგვეხმაროს ამ საქმის განხორციელებაში.

ბანი.

ამ საქმის მოგვარება ადვილია

მანავის თემი, თბ. მაზრა

ამ თემში 400 კომლამდის მცხოვრები ითვლება. თემი კულტურულად საკმაო სიმაღლეზე სდგას. სათემო აღმასკომის შენობაში მოთავსებულია აღმასკომი, საექიმო პუნქტი და ქოხ-სამკითხველო. როგორც ადგილობრივი ინტელიგენცია, ისე გლეხობა დაინტერესებულია ჟურნალ-გაზეთების კითხვით, ისინი მრავლად იყრიან თავს ქოხ-სამკითხველოში, მაგრამ უბედურება ისაა, რომ, აქ ვერასოდეს ვერ ნახავთ თავის დროზე მიღებულ ჟურნალ გაზეთებს.

ყოველგვარ ამანათებს მანავის თემი იღებს საგარეჯოს საფოსტო განყოფილებიდან, მათ შორის ჟურნალ-გაზეთებსაც, რომელსაც ვღებულობთ 4—5 დღის შემდეგ. მანავის თემი საგარეჯოზე დაშორებულია 11 ვერსით და ალბად ეს არის მიზეზი გაზეთების დაგვიანებით მიღების.

მანავისთემს აქვს საშუალება ყოველდღიურად მიიღოთ როგორც ჟურნალ-გაზეთები, ისე ყოველგვარი ამანათები მანავის ბაქანიდან.

საჭიროა თბილისის მაზრის პოლიტგანმა მოაწესრიგოს ეს საქმე.

გ. თამაზაშვილი.

წერილებიდან

გაგვიწიეთ ხელმძღვანელობა

ს. კოდა, თბილისის მაზრა

მშრომელთა ხელისუფლების წყალობით ამ სოფელშიც ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ მოსაგვარებელია სარწყავი არხის გაყვანის საქმე. ადგილობრივ გლეხობის მიწების მოურწყველობის გამო ყოველწლივ უფუჭდება ნათესები. სოფელი მონდომებულია არხის გაკეთებისათვის, მაგრამ ეს საქმე მის ძალღონეს აღემატება.

საჭიროა უმაღლესი ორგანოს დახმარება და ხელმძღვანელობა. ამ საქმეზე დახარჯული თანხა სულ მალე ანაზღაურდება მიღებული შედეგებით.

ხ. ყვავილოვი.

გზები არ გვივარგა

თავასის თემი, შორაპნის მაზრა

ჩვენს თემში გასული წლის საგზაო ბეგარა ცუდად ჩატარდა. გლეხობას სანახევროდ არ მიუღია მონაწილეობა გზების შეკეთებაში. ვინც მუშაობდა, ისიც გულგრილად, ამის გამო წელს გზები უარეს მდგომარეობაშია, ვინემ შეკეთებამდის იყო. აღმასკომმა აუცილებლად უნდა აიძულოს ისინი, ვისაც გზების შეკეთებაში მონაწილეობა არ მიუღია, ფულად გადაახდევინოს ასეთი და მოახმაროს გზების შეკეთებას.

მეთვალყურე.

ექიმბაშობის შედეგი

ყაზბეგი, დუშეთის მაზრა

სოფლად კიდევ შეხვდებით ექიმბაშებს თარეშს, რომლებიც თავიანთი ბნელი საქმეებით სიცოცხლეს უსპობენ ბევრ ჯანმრთელ ადამიანებს. განსაკუთრებით გავრცელებულია სოფლად ქალების მიერ მუცლის მოშლა ექიმბაშების დახმარებით. ამ ნიადაგზე ყაზბეგის თემში ყოველწლივ იღუპება რამოდენიმე ქალი. ამას წინად მუცლის მოშლის მსხვერპლი გახდა სოფელ კარკუჩაში მცხოვრები ყამარაულის ქალი.

როდის მოეღება ბოლო ექიმბაშების თარეშს?

გულგრილობის ბრალია

ს. გურჯაანი, სიღნაღის მაზრა

ამ ერთი წლის წინედ აქ ამორჩეულ იქნა რედკოლეგია კედლის გაზეთის გამოსაცემად. რედკოლეგიამ გადასწყვიტა გამოეცა ორ კვირაში ერთხელ გაზეთი სახელწოდებით „გლეხის სარკე". გამოვიდა მისი სამი ნომერი და გლეხობაც კმაყოფილი იყო, მაგრამ შემდეგ გაზეთის გამოცემა შეწყდა. ექვსი თვის შემდეგ მას შეუცვალეს სახელწოდება და გამოსცეს „გლეხის ნუგეში"; მაგრამ ოთხი ნომრის გამოშვების შემდეგ ისიც შეწყდა.

ეს უსათუოდ რედკოლეგიის გულგრილობას მიეწერება, რაც დროზე უნდა გამოსწორდეს.

პოტენციალი.

მუშათა ცხოვრება

მუშათა ბანკის დაარსების შესახებ

ამას წინად გაზეთებში გამოქვეყნებული იყო ცნობა იმის შესახებ, რომ ქალაქს განზრახული აქვს დაარსოს მუშათა ბანკი. იქვე აღნიშნული იყო ამ ბანკის მნიშვნელობა, რომელიც დიდი სიხარული გამოიწვია მუშებში.

დღეს ყველა ფაბრიკა-დაწესებულებებში არ სებობს ურთიერთ დამხმარე სალარო. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ამ სალაროების უმრავლესობა ვერ ამართლებს მუშების იმედებს, რის გამო მუშები ცოტა არ იყოს გაურბიან აღნიშნულ სალაროებს. ეს სჩანს თუნდაც იქიდან, რომ რკინიგზის მთავარი სახელოსნოს 3000 მუშა-მოსამსახურედან ურთიერთ დამხმარე სალაროს წევრი მხოლოდ 400 კაცია.

ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ვინც გაიტანა სალაროდან ფული სესხის სახით, ორი წლის განმავლობაში არ დააბრუნა, ზოგი ჩაუწერა და ორი-სამი დღის შემდეგ 40—50 მანეთი გაიტანა და უკან დაბრუნებას აღარ ფიქრობს. არ გასჭრა არც მოგონებამ და არც გაფრთხილებამ.

სალაროს გამგეობასაც არ ჰქონდა უფლება ჯამაგირიდან დაეჭირა მოვალესათვის ვალი.

სულ სხვაა მუშათა ბანკი. გიჭირს, ისესხე მუშათა ბანკიდან, მხოლოდ განსაზღვრულ დროში უნდა ჩააბარო. არ ჩააბარებ, ბანკი მიმართავს კანონიერ საშუალებებს, რათა გადაგახდევინოს ვალი.

როდესაც თბილისის მუშებს ექნებათ თავისი ბანკი, მაშინ არც გაფლანგვებს ექნება ადგილი და არც ვალის გადახდის დაგვიანებას. მეორეს მხრივ კი ის მუშები, რომლებიც დღეს სცდებიან ურთიერთ დამხმარე სალაროს მუშაობაზე,სხვა ,უფრო კარგ საქმეზე გამოვიყენებთ. ესეც არ იყოს ყოველთვის არ დაგვეჭირდება პროცენტების გადახდა. გადავიხდით ერთხელ საპაიო გადასახადს და მორჩა და გათავდა. მუშათა ბანკი თითონ გაძლევს პროცენტს თუ მიაბარებ შესანახად ფულს.

ერთი სიტყვით ასეთი ბანკის დაარსება დროულია და დიდად ხელსაყრელია მუშებისათვის. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თითოეულ დიდ წარმოებასთან შეიძლება დაარსებული იქნეს ბანკის განყოფილებაც, რაც უფრო გაადვილებს მუშების დაახლოებას ამ ბანკთან.

მუშა ვ. ნ. ბ.

ხელგაშლილობა საზ-ბა „მწყემსში"

ამას წინად საზოგადოება „მწყემსი"-მ სად. არმავირიდან მიიღო სამი რონოდა ღორი, რომელიც გადმოიტვირთა სად. ნავთლუღში. თითო რონოდა დატვირთული იყო 45 ცალი ცოცხალი ღორით. და გადიხადეს 286 მ. და 55 კ. ე. ი. თითო რონოდაში მეტი გადიხადეს 140 მანეთამდე, სამ რონოდაში კი 420 მანეთამდი. მეტი გადიხადა იმიტომ, რომ რკინისგზის წესების თანახმად თითო რონოდაში უნდა დაიტვირთოს არა უმეტესი 40 სული ღორისა. თუ ერთი ღორითაც კი მეტს დატვირთავს ვინმე ერთ ვაგონში, მას გადახდება 50 პროც. მეტი. ამიტომ საზ-ბა „მწყემსი"-ს თითო რონოდაში უნდა დაეტვირთა 40 ცალი ღორი. დანარჩენი 15 ღორს მიუმატებდა კიდევ 25 სულ ღორს და დაიქირავებდა მე-4 რონოდას. რომელიც გაცილებით უფრო იაფი დაუჯდებოდა ვიდრე მის მიერ გადახდილი ჯარიმა. ისე, რომ 420 მანეთი საზ-ბას ჯიბეში დარჩებოდა და არ გადაიხდიდა მას, როგორც ჯარიმას. ამასთანავე ის მეტ სულ საქონელსაც წამოიყვანდა.

ასევე მოიქცა საზოგადოება მინერალურ წყლებიდან ცხვარის გადმოყვანის დროს. მან თითო რონოდაში 47 თავი ცხვარის ნაცვლად დატვირთა 60 თავი ცხვარი და 12 ძროხის ნაცვლად 13 ძროხა, რისთვისაც საზ-ბამ 150 მანეთი მეტი გადაიხადა.

მაგრამ ეს არაფერი. საქმე იმაშია, რომ საზ-ბა „მწყემსი" ყველგან ასე ხელგაშლილად მოქმედობს.

ამის მაგალითები „მწყემს" ბლომად მოეპოვება. საზ-ბა „პატარა" ხარჯებსაც არ ერიდება; იმ დროს, როდესაც რკინისგზის სადგურს შეუძლიან და მოვალეც არის გამოუწეროს მას ესა თუ ის საქონელი, ის მიდის ქალაქის სადგურში, გადააქვს საბუთები და იქიდან იწერავს, რისთვისაც იგი თითო რონოდაზე ორ-სამ მანეთს მეტს იხდის აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სად. ნავთლუღის საქონლის სალარო და ნავთლუღის ქალაქის სადგური ერთ და იმავე ოთახშია მოთავსებული.

ასეთი გულუხვი და ხელგაშლილია საზ-ბა „მწყემსი"-ს საბჭო. საჭიროა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეაფასოს აღნიშნულ საბჭოს მომქმედობის მნიშვნელობა.

ვლ. რჩეულიშვილი.

რწმუნებულის გამოყოფა

ს. მ. უ. ს. „პროლეტარისტის", ხე-ტყის პირველ ქარხანასა და ხეზე მომუშავეთა კავშირის მუშკოოპის წევრ-მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებულ კრებამ მოისმინა მოხსენება მუშკოოპის გამგეობის მუშაობის შესახებ. მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რაშიც მონაწილეობა მიიღო 5 ამხანაგმა. ორატორები აღნიშნავენ, რომ ზოგიერთი სადუქნო კომისიები ვერ მუშაობენ ნაყოფიერად. ხშირად კერძო ჩარჩ-ვაჭრებს პროტექციისა და ნათლიმამობის წყალობით გააქვთ საქონელი კოოპერატივიდან და ბოროტად იყენებენ. ორატორები მიზანშეწონილად სცნობენ, რათა მეტი უპირატესობა მისცეს გამგეობამ მუშკოოპის წევრებს და ისინი დააკმაყოფილონ რიგს გარეშე.

შეკითხვაზე პასუხის გაცემისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კრებამ მუშკოოპის გამგეობის მუშაობა მოიწონა და რწმუნებულად აირჩია ამხ. სოროკოვი.

მუშკოოპისწევრი.

ცრუ მოწმეების წყალობით

საბჭოს ქ. № 106 სახლის სარდაფს აღმასკომი საყინულედ აქირავებს მოიჯარადარეებზე, მეორე ნახევარში კი, ნესტიან ოთახებში, სცხოვრობენ მუშები, რომლებმაც ქვეყანა შეაჯერეს ჩივილით და ძლივს დააბეჭდვინეს სარდაფი. მაგრამ არ გასულა ორი საათი, რომ საქმის უფრო ახლო გასაცნობად და გამოსარკვევად მოვიდა სპეციალური კომისია.

მოიჯარადარე გაბო აგაჯანოვი მოხერხებულად მოიქცა. იქვე დაიმოწმა განგებ ღვინით გალეშილი ვინმე ი. ჭოხიძე და სხვა მოკეთეები, რომლებმაც ძმურად იფიცეს, თითქოს სარდაფში მუდამ ინახებოდა ყინული. ნამდვილად კი სამჯერ არის ჩაყრილი ყინული. აგაჯანოვის დაქირავებულ მოწმეების სიტყვა კომისიამ დაიჯერა და ბეჭედი ახსნა. დაბეჭდავენ ისევ თუ არა სარდაფს არ ვიცით, მაგრამ ეს საქმე აღმასკომმა უფრო ახლო უნდა გამოარკვიოს, რადგან აქ რაღაც ბნელ საქმეებს აქვს ადგილი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აგაჯანოვი პროფკავშირის წევრია. თუ რამდენად შეიძლება პროფკავშირის წევრმა გასწიოს მოიჯარადრობა, ამაზე ალბად ხელოსანთა კავშირი გვიპასუხებს.

ფილმენ.

მოაწყვეთ აფთიაქები

გასულ წელს, როდესაც რკ. გზის სამმართველოს ძველი გაერთიანებული ადგილკომის წევრების გადარჩევა ხდებოდა, მწვავედ იდგა საკითხი საექიმო დახმარების შესახებ. თანამშრომლები დაიმედოვნენ იმით, რომ ახალი ადგილკომის შემადგენლობა მოაგვარებდა ამ საკითხს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ შინაგანი წესებში აღნიშნულია, რომ ყველა განყოფილებებში უნდა იყოს პატარა აფთიაქები მომარაგებული პირველი დახმარებისათვის მედიკამენტებით და ამის შესახებ გაცემულია სათანადო ბრძანებაც; ჯერ-ჯერობით ვერც ერთ განყოფილებაში ვერ ვხედავთ, ამ აფთიაქებს.

ხშირია შემთხვევა, როდესაც თანამშრომელი სჩივის თავის ტკივილზე და ეთხოვება უფროსს საავადმყოფოში წასასვლელად, ამით კი ის სცდება სამუშაოს ხშირად მთელი დღეებით. ეს გარემოება ტრანსპორტს ზიანს აყენებს, ასეთი შემთხვევა შეუძლია ბოროტად გამოიყენოს ზოგიერთმა და გასწიოს სიმულიაცია.

ამისათვის საჭიროა პირველ რიგში დააყენოს ეს საკითხი ადგილკომმა და ყველა განყოფილებაში მოაწყოს პატარა აფთიაქები.

კოლო.

მოაგვარეთ ეს საქმე

(ხაშურის საყუდი)

ხაშურის საყუდში ვერ არის მოწესრიგებული ორთქლმავლებისათვის წყლის და მაზუთის მიწოდების საქმე. ხაზიდან მოსულმა ორთქლმავალმა უნდა შემოუაროს საყუდს ჩადგეს რიგში მაზუთის ან წყლის მისაღებად და შემდეგ ისევ შემოუაროს საყუდს გარს და შევიდეს საყუდში. ამრიგად მაზუთის და წყლის ირგვლივ ხშირად იმდენი ორთქლმავლები იყრის თავს, რომ მატარებლიდან დაბრუნებულ დაღლილ-დაქანცულ ბრიგადებს, რამდენიმე საათი სჭირდებათ ტყვილად დგომადა ლოდინი; თვით ორთქლმავლებიც რომელზედაც საყუდში დიდი მოთხოვნილებაა სცდებიან.

ორთქლმავლის დაგვიანება ხელს უწყობს მატარებლის დაგვიანებას, რაც ჩვენს გზებზე ხშირი მოვლენაა. ხანდისხან ეს მდგომარეობა მწვავდება იმითაც, რომ საყუდთან ერთი შტო შეკრულია. სდგას ცივი ორთქლმავალი, ან ორთქლმავლიდან ორთქლით სარგებლობენ სახელოსნოში. ამის გამო ორთქლმავლების წასვლა-წამოსვლა ხდება ერთ შტოზე, რამაც შესაძლებელია მარცხიც გამოიწვიოს.

საყუდის უფროსმა უსათუოდ საჩქარო ზომები უნდა მიიღოს საყუდთან ორივე შტოს გასანთავისუფლებლად. თუ შტოს განთავისუფლება შეუძლებელია, იმ შემთხვევაში მესამე შტო უნდა იქნეს გაყვანილი. ეს დიდ ხარჯებს არ მოითხოვს.

ალ. ჯ—ლი.

მუშკორთა წერილებიდან

უხეში საქმის მმართველი. „სოფლის კავშირი"-ს კანტორაში საქმის მმართველის თანამდებობაზე მსახურობს ვინმე ნეიმანი, რომელიც არაფრით განსხვავდება ძველი დროის ჩინოვნიკიდან. ეს ვაჟბატონი თავის ხელქვეით თანამშრომლებს ხშირად ფეხების ბრახუნითა და ლანძღვა-გინებით უმასპინძლდება, კავშირო, გამოასწორე მოქ. ნეიმანი.

მწვანე.

უყურადღებოდ ნუ დასტოვებთ. (ქუთაისი). ლენინის ქუჩის მეოთხე შესახვევი უყურადღებოდ არის მიტოვებული. აქ არავითარ სახლს არ ჰყავს მეეზოვე, რის გამო ქუჩაში ისეთი სიბინძურეა, რომ შეუძლებელია იქ გავლა. აღმასკომო, მიაქციე ყურადღება აღნიშნულ ქუჩას.

ნ. მიქაშავიძე.

რწმუნებულების არჩევნები. საბკინმრეწვის მუშკოოპის წევრთა საერთო კრებაზე მუშკოოპის გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ხვედელიძემ. კრებამ გამგეობის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად, რის შემდეგ მუშკოოპის რწმუნებულად გამოჰყო ხუთი კაცი.

ც—ძე.

ელექტრო-სადგურების საამშენებლო პროექტების წესი

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება ელექტრო-სადგურების, გადამცემ ხაზის და დამხმარე ნაშენების საამშენებლო პროექტების დამტკიცების წესის შესახებ.

ამ დადგენილების თანახმად, ნებართვა ელექტრო-სადგურების, გადამცემ ხაზის და დამხმარე ნაგებობათა ასაშენებლად გაცემული უნდა იქნეს იმ სათანადო ინსტანციების მიერ, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებაში 1925 წლის 30 იანვრის თარიღით; **ნებართვა შეიძლება გაცემული იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა აღნიშნული ნაშენების საესკიზო ტექნიკური პროექტები დამტკიცებული იქნება ნებართვის გამცემ ინსტანციის დავალებით სათანადო ტექნიკურ ორგანოს მიერ.**

იმ ელექტრო-სადგურების, გადამცემ ხაზის და დამხმარე ნაშენების პროექტები, რომელთა აშენების ნებართვას იძლევა საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს., დამტკიცებული იქნება შემდეგი წესით.

დაწესებულება ანდა წარმოება, რომელიც იწყებს ზემოაღნიშნულ ნაგებობათა აშენებას, ვალდებულია წარადგინოს საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. მშენებლობის საესკიზო ტექნიკური პროექტი; პროექტი წარდგენილი უნდა იქნეს ექვსი თვით ადრე იმ საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, რომელშიაც განზრახულია მშენებლობის დაწყება. როდესაც დაწესებულება ანდა წარმოება, რომელსაც განზრახული აქვს მშენებლობის დაწყება, მიიღებს ნებართვას აღმშენებლობის დაწყებისათვის, იგი ვალდებულია არა უგვიანეს ექვსი თვისა დღიდან ნებართვის მიღებისა წარადგინოს საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. მშენებლობის საბოლოო ტექნიკური პროექტი.

თანხები საესკიზო ტექნიკურ პროექტების დასამუშავებლად და საჭირო საგამოკვლევო მუშაობის საწარმოებლად გაღებული უნდა იქნეს ან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ელექტროფიკაციის დარგში საგამოკვლევო მუშაობის საწარმოებლად გადადებულ თანხებიდან, ან ადგილობრივ ბიუჯეტიდან, ანდა იმ დაწესებულებების, წარმოებების და ორგანიზაციების თანხებიდან, რომლებიც მშენებლობას იწყებენ.

საბოლოო ტექნიკურ პროექტის დამუშავება, ექსპერტიზა და საჭირო საგამოკვლევო სამუშაოები ჩატარებული უნდა იქნეს საამშენებლო ხარჯთ-აღრიცხვის ხარჯზე.

ნებართვის მიღებამდე დაუშვებელია რაიმე ხარჯების გაწევა აღმშენებლობაზე, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც საჭიროა საესკიზო პროექტების დასამუშავებლად და ამისათვის საჭირო საგამოკვლევო მუშაობის ჩასატარებლად.

ძირითად საამშენებლო სამუშაოების წარმოება შეიძლება მხოლოდ საბოლოო ტექნიკური პროექტის დამტკიცების შემდეგ. მოსამზადებელი მუშაობა (მისავალი გზების გაყვანა, ბარაკების აგება და სხვა) შეიძლება დაწყებული იქნეს საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. ნებართვით საბოლოო ტექნიკურ პროექტის დამტკიცებამდე.

ეს დადგენილება ვრცელდება არსებულ ელექტრო-სადგურების და გადამცემ ხაზის გაფართოვებაზეც.

მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს დაევალა გამოსცენ დადგენილება იმ ელექტრო-სადგურების, გადამცემ ხაზის და დამხმარე ნაგებობათა პროექტების დამტკიცების წესის შესახებ, რომელთა აშენების ნებართვის გაცემა, თანახმად საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 1925 წლის 30 ივნისის დადგენილებისა, დაკისრებული აქვთ მოკავშირე რესპუბლიკების ორგანოებს და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს.

კონკურსი საბჭოს საუკეთესო სექციაზე

საქართველოს ცაკთან არსებულ ცენტრალურმა კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს საბჭოების საუკეთესოთ მომუშავე სექციებზე კონკურსის ჩატარება, შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვით საუკეთესოთ მომუშავეთ ჩაითვლება ისეთი სექცია, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნილებებს:

საორგანიზაციო მხარე

საუკეთესოთ აღიარებული იქნება ის სექცია, რომელიც ორგანიზაციულათ მოწყობილია სათანადო კანონის მიხედვით, და მისი მუშაობა ამართლებს მის სახელწოდებას, სექციის შემადგენლობა შეეფერება სექციის მუშაობას, სექციას თავის მუშაობაში საბჭოს წევრების გარდა, ჩაბმული ყავს მუშა და გლეხი ქალების, ღარიბეს გლეხების, მოჯამაგირეთა, სოფლის ინტელიგენციის, პროფკავშირთა წევრების, დიასახლისთა, შინამრეწველთა, წითელარმიელთა და კომკავშირის აქტივი. აგრეთვე მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს სექციის სხდომების რეგულიარულად მოწყობა, სხდომების საქმიანობა, საბჭოების აქტივობა და ხელმძღვანელობა სექციის მუშაობაზე, ქვე-სექციების და კომისიების მუშაობა, მუშაობის სათანადოთ განაწილება სექციის წევრებს შორის და სხვ.

სექციების მუშაობის შინაარსი

სექციების მუშაობის შინაარსი და მოცულობა დასახულ ამოცანებთან შეფარდებით, სექციების მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო საკითხების გამომუშავებაში, სექციების ინიციატივობა და წინადადებები ადგილობრივ ცხოვრების პირობებსა და ფინანსიურ შესაძლებლობებთან შეფარდებით და მიმდინარე პოლიტიკის ძირითადი საკითხების გაშუქება, როგორიცაა—ქალაქის საბჭოს სექციებისათვის — ინდუსტრიალიზაცია, ქალაქის მოსახლეობის კოოპერატიული შეკავშირება, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, მრეწველობის ნაყოფიერების აწევა, ფასების დაკლება და სხვ.

თემის, ან სოფლის საბჭოს სექციებისათვის:

სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მოსახლეობის კოოპერატიული შეკავშირება და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, საგლეხო სესხი, ფასების დაკლება, ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯების შემცირება და სხვ.

როგორია სექციის მუშაობის შედეგები, შეძლო თუ არა სექციამ თავის ღონისძიებების განხორციელება საბჭოს საშუალებით, მიღებული ღონისძიებები განხორციელებული იქნა თუ არა ცხოვრებაში და სხვ.

სექციების კავშირი საბჭოებთან

ხელმძღვანელობა საბჭოების სექციების — სექციების მუშაობაზე, საბჭოების მითითებანი, სექციის მიერ საბჭოებში საკითხების გატარება, საბჭოების მიერ სექციებისათვის ისეთი საკითხების გადაცემა დასამუშავებლად, რომლებიც შედის მათ კომპენტენციაში, საბჭოს განყოფილებების და ორგანიზაციების მოხსენებების დროს სექციების თანამოხსენებები საბჭოს სხდომებზე, სექციების მონაწილეობა საბჭოს მუშაობის გეგმის შემუშავებაში, საბჭოების განყოფილებების და დაწესებულებების მოხსენებები სექციებში, დადგენილებების და გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმება და სხვ.

კავშირი მასსებთან

ქალაქის საბჭოს სექციების მუშაობის გამოკვლევის დროს, საუკეთესოდ მომუშავე სექციის არჩევის მიზნით, აგრეთვე მხედველობაში მიღებული უნდა იქნას საბჭოს და სექციის მიერ ჩატარებული მასიური გამოკვლევანი, მასებთან მჭიდრო კავშირი, ექსკურსიების მოწყობა, წარმოებებში დეპუტატთა გადიდება და ჯგუფების მოწყობა, საბჭოს და სექციის წევრების მორიგეობა წარმოებებში, დეპუტატების ანგარიშის ჩაბარება ამომრჩეველთა წინაშე, საბჭოების მუშაობის ანგარიშის ჩაბარება წარმოებებში, აღრიცხვა და დამუშავება ამომრჩეველთა ნაკაზების, კავშირი პროფესიონალურად და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მათ შორის დელეგატ ქალების კრებებთან და კომკავშირთან, საბჭოების ან სექციების სხდომების მოწყობა წარმოებებში და სხვ.

თემის, ან სოფლის საბჭოების სექციების მუშაობის განხილვის დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული: სექციების მიერ ადგილობრივ წარმოებების, დაწესებულებების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების გამოკვლევა, ექსკურსიების მოწყობა, დეპუტატების ანგარიშის ჩატარება ამომრჩეველთა წინაშე, ნაკაზების შესრულება, ხელმძღვანელობის გაწევა სოფლის ყრილობებისათვის, კავშირი გლეხკომებთან, კოლმეურნეობებთან, სამანქანო ამხანაგობებთან და სხვ.

სექციების მუშაობის განსაკუთრებული პირობები

ამას გარდა, მხედველობაში მიღებული უნდა იქნას სექციის მუშაობა მრავალ ეროვნებათა შემადგენლობის და სხვადასხვა ჩვეულების მატარებელ მოსახლეობაში, სექციების მუშაობა მცირე ეროვნებათა შორის და სხვ.

წითელი არმიის 10 წლის თავისათვის

ამ დღეებში შესდგა პროფკავშირების კულტ განყოფილებათა გამგეობათა თავმჯდომარეებისა თათბირი, რომელმაც შეიმუშავა წითელი არმიის 10 წლის თავის დღესასწაულის ჩატარებაში პროფკავშირების მონაწილეობის გეგმა.

გეგმა დაეგზავნა საქართველოს ყველა პროფორგანიზაციებს.

გეგმის თანახმად, კავშირებმა ხელი უნდა შეუწყონ დღესასწაულის ჩატარებისათვის გამოყოფილ სპეციალურ რაიონულ კომისიების მუშაობას და იქონიონ მათთან მჭიდრო კავშირი.

კამპანიის დროს (თებერვლის 20-დან 27-მდე) კლუბებში, წითელ კუთხეებში და სხვა საპროფკავშირო კულტდაწესებულებებში უნდა მოეწყოს საერთო სალამოები წითელ არმიის ნაწილების მონაწილეობით.

25 თებერვალს ჩატარებული იქნება მუშათა მასიური დემონსტრაცია და ჯარის აღლუმი. კავშირებმა უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ დემონსტრაციაში.

24 თებერვალს თბილისის მუშათა თეატრის შენობაში შესდგება თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა ფაბ-ქარხ-ადგილკომებთან ერთად.

არმიის 10 წლის თავზე უნდა მოხდეს სამხედრო ტირებისა და წრეების გახსნა. უნდა მოეწყოს საფიზკულტურო შეჯიბრი საშეფო ნაწილებთან ერთად.

22 თებერვალს ჯარის ნაწილებში (ყაზარმებში) მოეწყობა სამხედრო ნაწილების საზეიმო სხდომები, რომლებსაც უნდა დაესწრონ კავშირების წარმომადგენლები. 23 თებერვალს, ე. ი. დღე დასასვენებელ დღით იქნება გამოცხადებული,ან 26 თებერვალს მუშათა დელეგაცია ოჯახის წევრებთან ერთად უნდა გაემგზავროს საშეფო ნაწილების ყაზარმებში.

სამხატვრო წრეების გამოსვლა საშეფო ნაწილებში უნდა მოეწყოს 22—23 თებერვალს. წითელი არმიის 10 წლის თავის აღსანიშნავად მუშათა კლუბებში უნდა მოეწყოს სპეციალური სალამოები; ასეთ სალამოებზე მოწვეულ უნდა იქნან ის მუშები,რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ სამოქალაქო ომში და სხ.

ა.-კ. ცაკში

ამხ. ნაზარეტიანის დანიშვნა.

ა. - კავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა ა. - კავკასიის ცაკის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ და წევრად დანიშნა ამხ. ნაზარეტიანი. ამხ. ლუკაშინის მაგიერ, რომელიც ამ თანამდებობიდან განთავისუფლებულია მისივე თხოვნით.

ამხ. ლევანდოვსკის კანდიდატურა.

ა. - კავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა სთხოვა საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს, რომ საბჭოთა კავშირის სამხედრო - საზღვაო კომისარიატის რწმუნებულად ა.-კ. სახ. კომისართა საბჭოსთან დაინიშნოს ამხ. ლევანდოვსკი.

ეროვნებათა საბჭოს წინადადება

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა დაუგზავნა რესპუბლიკანურ ცაკებს საკავშირო ცაკის ეროვნებათა საბჭოს რეზოლიუცია, რომელიც მიღებულია ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის მოხსენების ირგვლივ.

რესპუბლიკანურ ცაკებს დაევალათ შეიმუშაონ და ორი თვის განმავლობაში წარუდგინონ ა.-კ. ცაკს ეროვნებათა საბჭოს წინადადებათა განხორციელებისათვის საჭირო პრაქტიკული ღონისძიებები და მათი განხორციელების გეგმა.

საქ. ცაკში

საპენსიო წიგნაკები

ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ დაამზადა—660 საპენსიო წიგნაკი იმ პირებისათვის და ოჯახებისათვის, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურებისათვის დანიშნული აქვთ პერსონალური პენსიები. თვითეულ საპენსიო წიგნაკში აღნიშნულია პენსიონერის გვარი და სახელი, რაოდენობა იმ თანხის, რომელიც თვიურად აქვს დანიშნული და დაბეჭდილია შიგ მთავრობის ზოგიერთი დადგენილებები, განკარგულებები და ცირკულიარები იმის შესახებ—თუ რა სახის სახელმწიფო და კომუნალური შეღავათებით სარგებლობის უფლება აქვთ მინიჭებული იმ პირებს და ოჯახებს, რომელთაც პენსიები აქვთ დანიშნული. განყოფილება საპენსიო წიგნაკებს პენსიონერებს ამ თვეში (თებერვალში) დაურიგებს.

დახმარება სკოლებს

საქ. ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის განკარგულებით, გუშინ საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ გაუგზავნა სენაკის სამაზრო აღმასკომს — მარტვილის 9 წლედის სასარგებლოდ 500 მანეთი და ზუგდიდის სამაზრო აღმასკომს—ჭოლის თემში, სკოლის შენობის ასაგებად 600 მანეთი.

პენსიების მისაცემათ

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების გამგემ გუშინ განკარგულება მისცა განყოფილების საფინანსო ნაწილს ქალ თბილისში და მის მაზრაში მცხოვრებ შრომის და ომის ინვალიდებისათვის პენსიების მისაცემად ამ თვეში (თებერვალში) ნაწილ-ნაწილად გადასცეს განყოფილების თბილისის საპენსიო ნაწილს—3.300 მანეთი.

ამინდი

ამიერ-კავკასიაში

გუშინ ამიერ-კავკასიაში ამინდს გაუმჯობესება დაეტყო. მთელი დღე მოწმენდილი იყო; ქროდა სუსტი დასავლეთის ქარი; ტემპერატურამ თუმცა აიწია, მაგრამ მაინც საგრძნობლად ყინავდა.

მდგომარეობა რკინისგზებზე

გზებზე ქარ-ბუქი შესწყდა. ამჟამად მთელ ამ.-კავ. რკინიგზებზე ნორმალური მდგომარეობაა. თოვლის ზვავები ყველგან აწმენდილია და მატარებლები ნორმალურად მოძრაობენ.

საქართველოს სამხედრო გზაზე

საქართველოს სამხედრო გზაზე, თბილის-მცხეთას შუა ადგილი ქონდა ძლიერ ქარბუქს. რის გამო მოძრაობა შეწყდა.

სასწრაფოდ იქნა მიღებული ზომები გზის გასაწმენდათ. გამოიყვანეს 50-მდე მუშა, რომლებმაც თოვლი ახწმინდეს ათი საათის განმავლობაში.

ამჟამად თბილის-დუშეთს შუა გზატკეცილი გაწმენდილია და ავტომობილების მიმოსვლა შეუფერხებლად სწარმოებს. დუშეთს ქვევით მოძრაობა შესაძლებელია მხოლოდ მარხილებით.

ახალსენაკის მაზრაში

ახალსენაკი, 7 თებერვალი. ხანგრძლივი წვიმების შემდეგ მოვიდა თოვლი. თოვლი კვლავ მოდის (ადს).

ა.-კ. ეკონომიურ საბჭოში

საბინაო პოლიტიკა

იმ მიზნით, რომ ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე გატარებული იქნეს საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს ა.-წ. 4 იანვრის დადგენილება საბინაო პოლიტიკის შესახებ, ა.-კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ გამოყო კომისია ამხ. **სმირნოვის, შავერდოვის, გაბიევის, შეფტელის** და **გაჯუმოვას** შემადგენლობით, რომელსაც დაევალა სათანადო დადგენილებების პროექტების დამუშავება.

რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს დაევალა არა უგვიანეს 18 თებერვლისა წარადგინონ აღნიშნულ კომისიაში ახალი საბინაო ნიხრის პროექტები.

თამბაქოს მრეწველობის გაერთიანება

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაავალა ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დაამუშაოს საკითხი ამიერ-კავკასიის თამბაქოს მრეწველობის სინდიკატში გაერთიანების შესახებ.

წესდების გადასინჯვა

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ შეუძლებლად სცნო სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობების წესდების გადასინჯვა.

რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს დაევალა მიიღონ სათანადო ზომები, რათა სასწრაფოთ იქნეს გატარებული აღნიშნული წესდება რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

ამხ. ალამალოვის დანიშვნა

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ ა.-კ. რკინისგზების გამგეობასთან არსებულ სატარიფო თათბირის წევრად დაამტკიცა ამხ. ალამალოვი, მის მოადგილედ—ამხ. ბაშინჯაგიანი.

ამიერ-კავკასიის საბეითლო კომიტეტი

ამიერ-კავკ. ცაკმა და ამიერ-კავკ. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცეს დებულება ამიერ-კავკასიის საბეითლო კომიტეტის შესახებ. კომიტეტი არსდება ამიერ-კავკ. საბჭოთა რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოსთან.

საბეითლო კომიტეტი არსდება იმ მიზნით, რომ მან თვალყური ადევნოს და ურთმანეთს შეუთანხმოს საბეითლო-სასანიტარო ღონისძიებანი, აგრეთვე გაატაროს ცხოვრებაში ეპიზოოტის საწინააღმდეგო ღონისძიებანი ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე.

კომიტეტში შევლენ: თავმჯდომარე, რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების სახალხო კომისრები, ამიერ-კავკ. ფინანსთა კომისარიატის პასუხისმგებელი წარმომადგენელი, ამიერ-კავკ. სახ. პოლიტსამმართველოს სამხედრო უწყების და სახელმწ. დაზღვევის წარმომადგენლები. კომიტეტის თავმჯდომარეს ნიშნავს ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო.

სოფლის ელექტროფიკაცია

ა.-კავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დავალებით, ამიერ - კავკასიის საამშენებლო-ტექნიკურმა კომიტეტმა შეიმუშავა სოფლის ელექტროფიკაციის პროექტების შედგენისა და დამტკიცების წესები. ამ წესების თანახმად, ფინანსიური და ეკონომიური მხარის დაკავშირების მიზნით პროექტები უნდა განიხილოს ამა თუ იმ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს სპეციალურმა კომისიამ, რომლებიც შევლენ მიწადმოქმედების კომისარიატის, სასოფლო - სამეურნეო ბანკის, წყალთა მეურნეობის სამმართველოს და შინაგან საქმეთა კომისარიატის წარმომადგენლები. კომისიამ თავისი დასკვნა უნდა წარუდგინოს საამშენებლო ტექნიკურ კომიტეტს, რომელიც პროექტს საბოლოოდ ამტკიცებს.

სოფლის სადგურის აგება (50 კილომეტრამდე) შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ადგილობრივი თანხები იქნება გამოყენებული და თუ ეს თანხები შეადგენს მთელი სადგურის ღირებულების არა ნაკლებ 30 პროცენტს. ენერგიის წყაროდ სათბობმა სადგურებმა, უმთავრესად, უნდა გამოიყენონ წარმოების ნარჩომები (Отбросы), ხოლო ჰიდრო სადგურებმა წისქვილის წყალი ან სარწყავი არხები.

თათბირი საკასრე ქარხნის აგების შესახებ

გუშინ ახალშენებათა კომიტეტთან შესდგა გაფართოებული თათბირი ახალი საკასრე ქარხნის აგების შესახებ. თათბირს დაესწრნენ: მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის, სატყეო ტრესტის, ს. მ. უ. ს. საწარმოო-საგეგმო განყოფილების და სხვა დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

ქარხნის აგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ინჟ. ა. კანდელაკი, რომელმაც აღნიშნა, რომ ამჟამად ბორჯომის საკასრე ქარხანა მუშაობს ორ წყებათ და წლიურად ამზადებს 3 ათას კომპლექტ საკასრე ტკეჩს, მაგრამ ეს რაოდენობა ნახევრადაც ვერ აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნილებას. ამიტომ გადაუდებელ ამოცანას უნდა იქნეს მიჩნეული მეორე უფრო დიდი საკასრე ქარხნის აგება, იმ ვარაუდით, რომ ახალმა ქარხანამ იმუშაოს ორ წყებათ და წლიურად დაამზადოს 1.500.000 კომპლექტი ტკეჩი.

მიწადმოქმედების კომისარიატის წარმომადგენელი ა. ბაქრაძე საჭიროდ თვლის, რომ ქარხანა აგებულ იქნას თელავის მაზრაში, სოფ. ახმეტის მახლობლად, ვინაიდან იქ დიდი ტყეებია, სადაც მოიპოვება წიფლის ხე, რომლიდანაც გამოდის კარგი ტკეჩი და გამძლე საკასრე მასალა.

სატყეო ტრესტის წარმომადგენელი ინჟ. ავალიანმა მხარი დაუჭირა ა. ბაქრაძის წინადადებას და დაასაბუთა სოფ. ახმეტის უპირატესობა სხვა რაიონებთან.

თათბირმა დაადგინა, დაწვრილებით იქნეს შესწავლილი ახმეტის რაიონი და ადგილობრივ გამოირკვეს, თუ რამდენად შესაძლებელი და ხელსაყრელი იქნება იქ საკასრე ქარხნის აშენება, უმთავრესად ტექნიკურ-ეკონომიური და ტრანსპორტის თვალსაზრისით.

ქალთა საერთაშორისო დღე

თეზისები მოხსენებისათვის

1. 8 მარტი მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღესასწაულია. წლიდან წლამდე დღესასწაულობენ ამ დღეს, როდესაც მთელი მსოფლიოს მუშა-ქალები და გლეხ-ქალები ერთმანეთს უწვდიან შეურყეველი მეგობრობისა და ბრწყინვალე სოციალისტური მომავლისათვის საერთო ბრძოლაში ძმური დახმარების ხელს. ყოველ წლობით დღესასწაულობენ ამ დღეს, როცა სხვადასხვა ქვეყნების მშრომელი ქალები მჭიდროთ ირაზმებიან სოციალისტური მშენებლობისათვის საბჭოთა ქვეყანაში, კაპიტალის ძალაუფლების დამხობისათვის დასავლეთის ქვეყნებში, აღმოსავლეთის ქვეყნების განთავისუფლებისათვის იმპერიალისტური ჩაგვრისაგან. ამ დღეს ამოწმებს მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა საერთაშორისო არმია თავის ძალებს, რომელიც ერთ-ერთ ძლიერ რაზმს წარმოადგენს მებრძოლი პროლეტარიატის, გლეხობის და მთელი მსოფლიოს ჩაგრული ერების მრავალმილიონიან მასაში.

2. 8 მარტი არის არა მარტო მშრომელ ქალთა დღესასწაული; ეს არის ყველა მშრომელთა დღესასწაული. მუშა-ქალი და გლეხი-ქალი მშრომელთა საერთო ოჯახის სრულუფლებიანი წევრია. მუშა-ქალი და გლეხი-ქალი მუშათა და გლეხთა შეუპოვარი და ერთგული თანამებრძოლია ახალი, ბედნიერი ცხოვრებისათვის საერთო ბრძოლაში. მშრომელ ქალთა განთავისუფლება საუკუნოებრივი მონობიდან არის ყველა მშრომელთა საქმე და არა მარტო ქალების საქმე. მთელი მსოფლიოს მუშები და გლეხები ქალთა საერთაშორისო დღეს დღესასწაულობენ როგორც თავის ერთ-ერთ უდიდეს დღესასწაულს. 8 მარტი არის ის დღე, როცა მტკიცდება მუშათა და გლეხთა ძმური კავშირი მუშა-ქალებთან და გლეხ-ქალებთან, კავშირი თავის ამხანაგებთან ბრძოლასა, შრომასა და მუშაობაში.

3. ქალთა საერთაშორისო დღე მიმდინარე წელში ტარდება ისეთ პირობებში, როცა იზრდება ახალი რევოლიუციონური ბრძოლის ტალღა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებში. დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში (განსაკუთრებით გერმანიაში), სადაც კაპიტალიზმი ცდილობდა მუშათა ხარჯზე აღედგინა თავისი ძლიერება, იწყება შეუპოვარი სტაჩკური ბრძოლა. პროლეტარიატის შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების არაჩვეულებრივად გაუარესების გამო მწვავდება წინააღმდეგობა კლასებს შორის, იზრდება რევოლიუციონური შეგნება მუშათა მასებში, რომელნიც სულ უფრო და უფრო გადადიან კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის მხარეზე და ემზადებიან კაპიტალთან აშკარა და გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ახალი რევოლიუციონური ტალღის აზვირთებას აქვს ადგილი აღმოსავლეთშიაც, იმ ქვეყნებში, სადაც იმპერიალისტური ჩაგვრა აუტანელია. მიუხედავათ დამარცხებათა ჩინეთში დღით-დღე ძლიერდება მშრომელთა ბრძოლა იმპერიალისტების გასადევნად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. ცოცხლდება რევოლიუციონური მოძრაობა ინდოეთში, რომელიც ინგლისის იმპერიალიზმის ჩექმის ქვეშ იტანჯება.

4. პროლეტარიატისა და ჩაგრული ერების ამ ბრძოლაში მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ აქტიურ მონაწილეობას იღებენ მუშა- ქალები და გლეხი-ქალები. გაფიცვების დროს მუშა-ქალები და მუშების ცოლები განსაკუთრებით მტკიცედ არიან—მათ რიგებში ადგილი არ აქვს შტრეიკბრეხერობას. არა ერთ ქალს მოჰკვეთეს თავი ჩინეთის გათავხედებულმა მილიტარისტებმა იმის გამო, რომ ჩინელი მშრომელი ქალები აქტივობას და ერთგულებას იჩენდენ რევოლიუციის საქმისადმი.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა ამოცანას შეადგენს ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენა თავისი საზღვარ-გარეთული ძმებისა და დებისათვის მათ ბრძოლაში.

საბჭოთა საქართველოს მუშა-ქალებმა და გლეხ-ქალებმა ფხიზლად უნდა ადევნონ თვალყური რევოლიუციონური ბრძოლის განვითარებას დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, მშრომელ ქალთა მონაწილეობას ამ ბრძოლაში, და უნდა განამტკიცონ მათთან მჭიდრო საერთაშორისო კავშირი, მზრუნველად უნდა გამოეხმაურონ მოწოდებას მებრძოლთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

5. მტაცებელი-იმპერიალისტები თავის ბრჭყალებს იშვერენ საბჭოთა კავშირისაკენაც. ჩვენი ქვეყანა, თავისი უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრით და მრავალმილიონიანი მოსახლეობით, უკვე დიდი ხანია იქცევს იმპერიალისტური სახელმწიფოების ყურადღებას, რომელნიც მეტოქეობას უწევენ ერთმანეთს კაპიტალისა და საქონლის გასაღებისათვის საჭირო ბაზრების ძებნაში. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა უარჰყვეს ჩვენი წინადადებანი დაუყოვნებლივი და სრული განიარაღების შესახებ და კვლავ განაგრძობენ შეიარაღებას. ამზადებენ ახალ მსოფლიო ომს, კიდევ უფრო მეტად სისხლისმსმელს და გამანადგურებელს, ვიდრე იყო 10—15 წლის წინად მომხდარი ომი. ახალი ომი უმთავრესად მიმართული იქნება ჩვენს წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის მშრომელნი სათანადო პასუხს ამზადებენ თავისი მტრების წინააღმდეგ.

საქართველოს მუშა-ქალებმა და გლეხ-ქალებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ქვეყნის თავდაცვის საქმეში და ეხლავე უნდა შეისწავლონ სამხედრო-სასროლო და სასანიტარო საქმე. თუ ომი დაიწყო, მშრომელ ქალს ეკისრება „ზურგის დიასახლისის" საპასუხისმგებლო ამოცანა და იგი მზად უნდა იყოს შესცვალოს ფრონტზე წასულები, რომელნიც მუშაობდნენ წარმოებებსა და დაწესებულებებში, სოციალისტურ მშენებლობაში და ჩვენი ქვეყნის მართველობის სხვადასხვა დარგში.

6. ქალთა საერთაშორისო დღეს ეხლა ვდღესასწაულობთ ისეთ პირობებში, როცა ფართოვდება შეტევა სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე. ლენინური პარტიის ამას წინად მომხდარმა მე-15 ყრილობამ მოგვცა მთელი რიგი მნიშვნელოვანი დირექტივები ჩვენი შემდგომი სამეურნეო განვითარების გზების შესახებ. ჩვენ უნდა გაუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს ზრდის ტემპში, უნდა უზრუნველყოთ სოციალისტური ელემენტების უპირატესი და ხელმძღვანელი როლი ჩვენს მეურნეობაში, და აგრეთვე ამ მეურნეობის უკრიზისოდ განვითარება, ყოველგვარი საშუალებით უნდა გავაუმჯობესოთ მშრომელთა ყოფა-ცხოვრება და ყოველ მხრივ უნდა განვამტკიცოდ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა,—ასეთია ის დირექტივები, რომლებმაც თავის პრაქტიკულ განხორციელებაში უნდა უზრუნველყოს წარმატებითი სოციალისტური მშენებლობა საბჭოთა ქვეყანაში.

ლენინური პარტიის ეს ხელმძღვანელი დირექტივები შეიძლება იქნას გატარებული ცხოვრებაში მხოლოდ მშრომელთა ფართო მასების, მათ შორის ქალთა აქტიური დახმარებით.

თავის კვალიფიკაციისა და ნაყოფიერების გადიდება, თავისი სამუშაო დღის განაყოფიერება. (განსაკუთრებით 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებით), აქტიური მონაწილეობა საწარმოო თათბირებში, ხელისშეწყობა წარმოების რაციონალიზაციისათვის, ბრძოლა საქონლის ხარისხის გასაუმჯობესებლად,—ასეთია ყოველ მუშა-ქალის პრაქტიკული ამოცანები სოციალისტური მრეწველობის აღორძინებისა და განმტკიცების საქმეში.

7. განსაკუთრებული ყურადღება ლენინის პარტიის ყრილობამ მიაქცია საბჭოთა სოფლის სოციალისტური მშენებლობის საკითხს. ჩვენს წინაშე სდგას უდიდესი, გადაუდებელი ამოცანა—წვრილი საგლეხო მეურნეობის გარდაქმნა სოციალისტურ ნიადაგზე, მისი კოოპერაციაში შეკავშირებისა, განსაზოგადოების საშუალებით. ამასთან მჭიდრო კავშირი აქვს მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვან ამოცანას—სოფლის ღარიბ გლეხთა შეკავშირება, ღარიბთა კავშირის განმტკიცება საშუალო გლეხობასთან და გადამჭრელი ბრძოლის წარმოება კულაკის წინააღმდეგ.

მუშაობა ახალი სოფლის შესაქმნელად—ძნელი მუშაობაა, რომელიც მოითხოვს დიდ ძალებს, საშუალებებსა და ყურადღებას და გაგრძელდება რამდენიმე წელს. ამ ამოცანის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მშრომელთა ფართო მასებისა და პირველ რიგში კი თვით გლეხობის აქტივობით.

დიდი მუშაობა მოუხდება ამ დარგში გლეხქალსაც. სოფლის ყოფა - ცხოვრების გარდაქმნა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გლეხქალზე. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მის აქტიურ მონაწილეობას გლეხურ მეურნეობაზე სოციალისტური ზეგავლენის გამტარებელ სასოფლო კოოპერაციის მოღვაწეობის სხვადასხვა დარგებში.

8. სამეურნეო მშენებლობის გაძლიერებლად, საკავშირო მთავრობა უშვებს „გლეხის მეურნეობის განმტკიცების" სესხს 100.000.000 მან. რაოდენობით, რომელიც მთლიანად მოხმარდება გლეხური მეურნეობის განვითარებასა და განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ სესხის რეალიზაციის საქმეში. ყოველი გლეხი - ქალის ამოცანას წარმოადგენს ამ სესხის გავრცელების საქმისათვის აქტიურად ხელის-შეწყობა სოფლად. არც ერთი გლეხის ოჯახი არ უნდა დარჩეს, რომელიც ხელს არ მოაწერს სესხზე.

9. წარმატებითი სოციალისტური მშენებლობა, როგორც ქალაქში, ისე განსაკუთრებით სოფლად, შეუძლებელია ბიუროკრატიზმის სენთან გადამჭრელი ბრძოლის გარეშე. ჩვენს სახელმწიფო აპარატში ჯერ კიდევ ძლიერია წარსულის დაწყევლილი მემკვიდრეობა, რაც თავის გამოხატულებას პოულობს საქმის გაჭიანურებაში, უყაირათობაში, ზედმეტ კანცელიარიზმსა და დაწესებულებებში საქმისთვის მოსულ ხალხისადმი უყურადღებოთ მოპყრობაში. საბჭოთა ორგანიზმის ეს მტკივანი ადგილები ძირ - ფესვიანად უნდა ამოიფხვრას. მაგრამ მათი ძირ-ფესვიანად ამოფხვრა არ შეიძლება მხოლოდ ხელისუფლების ორგანოების ბრძოლით — საჭიროა მშრომელთა ფართო მასების აქტიური ჩარევა ჩვენი აპარატის სხვადასხვა ავადმყოფურ მოვლენებთან დაუნდობელ ბრძოლის საქმეში.

მოღვაწეობის ფართო ასპარეზი იშლება ამ მხრით თვითეული მშრომელი ქალის წინაშე. მშრომელი ქალი, რომელიც ყურადღებით ეპყრობა საბჭოთა მმართველობის ნაკლს დიდ წვლილს შეიტანს საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საერთო საქმეში. აუცილებელია მშრომელი ქალის მონაწილეობის გაძლიერება ადგილობრივ საბჭოთა დაწესებულებებში და მისი ჩაბმა ყოველდღიურ საბჭოთა მუშაობაში. თუ საბჭოთა სახელმწიფოს მმართველობის საქმეში არ იქნება ჩაბმული მშრომელთა უფრო ჩამორჩენილი ფენები, განსაკუთრებით მუშა და გლეხი ქალები, ისე შეუძლებელია ფიქრი ბიუროკრატიზმის სენის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლაზე.

10. მთელ რიგ ბიუროკრატიულ გადამახინჯებათა არსებობის უმთავრეს მიზეზს ჩვენს პროლეტარულ სახელმწიფოში წარმოადგენს მშრომელი მასების სიბნელე, უვიცობა და კულტურული ჩამორჩენილობა. და ამ გადამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლის ძირითად საშუალებას წარმოადგენს გაძლიერებული მუშაობა კულტურული დონის ასაწევად ჩვენს ქვეყანაში.

კულტურული რევოლიუცია — ეს ის მთავარი საქმეა, რომელიც უნდა განვახორციელოთ, რომ ჩვენი ქვეყანა ნამდვილი სოციალისტური ქვეყანა გახდეს. კულტურული რევოლიუცია — ეს თვით მშრომელი მასების საქმეა. მუშა და გლეხო ქალო და პიონერო,—იბრძოლეთ ახალი სოციალისტური კულტურისათვის.

კულტურული რევოლიუციის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს შეუპოვარი ბრძოლა ქალის მონური მდგომარეობიდან განთავისუფლებისათვის. არ კმარა ქალის გათანასწორება მამაკაცთან უფლებებში, — საჭიროა მისი მდგომარეობის გათანასწორება ყოველდღიურ ცხოვრებაში, შრომასა და მუშაობაში. ბევრი რამ გააკეთა საბჭოთა სახელმწიფომ ქალის ეკონომიურად განთავისუფლების საქმეში. მაგრამ ჯერ კიდევ გაცილებით უფრო მეტია გასაკეთებელი. საჭიროა მთელს საბჭოთა საქართველოში, მის ჩამორჩენილ კუთხეებშიაც კი ქალის ყოფა - ცხოვრების გამაუმჯობესებელ დაწესებულებათა ფართო ქსელის შექმნა და ამ დაწესებულებების მშენებლობაში თვით ქალთა მასების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა.

11. სოციალისტური მშენებლობის ყველა ამ დიდ და მძიმე ამოცანების გადაჭრა შეიძლება მხოლოდ საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ფართო მასების შემჭიდროვებით ლენინური პარტიის დროშის ქვეშ. ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტ - ბოლშევიკების პარტია, რომელიც ლენინის ხელმძღვანელობით გამოიბრძმედა მრავალი წლის ბრძოლებში, გაბედულად და მტკიცედ მიდის და ივლის კიდეც დიდი ბელადის მიერ ნაჩვენები გზით. მისთვის უცხოა ყოველგვარი იჭვი და რწმენის უქონლობა ლენინური ხაზის სისწორეში. ყველა შტრეიკბრეხერებსა და ლიკვიდატორებს, რომლებიც ცდილობენ პარტიის ამ გზიდან გადაცდენას, ლენინური პარტია დაუნდობლად სდევნის თავისი რიგებიდან და მას საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები მიჰყავს და მიიყვანს კიდეც სოციალიზმის სრულ და საბოლოო გამარჯვებამდე ჩვენს ქვეყანაში.

ერთი მუჭა თავაშვებულ ოპოზიციონერების ადგილზე, ოქტომბრის გაწვევის დროს მშრომელებმა ლენინურ რიგებში გაგზავნეს 100.000 მეტი მუშა და მუშა-ქალი.

საბჭოთა საქართველოს მუშა და გლეხი ქალებმაც აგრეთვე თავისი წრიდან კომუნისტურ ოჯახში - - ლენინურ პარტიაში და მის მომავალ რეზერვებში (ახ. ლ. კ. კ.) უნდა გაგზავნონ საუკეთესო ელემენტები და დაირაზმონ ლენინის პარტიის — მთელ მსოფლიოში პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის ზეიმის პარტიის გარშემო.

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება

ლოზუნგები

1. 8 მარტი — მთელი ქვეყნის მშრომელთა დღესასწაულია.
2. მუშა და გლეხ ქალო! განამტკიცე საერთაშორისო კავშირი შენს უცხოელ დებთან.
3. ქალთა საერთაშორისო დღეს ჩვენი ძმური სალამი ჩინეთის რევოლიუციონერ ქალებს.
4. საბჭოთა საქართველოს მშრომელი ქალი დაუხმარებლად არ დასტოვებს დასავლეთ ევროპის მშრომელ ქალს მის ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ.
5. იმპერიალისტები ჩვენს წინააღმდეგ ამზადებენ ომს. მუშა და გლეხო ქალო, ემზადე თავდაცვისათვის.
6. მუშა ქალო, გააუმჯობესე ჩვენი სოციალისტური მრეწველობის წარმოება.
7. სესხის რეალიზაციის წარმატებით ჩატარება განამტკიცებს გლეხურ მეურნეობას და ასწევს მშრომელი გლეხობის კეთილდღეობას. გლეხო ქალო, საგლეხო სესხის შეძენით, შენ აუმჯობესებ შენი ოჯახის კეთილდღეობას.
8. გლეხო ქალო, ჩადექ ახალი სოციალისტური სოფლისათვის ბრძოლის პირველ რიგებში.
9. კოოპერაცია გზაა სოციალიზმისაკენ. მუშა და გლეხო ქალო, შედით მის რიგებში.
10. რაც უფრო მეტი ქალია საბჭოებში, მით უფრო წარმატებით მიმდინარეობს ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ.
11. მუშა და გლეხო ქალო, გაგზავნეთ თქვენი საუკეთესო წარმომადგენლები საბჭოებში. ამით თქვენ დახმარებას გაუწევთ საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების საქმეს.
12. ქალის მონური მდგომარეობიდან განთავისუფლება — კულტურული რევოლიუციის პირველი რიგის ამოცანაა.
13. მუშა და გლეხო ქალო, იბრძოლეთ ახალი კულტურისათვის, ახალი ყოფა - ცხოვრებისათვის.
14. მუშა და მოჯამაგირე ქალო, შედით ლენინური პარტიის რიგებში, უფრო მჭიდროთ დაირაზმეთ კომუნისტური დროშის ქვეშ.

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება.

საჩივართა ბიურო

(მ.-გ. ინსპექციის ცნობებით)

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცნობებით, საჩივართა ბიუროს მუშაობა თანდათან უფრო ფართე ხასიათს იღებს რაც მოასწავებს მასების აქტივობის ზრდას და მათ მიერ პარტიის ლოზუნგების შეთვისებას. ამ მხრივ დამახასიათებელია ის გარემოება, რომ მშრომელთა მიერ ბიუროში შეტანილი განცხადებათა დიდი ნაწილი შეეხება არ მათ პირად საქმეს, არამედ მიზნად ისახავს მ.-გ. ინსპექციის ყურადღება მიაქციოს ჩვენს დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში არსებულ დეფექტებზე.

მ.-გ. ინსპექციის ცნობით, საჩივართა ბიუროს მუშაობას ახასიათებს შემოსულ საჩივრების საერთო ზრდა. მაგ.: 1925 წლის პირველ ოქტომბრიდან 1926 წლის იმავე თვის პირველ რიცხვამდე შესული იყო სულ 1.600 საჩივარი, 1926-27 წლ. განმავლობაში საჩივართა რაოდენობამ თითქმის 2.300 მიაღწია. ე. ი. თითქმის 50 პროც. გაიზარდა. კერძოდ რესპუბლიკანური საჩივართა ბიუროები საჩივრების ასეთ ზრდას იძლევიან: საქ. მ.-გ. ინსპექციის ბიურო—34 პროც., სომხეთის—16, აზერბეიჯანის—36 და ამიერ-კავკასიის 34 პროც.

საჩივართა ბიუროების მეორე დამახასიათებელი თვისებაა იმ საჩივრების ზრდა, რომლებიც ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას შეეხება. როგორ ციფრები მოწმობენ საჩივართა ბიურო თანდათან ხდება ისეთ ორგანოთ, რომელიც ბრძოლას აწარმოებს ბიუროკრატიული დამახინჯების კონკრეტიულ შემთხვევებთან, როგორიცაა მაგ. საქმის გაჭიანურება, ფორმალური ჩინოვნიკური მიდგომა საქმისადმი, მედიდური მოპყრობა მშრომელთა მიმართ და სხვა. თუ 1925-26 წლის განმავლობაში ბიუროკრატიზმსა და გაჭიანურებაზე შემოსული იყო სულ 225 საჩივარი,—1926-27 წელს ასეთი საჩივრების რიცხვმა 936 გადააჭარბა. განსაკუთრებით, ასეთი ხასიათის საჩივრების რიცხვი გადიდებულია აზერბეიჯანში, სადაც 1925-26 წელს ბიუროს მიუღია 42 საჩივარი, ხოლო 1926-27 წელს 444 საჩივარი, ე. ი. თითქმის 1000 პროცენტით გადიდებულა.

საქართველოს მ.-გ. ინსპექციის საჩივართა ბიუროში 1925-26 წელს შეტანილია 52 საჩივარი, ხოლო 1926—27 წელს 138 (165 პროც.) სომხეთის მ.-გ. ინსპექციის ბიუროში 1925-26 წელს—142, 1926-27 წ.—288 საჩივარი (112 პროც.) ა.-კ. მ.-გ. ინსპექციაში 1925—26 წელს—20 საჩივარი, 1926-27 წ.—53 (165 პროც.).

1925-26 წელს შესულ საჩივრებს შორის ბიუროკრატიზმის შესახებ შესული საჩივრები შეადგენენ საერთო რაოდენობის მხოლოდ 15 პროც., ხოლო 1926-27 წელს უკვე 41 პროცენტს.

ახალი კოოპერატივები

საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ კოოპერატიულ საქმეთა სამმართველოს უკანასკნელ სხდომაზე დამტკიცებული იქნა შემდეგი ახალი კოოპერატივების წესდებები: ახალციხის სარეწაო კოოპერატიული ნადი—„კრესტიანსკი ლაპტი", თბილისის კოოპ. ნადი—„პარკი", ახალსენაკის თვითმშრომელ მეპურეთა სარეწ. კოოპ. ნადი—„წითელი ვარსკვლავი", სამტრედიის მეპურეთა სარეწ. კოოპ. ნადი—„შინამრეწველი", თბილისის ევროპიულ ფეხსაცმელების მკერავთა სარეწ. კოოპ. ნადი—„ინტერნაციონალი", „სამტრედიის საკრედიტო შინა-მრეწველ ხელოსანთა კოოპ. ამხანაგობა", „გორის საკრედიტო შინამრეწველ ხელოსანთა კოოპ. ამხანაგობა", ბორჩალოს მაზრის სატყეო და საფქვილე სარეწაო კოოპ. არტელი „რომაშენი", ქუთაისის კარაკულის ქუდების მკერავთა კოოპ. ნადი „განთიადი", ლანჩხუთის აბრეშუმეულის და ჩულქების მქსოველთა კოოპ. ნადი „ქალთა შრომა", ხონის მეჩექმეთა კოოპ. ნადი „გაერთიანებული შრომა", ხაშურის საკრედიტო შინამრეწველ ხელოსანთა კოოპ. ამხ-ბა, დუშეთის მაზრის სოფ. ოძისის სას.-სამ. ამხ-ბა „მამია ორბელიშვილის სახელობის არტელი", დვაბზუს თემის წველა-დღვების არტელი „ბახმარო", თბილისის მელითონეთა სამრეწველო კოოპ. ნადი „რკინა", თელავის მაზრის სოფ. ვანთას მევენახეთა ამხ-ბა „ვახთა", თელავის მაზრის სოფ. ბუშეტის მევენახეთა ამხ-ბა „ბუშეტი", სოფელ ვარდის უბნის მევენახეთა ამხ-ბა „მტევანი", სოფელ ოცისპირის მევენახეთა ამხ-ბა „რუის-პირი", სოფელ გულგულას მევენახეთა ამხ-ბა „გულგულა", სოფ. ნავარეულის მევენახეთა ამხ-ბა „სახაცარდო", ოზურგეთის მაზრის სოფ. დაბლაციხის სას.-სამ. არტელი „პირველი მაისი", სიღნაღის მაზრის სოფ. კავშირის სამანქანო კოოპ. ამხ-ბა „ახალი ყვავილი", სოფ. მანავის სას.-სამ. ამხ-ბა „მანავი", სოფ. პრიეტის წველა-დღვების არტელი „აქტივა", ზუგდიდის მაზრის სოფ. ცუნაკარი-ხულუხის სას.-სამ. არტელი „მე-3-ე ინტერნაციონალი", ზუგდიდის მაზრის სოფ. ფახულანის მე-2 სას.-სამ. არტელი „სანიმუშო კოლექტივი", ზუგდიდის მაზრის სოფ. ფახულანის 1-ლი სას.-სამ. არტელი „წითელი ოქტომბერი", ზუგდიდის მაზრის სოფ. ფახულანის სას.-სამ. არტელი „კოლხიდა", თბილისის და მისი რაიონის პურის მცხობელთა სამრეწველო კოოპ. ამხ-ბა „იმედი", თბილისის მაზრის სოფ. ნავთიჯალის სას.-სამ. არტელი „ბაღნარი" და სოფ. ყვარელის მევენახეთა ამხანაგობა „ყვარელი".

ტყეების მოწყობა

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილების ცნობით გასულ წელს ტყეების მოწყობა სწარმოებდა ოზურგეთის, სენაკის და რაჭის მაზრის სატყეოებში. ოზურგეთის მაზრაში ტყეების მოწყობა სწარმოებდა სურების და ერკეთის სატყეო აგარაკებში. ამ აგარაკებში სულ მოწყობილი იქნა ტყე 22.967 ჰექტარის სივრცეზე, მოუწყობელი დარჩა—32.750 ჰექტარი.

სენაკის მაზრაში ტყეების მოწყობა სწარმოებდა 22.000 ჰექტარზე სავსებით დამთავრდა ღუნძის და კრომის სატყეო რაიონებში. სენაკის მაზრაში კიდევ მოსაწყობია 18.442 ჰექტარი.

რაჭის სატყეოში მოწყობილი იქნა 6 სატყეო აგარაკი—ნიკორწმინდის, ჭყორის, ცესის, ურავის, სადმელის და ლიხეთის. სულ 30.000 ჰექტარის სივრცეზე. ყველა ეს სამუშაოები ჩაატარა 6 სატაქსაციო ჯგუფმა. თითო ჯგუფი შესდგებოდა ერთი ტაქსატორის და ერთი მაზომველისაგან.

სატაქსაციო ჯგუფში მუშაობდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები—მეტყევეები. მომავალ გაზაფხულიდან ისევ განახლდება მუშაობა ტყეების მოსაწყობათ. წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა გლეხებზე გადაცემულ ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების მოწყობის და გამოკვლევის საქმეს. წელსვე იწარმოებს ახალი ტყეების გაშენება და მიღებული იქნება შესაფერი ზომები ტყეების დასაცავად. ამ მიზნით განზრახულია გლეხებს განუმარტონ და აუხსნან ტყეების დაცვის მნიშვნელობა და ტყეების უწესრიგოთ გაჩეხვით მოსალოდნელ უბედურების შედეგება.

მელიორაცია

წყალთა მეურნეობის სამმართველოს ცნობით, მოურწყველობის გამო სახნავ-სათესად გამოუსადეგარ ადგილების სივრცე უდრის: აღმოსავლეთ საქართველოში 650.000 დესეტინას, დასავლეთ საქართველოში—300.000 დესეტინას. მორწყვის შემდეგ ამ მიწებზე შესაძლებელია ბამბის, სიმინდის, თამბაქოს, ბოსტნეულის, კანაფის და სხვ. კულტურების და აგრეთვე ვაზის, ხეხილის, ბაღების და ბოსტნების გაშენება.

საქართველოს გასაბჭოებიდან დღემდე მელიორაციის საქმეზე დაიხარჯა 2.033.000 მანეთი. არხების გასაყვანად დაწესებულ სამუშაოების სავსებით დამთავრების შემდეგ, უახლოეს წლების განმავლობაში, მორწყული იქნება 151.000 დესეტინა მიწა. ამჟამად უკვე ირწყვება 8.000 დესეტინა.

წყალთა მეურნეობის სამმართველოს საიმელიორაციო გეგმით, განზრახულია საქართველოში მორწყვის საქმის გაფართოება, მიწის სავიწროვესთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით. მორწყულ ადგილებზე გადმოსახლებული იქნებიან უმიწაწყლო გლეხები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან.

ამას გარდა განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ჭაობიან ადგილების ამოშრობის საქმეს.

ამჟამად ჭაობების ამოშრობა სწარმოებს გურია-სამეგრელოში, აჭარისტანში და ფოთში. ჭაობების ამოშრობა მოსახლეობის გაჯანსაღებასთან ერთად, ხელს შეუწყობს უმიწაწყლო გლეხების მიწით უზრუნველყოფას და სოფლის მეურნეობის გაფართოების საქმეს.

ქრონიკა

1000 მანეთის წიგნები სტუდენტთა გამომცემლობას

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის 10 წლის თავის აღსანიშნავათ, საქართველოს ეკონომიურ-კომერციული განათლების დამხმარე კომიტეტმა დაადგინა გადასცეს სტუდენტთა გამომცემლობას, მისი ფონდის გააძლიერებლათ, კომიტეტის მიერ გამოცემული სხვადასხვა ავტორების წიგნები, ღირებული 1000 მანეთად.

ავტობუსებით მიმოსვლა სტუდენტებისათვის

13 თებერვლიდან „ზაკავტოპრომტორგი“ აწესებს სისტემატიურად საავტობუსო მიმოსვლას შემდეგი მარშრუტით: ზემელის აფთიაქი—სახელმწიფო უნივერსიტეტი და უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის შენობა (ყოფ. სასულ. სემინარია, ვაკეზე) ზემელის აფთიაქი—პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ყოფ. სომ. სემინარიის შენობა), თავისუფლების მოედანი—პოლიტეხნიკური ინსტიტუტის შენობა და კარლ მარქსის მოედანი—პოლიტეხნიკ. ინსტიტუტი. პირველი მარშრუტით ბილეთი ღირება 5 კაპ. მეორეთი—10 კაპ. და დანარჩენი მარშრუტებით 15 კაპ.

ეს ტარიფი ვრცელდება მარტო სტუდენტებზე და უმაღლეს სასწავლებლის მუშაკებზე.

საფოსტო ყუთები ტრამვაიზე

ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატმა შეიმუშავა ტრამვაის საფოსტო ყუთების ტიპი რომელიც შემოღებულ იქნება მთელს საბჭოთა კავშირში. ტრამვაის ყუთში ჩადებული წერილები გაიგზავნება პირველი საფოსტო ვაგონით.

თათბირი ადგილობრივ მნიშვნელობის გზების მშენებლობის შესახებ

საქართველოს ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველო ამ თვის შუა რიცხვებში იწვევს სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეების თათბირს. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის შესახებ.

ფასები ნავთზე

საქართველოს ვაჭრობის კომისარიატის დადგენილებით ნავთით საცალო ვაჭრობისათვის თბილისში დაწესებულია შემდეგი ფასები: მუშკოოპის ნავთის დუქნებიდან—1 ფუთი—1 მან. 30 კაპ., ე. ი. ლიტრი 6 ნახ. კაპ.; კასრებით დამტარებლებისაგან შეძენის დროს 1 ფუთი—1 მან. 40 კაპ., ე. ი. ლიტრი 7 კაპ. და ხელით დამტარებლებისაგან შეძენის დროს—1 ფუთი—1 მან 50 კაპ., ე. ი. ლიტრი 7 ნახ. კაპ.

თბილისის აღმასკომში

◆ **ქუჩის გაფართოება.** არდონის და ბარიხაშის ქუჩების გასაფართოებლად თბ. აღმასკომმა გადასდო 50.000 მანეთი.

◆ **სახლები,** რომლებსაც არ შეაკეთებენ და სათანადოთ არ მოუვლიან მეპატრონენი, თბ. აღმასკომის დადგენილებით ჩაითვლება უპატრონოდ და გადაეცემა თბ. აღმასკომს.

◆ **ტრამვაის მუშათა კლუბის შესაკეთებლად** გადაიდო 12.800 მანეთი.

◆ **ნაძვიროვკას დასაგეგმავათ** თბ. აღმასკომმა გადასდო 4000 მან., დაგეგმვის შემდეგ შეუდგებიან ნაძვიროვკის რაიონის კეთილმოწყობას.

ჯანსახკომში

◆ **დახმარება.** ფოთის საავადმყოფოს საჭიროებისათვის ჯანსახკომმა გადასდო 1000 მანეთი.

◆ **ხე-ტყის ქარხანა.** საკურორტო სამმართველო შეუდგა აბასთუმანში ხე-ტყის ქარხნის აგებას.

სხვადასხვა

◆ **ჭურჭლეულობა.** წელს ამიერ-კავკასიაში შემოტანილი იქნება 205 ვაგონი ჭურჭლეულობა.

◆ **ყველა დასასვენებელი სახლები** და „ცრაზინდო“ გადაეცა სოცდაზღვევის სამმართველოს.

◆ **სახ. უნივერსიტეტის** გეოლოგიურ კაბინეტის აუდიტორიაში 10 თებერვალს, საღამოს 7 ს. შესდგება საქ. გეოლოგიურ ინსტიტუტის საჯარო სხდომა, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავს პროფ. **ალ. ჯანელიძე** თემაზე: „ნატახტარის წყაროების ჰიდრო-გეოლოგია“.

◆ **საქ. ისტორიის და ეთნოგრაფიის საზოგადოებაში.** პარასკევს, 10 თებერვალს, საღამოს 7 საათ., საქ. მუზეუმის აუდიტორიაში საზ-ბის ჩვეულებრივ კრებაზე დოც. **ალ. წერეთელი** წაიკითხავს მოხსენებას: „ეტრუსკების საკითხისათვის“. კრება საჯაროა.

◆ **დღეს, საღამოს შვიდ საათზე ქართული** ენის კაბინეტში (მე-14 შრ. სკ.) შესდგება ქართული გრამატიკის სემინარიის მორიგი მუშაობა.

დღის წესრიგში სდგას **გ. თოფურიას** მოხსენება: „მეტყველების ნაწილების სწავლება ფორმალი გრამატიკის მიხედვით“.

შემთხვევები

პლეხანოვის პროსპექტზე მომხდარ კატასტროფის გარშემო

გუშინ კატასტროფის მიზეზების გამომრკვევმა სპეციალისტთა კომისიამ დაასრულა მუშაობა.

კომისიის დასკვნით, ტრამვაის ვაგონის და ავტომობილის ტეხნიკური მდგომარეობასა და გზის პირობებს არ შეეძლო გამოეწვია კატასტროფა.

ამგვარად, საბოლოოდ დადასტურდა, რომ კატასტროფა მოხდა ვატმან გერასიმე კუზმინის და შოფერ და იაკობ მიშინის დაუდევრობით.

კოოპერატივის გაქურდვა

გუშინ, დილით გაქურდეს მუშკოოპის მაღაზია (უნივერსიტეტის ქ. № 36). წაიღეს — 300 მანეთის ნივთები.

ქურდობა

გუშინწინ, ღამით გაქურდეს ვლადიმერ იანოვიჩის ბინა (გუნიბის ქ. № 11). წაიღეს 300 მანეთის საოჯახო ნივთები.

დაჭრა

გუშინწინ. ღამით პეტრე ალალისძე ისაროვმა დანით მსუბუქად დაჭრა თავისი ცოლის ძმა ანდრონიკ ბარსეგისძე სააკოვი.

დაჭრის მიზეზი ჯერჯერობით გამოურკვეველია.

მოწამვლის განზრახვა

ვიკენტი საბას ძე მელქაძის მოწამვლის ცდისათვის გუშინ დააპატიმრეს მოქ. მელქაძის ბაღში მომუშავე ნიკოლოზ შენგელაია და უკანასკნელის მეგობარი დავით დეკანოსიძე

ხელოვნება

„რღვევა“—რუსთაველის თეატრში

დღეს, 9 თებერვალს, რუსთაველის სახელმწიფო თეატრში რეჟისორ **ალ. ახმეტელის** დადგმით და მხატვარ **ირ. გამრეკელის** დეკორაციებით პირველად წარმოდგენილი იქნება ლავრენევის ცნობილი პიესა „რღვევა“.

„რღვევას“ მეორე წარმოდგენა გაიმართება 11 თებერვალს, მესამე წარმოდგენა—14 თებერვალს. სამივე წარმოდგენის ბილეთები გაყიდულია.

ამჟამად პროფკავშირებსა და თეატრის დირექციას შორის სწარმოებს მოლაპარაკება „რღვევას“ რამდენიმე წარმოდგენის გასამართავად სპეციალურად კავშირის წევრებისათვის.

პროლეტარულ მწერალთა შორის

პროლეტ. მწერალთა ასოციაციის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა ყოველ ხუთშაბათობით მოაწყოს ასოციაციის წევრთა შორის—შემოქმედებითი საღამოები, რომლებზედაც პროლეტარული მწერლების პირად მორიგეობით წაკითხული იქნება ახალი ნაწარმოები ყოველი ნაწარმოები დეტალურად განხილული იქნება დამსწრე მწერალთა მიერ. გარდა ამისა დრო-გამოშვებით დანიშნული იქნება კოლექტიურ დამუშავებისათვის მოხსენებები კონკრეტულ-ლიტერატურულ საკითხებზე.

პირველი ასეთი შემოქმედებითი საღამო გაიმართება დღეს. ხელოვანთა სასახლეში საღ. სრულ 7 საათზე. წაკითხულ იქნება ალიო მაშაშვილის ახალი რომანი.

— **სახ. უნივერსიტეტის პედ-ფაკულტეტში.** ხუთშაბათს, 9 თებერვალს. საღ. სრულ 5 საათზე მოწვეულია პედ-ფაკულტეტის სიტყვიერების დარგის ყველა კურსების გაერთიანებული კრება. მოხსენებას გააკეთებს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მდივანი ამხ. ბ. ბუაჩიძე, სახ. უნივერსიტეტიდან გაერთიანებულ ლიტერატურულ წრის ჩამოყალიბების შესახებ.

„ბოშური სისხლი“

რეჟ. **ლ. პუშმა** ასისტენტ **შ. ხომერიკის** თანამშრომლობით დაამთავრა სურათ „ბოშური სისხლის“ გადაღება და მონტაჟი. სურათი აგებულია კ. ბერკოვიჩის მოთხრობაზე და გამოხატავს მოხეტიალე ბოშების ცხოვრებას

სურათს იღებდნენ ოპერატორი **ა. გალპერინი** და **მ. კალატოზიშვილი.**

მთავარ როლებს ასრულებენ: **მარია შირაი, კოტე მიქაბერიძე, ალ. თაყაიშვილი, ზაალ ბერიაშვილი** და **ი. ზარუქელი.**

„ბოშური სისხლი“ ერთდროულად იქნება ნაჩვენები სახკინმრეწვის ყველა კინო თეატრებში ა.-წ. თებერვლის ბოლო რიცხვებში.

— **„სილვა“.** 10 თებერვალს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება პრემიერა „სილვა“

— **საბურთალოს მუშათა კლუბში** 10 თებერვალს **ელ. ჩერქეზიშვილის** მონაწილეობით გაიმართება [illegible] წარმოდგენა.

— **ნიღბოსანთა სალამო.** 11 თებერვალს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში გაიმართება ნიღბოსანთა დიდი სალამო.

— **კონსერვატორიის დარბაზში ახლო ხანში** გაიმართება კონსერვატორიის თეორიული კლასის მოწაფეთა საღამო.

— **სიმფონიური კონცერტი.** 13 თებერვალს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

— **მუშათა ახალ კლუბში** დღეს გაიმართება ადგილობრივ დრამწრის წარმოდგენა.

— **„ნიბელუნგები“.** კინო პალასში განახლდა „ნიბელუნგების ჩვენება“.

— **„გოფმანის ზღაპრები“.** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „გოფმანის ზღაპრები“, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს სახ. კონსერვატორიის კურს დამთავრებული **მარგარიტა გოგლიჩიძე** (კოლორატიული სოპრანო).

სასამართლო

მამის მკვლელი

მას შემდეგ. რაც სიმონ ლუარსაბიშვილმა მეორე ცოლი მოიყვანა, დამოკიდებულება მასა და მის შვილ ნიკოს შორის ძლიერ გამწვავდა. სიმონი ისე არ დაიძინებდა, რომ ხანჯალი სასთუმალს ქვეშ არ შემოედო. ეშინოდა შვილმა არ მომკლასო.

ერთ დღეს სვიმონმა სადილი გამართა და მიიწვია თავისი მეზობლები. სტუმრებიც დათვრენ და მასპინძელიც. როცა ქეიფი გათავდა და სტუმრები დაიშალენ, სვიმონსა და მის ცოლს ჩხუბი მოუვიდათ ერთმანეთს შორის. ცოლი გაებუტა სვიმონს. ეს იწყინა უკანასკნელმა და მიანგრ-მოანგრია ყველაფერი სახლში. ამ ჩხუბს და „ნგრევას“ უყურებდნენ სვიმონის პატარა ვაჟები, რომელთაგან ერთი, სახელად ილო, გაიქცა თავის უფროს ძმასთან ნიკოსთან, რომელიც ამ დროს ყანაში მუშაობდა და უამბო შემდეგი:

— ნიკო, მამამ ყველაფერი დაამტვრია დედას წაეჩხუბა. არ ისვენებს, რაც ხელში მოხვდება. ყველაფერს ამტვრევს. წამოდი. იქნებ დააწყნარო.

ნიკოს, რომელსაც მამის მტრობა ისედაც გამჯდარი ჰქონდა გულში, ამის გაგონებამ სულ აურია აზრი. გაბრაზდა საშინლად მიაგდო თოხი და გამოიქცა.

გზაში ნიკო სულ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ მოეშორებია მამა თავიდან.

— ილო, მე მამა უნდა მოვკლა. ამას შენ ნამუსად გაგანდობ. მხოლოდ შენ უნდა დამეხმარო. მე მოვკლავ მამას და შენ დაიბრალე, ვითომ შენ მოგეკლას... შენ მცირეწლოვანი ხარ და არ დაგსჯიან.

ილომ შესაფერი ვერ უთხრა გადაჭრით თავის ძმას. ძალიან ყოყმანობდა.

ამ ლაპარაკში უკვე მიუახლოვდინ სახლს. ნიკო შევარდა სახლში და გაექანა მამისაკენ.

— რა ღმერთი გიწყრება, რად ანგრევ ამ ოჯახს. თუ გაგიჟდი, მე მკითხე, როგორ უნდა მოქცეიანება.

მამა და შვილი შეებნენ ერთმანეთს, მაგრამ როგორც იქნა გააშველეს.

დაღამდა. დამთვრალი სვიმონი დაწვა. მიუხედავად სიმთვრალისა, ხანჯლის სასთუმალთან შემოდება, არ დავიწყებია.

მამას უკვე სძინავს. ნიკო ადგა ფეხაკრეფით, მივიდა მამის ლოგინთან, ფრთხილად გამოაძრო სასთუმლიდან ხანჯალი, გადახადა საბანი და ისე მაგრად ჩაარტყა ხანჯალი გულში, რომ ხანჯლის ტარი სხეულს გადაეკდო.

ნიკომ სისხლიანი ხანჯალი წინდებზე დააწმინდა თავის ძმას ილოს, შემდეგ მას გადასცა ხანჯალი და უთხრა:

— როცა მოვლენ დასაკითხავად, შენ ეტყვი მე მოვკალი-თქვა.

ამ ხერხმა არ გასჭრა.

ნიკო ლუარსაბიშვილი დააპატიმრეს. ეს ამბავი მოხდა ახალსოფელში (თელავის მაზრა).

ლუარსაბიშვილი. გაასამართლა თელავის მაზრის სასამართლოს სესიამ, ამხ. **ზურკაძის** თავმჯდომარეობით.

ლუარსაბიშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ათი წლით, რაც ამნისტიით გაუნახევრდა.

კულაკების შურისძიება

ბახახეხი

ყარაია, 8 თებერვალი. სათემო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ხალილოვის მკვლელთა პროცესზე მხარეების კამათის შემდეგ სასამართლო გავიდა სათათბიროდ. ექვსი საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლის თანახმად **აჯი და გამიდ სოფიევებისადმი წარდგენილი ბრალდება** ცნობილია დამტკიცებულად და ბრალდებულებს **მიესაჯა სოციალური დაცვის უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა** ქონების კონფისკაციით. ამავე დროს სასამართლომ შუამდგომლობა აღძრა საბჭოთა კავშირის ცაკის წინაშე, რომ ბრალდებულთადმი არ იქნას გამოყენებული 1927 წლის 2 ნოემბრის ამნისტია.

სასამართლომ დააკმაყოფილა აგრეთვე მოკლულის ოჯახის სამოქალაქო სარჩელი 11.592 მანეთის რაოდენობით (ადს).

ხუთი „ფალავანი“

გიორგი კოზაშვილი, მირიან მებუკე, ალექსანდრე ლანდია, ვახტანგ ჯიჯავაძე და **„ხერიოფა“ ბაინდუროვი,** ერთმანეთის ღირსეული ამხანაგები არიან. წლოვანობითაც არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათი შეიძლება ითქვას: „ხუთნი არიან, ტოლნი არიან, ერთად თრებიან, ილანძღებიან“.

ერთი მათგანი, სახელდობრ, მებუკე, როგორც მან სასამართლოში განაცხადა, „უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ემზადება“.

ჯერჯერობით ასეთი „წარმატებები“ აქვს მებუკეს: სამჯერ იჯდა საბრალდებლო სკამზე. ერთი თვეა. რაც „კურსი დაამთავრა“ გამასწორებელ სახლში.

ლანდიაც პირველად არ არის საბრალდებლო სკამზე. დანარჩენებს კი უფრო ნაკლები „ცოდნა“ აქვთ მიღებული ხულიგნობაში მაგრამ, თუ ასეთ „მუყაით“ ამხანაგებთან დარჩენ, ეჭვი არ არის დაეწევიან მათ.

სასადილოში ისხდნენ ეს „ფალავნები“ მათ გვერდით მეორე მაგიდაზე ვახშმობდნენ ს/ ბი. ღვინომ რომ სიცხე მისცა „ფალავნებს“, მეორე მაგიდაზე მიიტანეს იერიში დაუწყეს „ყბათ ალება“ მოქალაქეებს.

როცა ერთ-ერთ მოქალაქემ შენიშვნა მისცა მათ და სთხოვა დაწყნარებულიყვნენ მებუკემ „უკამანდრა“ თავის „რაზმს“:

— აბა, ბიჭებო, ერთად!

ფალავნები წამოცვივდნენ დაერიენ მეზობლებს. მებუკე იბრძოდა ჯორკოებით, ხოლო როცა მილიციელი გამოჩნდა მან მოქალაქე სარქისოვს (ერთ-ერთ მეზობელს) ისე მაგრად ჩაარტყა მუშტი თვალში, რომ უკანასკნელი სასწრაფო დახმარების ავტომობილით წაიყვანეს სასადილოდან.

სასამართლომ გუშინ გაასამართლა ისინი.

მებუკეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ორი წლით, კაზაშვილს და ჯიჯავაძეს — სამ-სამი თვით, ბაინდუროვს და ლანდიას— ორ-ორი თვით.

ხუთივე ახალგაზრდა „ფალავანი“ გაიგზავნა გამსახლში — „გამასწორებელ კურსებზე“.

ზერ.

ჭადრაკი

თბილისის მოჭადრაკეთა ტურნირი

უკანასკნელი ტური

უკანასკნელ ტურის ცენტრალური შეხვედრა. რომელმაც ფაქტიურად გადასწყვიტა პირველი სამი ადგილის ბედი, იყო პარტია **მარტიროსოვ-ტალვიკს** შორის (ესპანური პარტია)

მთელი პარტია გასხარებული და მწვავე იყო. მარტიროსოვმა, რომელიც თამაშობდა თეთრებით, ტალვიკის წინდაუხედველობით მოიგო პაიკი, რომლის ამოგებისათვის ტალვიკს დასჭირდა თავის მდგომარეობის დასუსტება. მარტიროსოვმა ისარგებლა ამით, შესწირა პაიკი და მიიტანა ტალვიკის მეფეზე ძლიერი იერიში. ამით მარტიროსოვს შეეძლო მიეღო მოგების კარგი შანსები, მაგრამ სრულიად უბრალოდ დაკარგა მეფის სვლებით ორი ტემპი. რითაც მისცა საშუალება ტალვიკს გაემაგრებია თავის მეფის პოზიცია, რის შემდეგაც მარტიროსოვის შეტევაზე გადასვლის ყველა ცდებმა უშედეგოდ ჩაიარა.

თავის მხრივ ტალვიკი გადავიდა კონტრშეტევაზე და რამდენიმე სვლით გადასწყვიტა პარტიის ბედი თავის სასარგებლოდ. ამ მოგებით ტალვიკმა გაუსწრო თავის მოცილეებს ერთი ერთეულით და მოიხვეჭა 1 თბილისის 1928 წლის ჩემპიონის სახელი.

გოგლიძე—მალუწცევი (ინგლისური დაწყება). მე-11-ე სვლაზე გოგლიძემ გაცვალა ლაზიერები, რითაც წაართვა მოპირდაპირის მეფის როქის საშუალება. რამდენიმე სვლის შემდეგ მან აიძულა მალუწცევი შეეწირა პაიკი, რათა თავს აეცდინა გოგლიძის შეტევა. ზუსტი თამაშით გოგლიძემ გაცვალა [illegible] ყველა ფიგურები და აიძულა მოპირდაპირე პაიკის ლაზიერად გასვლის მუქარის ქვეშ დანებებულიყო.

კარლინსკი—სიროკინი. (სიცილიური თამაში). კარლინსკიმ დასაწყისში მიიღო უფრო თავისუფალი თამაში და [illegible] სიროკინის მეფეზე. მაგრამ ვერ გაარკვია პოზიციაში და დაიწყო იერიში იტლებით სწორედ იმ ხაზზე, რომელზედაც შეტევა არაფერს არ იძლეოდა. სიროკინი კარგად იცავდა თავს. დროზე გაცვალა ლაზიერები, მოიგერია კარლინსკის შეტევა და მოიგო ფიგურა, რის შემდეგაც კარლინსკი დანებდა.

დანილოვ-ებრალიძე (მეფის გამბიტი). დანილოვმა ალბათ მოისურვა ძველი მაესტროების სტილის აღდგენა, მით უმეტეს, რომ მისი მდგომარეობა ტურნირში ნებას აძლევდა გაეკეთებია ყოველგვარი [illegible] მეფის გამბიტის საწინააღმდეგოდ უპასუხა ფალკბეერის კონტრ-გამბიტით და შესწირა ორი პაიკი, სამაგიეროდ—კი მიიღო ძლიერი იერიში დანილოვის მეფეზე. რკუს უმიზნო დ ხევით ებრალიძემ ამოიღო ერთი პაიკი. შემდეგში ღრმათ მოფიქრებული და ლამაზი კომბინაციით ამოიგო მეორე პაიკიც და იმდენად შეასუსტა დანილოვის პოზიცია, რომ აიძულა დანილოვი დაეკარგა მესამე პაიკი და მასთან ერთად პარტიაც.

კასპარიან— ტარაიან. (ფრანგული პარტია) კასპარიანმა აირჩია ამ პარტიაში გაცვლითი ვარიანტი. რომელიც იძლევა თანასწორ მდგომარეობას. მაგრამ შუა თამაშში კასპარიანმა უყურადღებობის გამო დაკარგა ხარისხი და უიმედო წინააღმდეგობის შემდეგ დანებდა.

უკანასკნელ ტურის შემდეგ ადგილები ასე განაწილდა:

პირველი ადგილი და ჩემპიონის სახელი—**ტალვიკ** +7 ნახ.. მეორე და მესამე ადგილი გაიყვეს **გოგლიძემ** და **სიროკინმა** +6 ნახ. მეოთხე ადგილი— **ებრალიძე** +6, მეხუთე—**მალუწცევი** + 4 ნახ., **ტარაიანი** +4. **მარტიროსოვი** + 3 ნახ.. **კასპარიანი** +3. **კარლინსკი** +2 ნახ., **დანილოვი** + 1.

თბილისის ყოფ. ჩემპიონმა **გოგლიძემ** შეიტანა განცხადება ოფიც. ფიზკულტურის საბჭოს საჭადრაკო სექციაში ტალვიკის მატჩზე გამოწვევის შესახებ. ამ დღეებში ეს საკითხი განხილული იქნება საჭადრაკო სექციის სხდომაზე.

ვ. გოცირიძე.

გზის ოსტატების კურსები

საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოსთან გაიხსნა გზის ოსტატების მოსამზადებელი და გადასამზადებელი კურსები.

მოსამზადებელ კურსებზე მეცადინეობს 30 კაცი. ყველა—გზის შემკეთებელი მუშები. კურსებზე მეცადინეობა იწარმოებს ოთხ-ოთხ თვეს სამი წლის განმავლობაში.

გადასამზადებელ კურსებზე ირიცხება გზის რვა ოსტატი. სამეცადინო კურსი ოთხი თვით განისაზღვრება.

კურსანტები უზრუნველყოფილი არიან ბინით, განათებით, გათბობით.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 9 თებერვალი

დღეს 9 თებერვალს, რადიო-მუშაკთა დასასვენებელი დღეა, გადაცემა არ იქნება.

პარასკევი, 10 თებერვალი

10 თებერვალს თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მებაღეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში—ქართულ ენაზე.

მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—რუსულ ენაზე.

წითელი არმიის ეროვნულ ნაწილების მშენებლობა ამიერ-კავკასიაში—თურქულ ენაზე.

საუბარი ბიოლოგიაზე—რუსულ ენაზე.

გლეხთა ახალგაზრდობა და რელიგია—რუსულ ენაზე.

როგორი უნდა იყოს ადამიანის ბინა და ტანთსაცმელი—თურქულ ენაზე.

კომკავშირის გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“—ქართულ ენაზე.

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

ტრანსლიაცია მოსკოვიდან.

მეცნიერება და ტეხნიკა

ინსულინი ქირურგიაში

გამონაყოფი კუჭის ქვედა მდებარე ჯირკვალიდან ე. წ. „ინსულინი“, რომელმაც ფართო მოხმარება ჰპოვა უკანასკნელ წლებში დიაბეტიან—შაქრის ავადმყოფობასთან ბრძოლაში, იპყრობს მედიცინის სულ ახალ-ახალ დარგებს. ამ რამდენიმე ხნის წინათ საექიმო ჟურნალები იუწყებოდნენ, რომ ინსულინი კარგ შედეგებს იძლევა პათოლოგიური სიგამხდრის მკურნალობის დროს. უკანასკნელათ გერმანელმა ექიმებმა შენიშნეს, რომ ინსულინი საგრძნობათ აჩქარებს ქსოვილების აღდგენას ჭრილობებისა და ხორცის დაჭრილების დროს. სპეციალისტების აზრით, გერმანელ ექიმების აღმოჩენა ფართო პერსპექტივებს უშლის ინსულინის გამოყენებას ქირურგიაში და ოპერაციის შემდგომ მკურნალობაში.

ფრენის სისწრაფის ახალი რეკორდი

წარსულ წელს გამართა შეჯიბრება გიდროპლანების ფრენის სისწრაფეზე შნეიდერის ფიალის მოსაპოვებლად („შნეიდერის ფიალა“ არის გარდამავალი ჯილდო), რომლის დროს ერთმა ინგლისელმა, მფრინავმა გაიარა 425 კილომეტრი საათში და ჯილდოც მას ერგო. იტალიელები, რომელთა ხელში იყო წინათ [illegible] დამარცხდნენ და ენერგიულად შეუდგნენ მზადებას დაკარგული პირველობის დასაბრუნებლად. ამ რამდენიმე ხნის წინათ ვენეციაში მოიწვიეს საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის წარმომადგენელი, რომლის თანდასწრებით იტალიელმა მფრინავმა ბერნარდიმ დაამყარა სისწრაფის ახალი რეკორდი: თავისი ერთ-ადგილიანი აეროპლანით—„მაჩჩი 52“—მან გაიარა 478 კილომეტრი საათში. აეროპლანზე დადგმული იყო ფიატის სისტემის 900 ძალიანი მოტორი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბერნარდისთან ერთდროულად ამერიკელმა მფრინავმა უილიამსმა (ნიუ-იორკში) კირტხემის აეროპლანით გაიარა 510 კილომეტრი საათში, მაგრამ, ვინაიდან უკანასკნელ შემთხვევაში არ ყოფილა დაცული საჭირო ფორმალობა, პირველობა ფრენის სისწრაფეში ბერნარდის დარჩა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტ. მუშა-გლეხ ქალთა განყოფილება პარასკევს, 10 თებერვალს დილის 10 საათზე 8 მარტის დღესასწაულის ჩასატარებლად იწვევს თათბირს, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ანთიძე, აივაზოვი, ანდრიაძე, პელიაევსკი, ბუჯიაშვილი, ვარძიელი, გეგეჭკორი, ან. ძამაშვილი, გეგეშიძე, ს. ჯუღელი, კაზანოვი, კაკაბაძე, ს. მამულია, მაშკევიჩი, მამალაძე, მ. მულია, მგელაძე, მიხაილოვა, ორახელაშვილი, თენეიშვილი, ტოროშელიძე, ფრანგულიანი, ჩხარტიშვილი, ჩხიკვიშვილი, ჰელიძე, შავერდოვა, მალამიანი და გაზეთ „კომუნისტი“-ს, „მუშა“-ს და „ახალი სოფლის“ წარმომადგენლები.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომ. მუშა-გლეხ-ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ საოლქო, სამაზრო და თბილისის ორგანიზაციის **მ. გ. ქალთა განყოფილებების გამგეთა თათბირი** შესდგება **15 თებერვალს,** დილის 9 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცკას შენობაში (ოთახი № 42).

შაბათს, 11 თებერვალს, აგიტპროპმუშაკის ცენტრალურ კაბინეტის შენობაში შესდგება შემდეგ პოლიტსკოლათა ხელმძღვანელების მეცადინეობა.

საღამოს 6 საათზე პარტწლის პირველ საფეხურის პოლიტსკოლათა ხელმძღვანელების. საღამოს 7 საათზე პარტწლის მეორე საფეხურის, საღამოს 8 საათზე ოქტომბრის გაწვეველთა პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა მეცადინეობა.

დღეს, 9 თებერვალს, საღამოს სრულ 5 საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტის პირველ და მეორე კურსთან არსებულ ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა.

ბიუროს წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

აგრეთვე უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები:

სიმონ მაქსიმეს ძე დარსანია, ვალერიან ნესტორის ძე ანდღულაძე, დავით ვარდენის ძე კორკოლაძე. ვახტანგ ვლადიმერის ძე ჩხენკელი, ეკატერინე შიოს ასული მეშველიშვილი, ოქროპირ ნიკიფორის ძე ბერიძე. გიორგი იასონის ძე ბობოხიძე, გიორგი ევგენის ძე იუკიშვილი.

დღეს, 9 თებერვალს, ნაშუადღევს 4 ნახ. საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტის პარტკოლექტივის და კომკავშირის გაერთიანებული კრება (აუდიტ. № 58). დასწრება აუცილებელია.

სახ. უნივერს. სოც. ეკონომ. ფაკულტეტის მესამე და მეოთხე კურსის ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, შუადღის 12 საათზე.

ბიუროს წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაკის ცენტრ. კაბინეტში, დღეს, 9 თებერვალს, საღამოს 6 საათზე შესდგება სვერდლოვის სახელობის კომუნივერსიტეტისათვის გამოყოფილ ამხანაგების თათბირი.

აუცილებლად უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: დ. ფანცულაია, ვ. მზარეულიშვილი, ტერ-ვართანოვი. მორჩილაძე, გეგეშიძე. ეკ. მიხაილოვა, კოჩოლაშვილი, ბურეში, [illegible], ხიჩიკიანი, ფირიაშვილი, ბუჯიაშვილი, რუხაძე, მღებრიშვილი, ვოლკოვი, ალიხანოვი, გორდელაძე, გაბაშვილი, ოგანეზოვი, ხვედელიძე, ფირალიშვილი და მაჩაიძე.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-გამანაწილებელი განყოფილება ხელმეორედ სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 9 თებერვალს დილის სრულ 10 საათზე თბილისის კომიტეტის აღნიშნულ განყოფილებაში (ოთახი 9) ამხ. [illegible]:

მადანსკი ეკ, ხალათიანი გიორგი, დადაევა ელიზავეტა, დაშნიანი ბარნაბე, აგაშენაშვილი სიმონ, კაკაბაძე ვლადიმერ, ებრაელიძე სერგო, სუკისოვა მარია, კოვალენკო ანასტასია, ადანსკოვი აპოკრატ, გაზაევა ევა. ტაკნიაშვილი ლევან. ჩიტიძე ვასილ. თავართქილაძე ქსენია, ლობელაძე რომანოზ, ბზეკალავა სევერიანე, ბოლქვაძე ნინა, პოლიანი ლუარსაბ. ფირალოვი ივანე, ასაშვილი ალექსანდრე. ზამთარაძე აკაკი, საგარელი ქეთევანი, ბზიაშვილი ნიკოლოზ. კონოპკო ვერა. გოძიაშვილი ილია, თოიძე მარო, ბაქურია ივანე, გიორგობიანი ალექსანდრე, დალაქიშვილი მიხეილ. შომახიძე მიხეილ, კულარდავა ივანე, გოგუა კირილე, შენგელია ელპიდა, გაბუნია მიხეილ, სიხარულიძე მიხეილ, არალოვა ლუსიკ. სირაძე აპოლონ, დზისა ნიკოლოზ. ბეიერი ვსევოლოდ, დევითიანი გიორგი, ჩხაიძე ალექსანდრე, რეზნიჩენკო აკიმ. კოსიი ანტონ, ლობჟანიძე ალექსანდრე. გვარჯალაძე ერმილოზ. ეშაძე კონსტანტინე, სიხარულიძე ნესტორ. სერგეევი მიხეილ. ნერსესიანი ნესტორ. გალკოვიჩი ესთერ, დულკოვსკი ბორის. კლოჩკო ივანე, რეჩენოვსკი ვენიამინ, ვანიევი ამბაკ. ბალიაშვილი ალექსი, სანაძე ვარლამ. ხუციშვილი, ტელეში ბაკურაშვილი ვალერიან. ზანტონიანი სენექტორი. რაჩნოვი ნაუმ, სემენიკური სანდრო, კალაძე ანეტა, კიკაშვილი გიორგი, კაზინცევი ალექსანდრე, ჭანტურია ვასილ. კაშაკიძე დავით, არამოვი არშალიუს. მინასიანი შუშანა, მანაგაძე ფილიპე, ხოხიაშვილი შალვა. კაციტაძე სერგო, ხაჩატუროვი [illegible], გორგასლანიძე ალექსანდრე. ბიბილური ივანე. ჩოლოშვილი სიმონ. დემუროვი გარიბ, კალანდაძე ნიკოლოზ. კულიაპინი ალექსანდრე. ბახტაძე იოსებ. ვართანოვი ლევან, კინცაძე ალექსანდრე. კანანოვი გიორგი. კევხიევი, გამსახურდია კარლო. ბურდული ივანე. კარავოლტოვსკაია, აფშილავა პლატონ ნამუკაროვა ვალენტინა, კაპანაძე-პეტროვა ფეოდოსი. და ტადიევი ეგნატე გიორგის ძე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 1 იანვარს, შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან: ალექსანდრე ცხუბაევი, ოგანეზ მალიანცი, მარიამ თოიძე, იოსებ მალალაშვილი. ალექსანდრე კასაშვილი, მარგარიტა ჯანელიძე, საშა კვინტრაძე, მარიამ მუსაელიანი, ირაკლი ძაგანია, ლევან თაყაიშვილი, ამბროსი ჩხეიძე, გრიგოლ სიხარულიძე, აგრაფინა ჯალაღანია და ვარლამ ყრუაშვილი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ბუაძე, ეკატერინე მორუელიძე, ვლადიმერ [illegible]კვიანი, ალექსანდრე ჩხარტიშვილი, ეკატერინე დიაჩენკო და რისიმე გაბელაშვილი.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: სულხან აზატიანი და აკაკი ძებაძე. ზემოაღნიშნული უმუშევრები უნდა გამოცხადდნენ თბილისის შრომის ბირჟაში დილის 8 საათისათვის.

კვალიფიციური მუშების მომზადება

თბილისის შრომის ბირჟამ შეადგინა შრომის ბირჟაში აღრიცხულ უმუშევართა სია. რომლებიც ჩაწერილი არიან, როგორც კვალიფიციური მუშები. სიაში შეტანილ მუშების ცოდნის შესამოწმებლად დანიშნულია პრაქტიკული და თეორიული გამოცდები მრეწველობის ცალკე დარგების მიხედვით.

შრომის ბირჟის გეგმით, ის უმუშევრები რომლებიც დამაკმაყოფილებლად ჩააბარებენ გამოცდებს, პირველ რიგში გაიგზავნებიან სამუშაოზე ფაბრიკა-ქარხნებში და წარმოებებში. სულ გამოცდა უნდა ჩააბაროს 3036 კვალიფიციურმა უმუშევარმა. მრეწველობის ცალკე ჯგუფების მიხედვით გამოცდებში უნდა გაიარონ 550 მელითონე. 84 ხის დამამუშავებელი, 148 თერძი, 322 მკერავი, 308 სურსათ-გემოვნების მუშაკი, 327 მეტყავე. 22 ქიმიკოსი. 4 მიწისა და ფაიფურის მუშა, 168 მბეჭდავი. 521 მშენებელი. 9 სამთო-მადნო მუშა, 137 ადგილობრივი ტრანსპორტის მუშა 190 სახალხო კავშირის მუშაკი. 146 ადმინისტრატიულ - ტეხნიკური პერსონალი.

იურიდიული დახმარება

„პროლეტარს“

კითხვა:

საქ. ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წ. მარტის 7 თარიღის და 30 № დადგენილების ძალით. თემაღმასკომებზე დაქვემდებარებულ საქმეები, [illegible] 7 ნოემბრამდე დანაშაულის ჩადენას ა.-წ. 7 ნოემბრის ამნისტიით მთლად ისპობიან თუ დამნაშავეთ ხდებათ ტყეზე მიყენებული ზარალის ღირებულება?

პასუხი:

ამნისტია ვრცელდება იმ საქმეებზე, რომელიც სასამართლოს ან ადმინისტრატიული წესით განხილული უნდა იქნეს. მაშასადამე—იმ საქმეებზედაც, რომელიც თანახმად 1927 წ. 5 მარტის № 28 საქ. ცაკის და ს. კ. ს. დადგენილებისა გადაეცა თემაღმასკომებს მხოლოდ ეს ამნისტია არ ვრცელდება სისხლის სამართლის საქმის სამოქალაქო შედეგებზე, კერძოდ—სატყეო საქმეების იმ ნაწილზე, რომელიც შეეხება უკანონოდ მონაპოვარის ჩამორთმევას და ზარალის ანაზღაურებას.

კითხვა:

ამა თუ იმ თემში დარიგდა გლეხებზე 1924—25 წელში სათესლე, საკვების ან ფქვილის შესაძენი სესხები. მილიცია, 7 ნოემბრის ამნისტიის გამოქვეყნებამდე ახდევინებდა ამ სესხებს—ეხლა—კი შეაჩერა ასეთი, მიუხედავად, რომ შემდგომ ორგანოებიდან მას არ აქვს ამის შესახებ განკარგულება—აქვს თუ არა მილიციას უფლება იმოქმედოს ისე. როგორც ეხლა მოქმედობს თუ თანაც უნდა ელოდოს მის ზემდგომ ორგანოდან ცალკე განკარგულებას.

პასუხი:

მილიცია მოქმედობს დამოუკიდებლად და არ არის ვალდებული უცადოს ზემდგომ ორგანოების განკარგულებას 7 ნოემბრის ამნისტიის შეფარდების შესახებ მხოლოდ თავის მოქმედების შესახებ ის ვალდებულია აცნობოს სათანადო ხელისუფლებას.

ზუგდიდის მაზრის პროფბიურო, დამზღვევი სალაროს გამგეობა და მიწატყის პროფკავშირი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 30 იანვარს ქ. ზუგდიდში მოულოდნელად გარდაიცვალა ხის დამამუშავებელთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე და დამზღვევი სალაროს გამგეობის წევრი

ამხ. ნიკოლოზ ჭითაშვილი

დაკრძალვა მოხდა დ. ანაკლიაში შაბათს 4 თებერვალს 1377

სამუდამოთ გულდათუთქული, გამოუვალ მწუხარებაში მყოფნი მეუღლე შარინოზი მანუჩარის ასული, შვილები: სერაფიმა, ნინა, ვანიჩკა, სოსიკო, ალექსანდრე, ლიდა, სონია და რძალი ოლია სიმონის ასული აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს და ნათესავებს უსაყვარლესი

თეოფანე ივანეს ძე

ნადირაძის

უეცრად გარდაცვალებას ქ. ქუთაისში დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1372

სამუდამოთ გულმოკლულნი და თავზარდაცემულნი ალექსანდრე თეოფანისძე და ოლია სიმონის ასული ნადირაძეები გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს მათი უსაყვარლესი მამის

თეოფანე ივანეს ძე

ნადირაძის

უეცრად გარდაცვალებას ქ. ქუთაისში დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1372

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნინო პეტრეს ასული კორინთელისა; შვილები: ვანო, გიგო, ავთანდილი, ეთერა და ნათელა; ძმა: ილია ფირანისძე კორინთელი ცოლით, და სონა კობიაშვილისა ქმარ-შვილით, ძმისწულები სიმონი, კოლა, ელენე და ქეთო აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ა/წ. 7 თებერვალს დილის 7 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

სოლომონ ფირანის ძე

კორინთელი

დაკრძალვა მოხდება ა/წ. 10 თებერვალს პარასკევს, ნაშუადღევის 4 საათზე წმინდა ნინოს სასაფლაოზე გამოსვენება ნაძალადევიდან, კონტუატის ქ. № 1 1365

სახელმწიფო გამომცემლობა
მოითხოვეთ ახალი წიგნები

მაურერ—ქვეითი ჯარი და მისი [illegible] მუშაობა. გვ. 82, ფასი 20 კ.

ლაგოვსკი—არტილერიის ქვემეხები და ყუმბარები. გვ. 80, ფასი 30 კ.

ნიკიფოროვი—ავადმყოფი შამხანა. გვ. 48, ფასი 30 კ.

საშიშია თუ არა ჩვენთვის სამხედრო ტეხნიკა. გვ. 20, ფასი 10 კ.

ა. 429
25- 3

ორშაბათიდან 13 თებერვლიდან
კინო თეატრებში
აპოლო, —სოლეი,
მინიონი, —პროლეტარი
საქართველოს სახკინმრეწვის მხატვრული ფილმი

ქალი ბაზრობიდან

რეჟისორი—ზ. მაკაროვი
ოპერატორი—ვ. ენგელსი

მომქმედი პირნი:
ქალი— ბელა ბელეცკაია
ის — ა. ვასაძე
ქმარი— ა. მუხუსიძე
ნ. 595

აპოლო	მონოპოლურად პრემიერა გამოშვ. 28 წ. **მოჯადოებული კუნძული**
არფასტო	ამერიკის საუკეთესო მსახიობი ქალი ლესტრია ჯაი მხატვრულ შედევრში **მუდამ უცხონი**
სოლეი	სეზონის ახალი სურათი **ბოქსიორი უნებლიეთ** მთავარ როლში ცნობილი სპორტსმ. **რიჩარდ ტოლმეჯი**
დარბაზი	საუკეთესო სურათი **„ორში რომელი“** კარლო ალდინის მონაწილეობით
ოდეონ	უკანასკნ. თბილისში ჟ. ანჟელო და ფრ. ბერტინი მხატ. შედევრში **მონტე კარლოს აღსასრული**
პროლეტარი (ავლაბარში) 0—7	მსოფლიო შედევრი **მხდალი**

სახკინმრეწვის თეატრები

[illegible] ორშაბათიდან 13 თებერვლიდან ქალი ბაზრობიდან საქართ. სახკინმრეწვის საწარმ.

ცირკი
„[illegible]“
ტელეფ. № 8—64
ნ. 592 1—1

ხუთშაბათს 9-ს, პარასკევს, 10-ს, შაბათს 11-ს და კვირას 12 თებერ.
სენსაციური სანახაობანი მსოფლიოში სახელგანთქმულ
ცხოველების მწვრთნელის
ანატოლ ანატოლის-ძე დუროვის
გამოსვლა ახალი ტრიუკებით და მხეცებით. პირველად კენგურუ ბოქსიორი
მთელი დასი და ახალი გასტროლიორები
კვირას, 12 თებერვალს ორი სანახაობა დღისით ნაშუადღევის 2 საათზე და საღამოთი 8 ნახ. საათზე ა. ა. დუროვის და მისი ახლად ჩამოსული ცხოველების მონაწილეობით
დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რეჟ. კ. გროდზიცკი. ადმინისტრატორი მ. ტადე.

საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით გამოშვებულია

„სოფლის მეურნეობის გასაძლიერებელი“

შინაგანი სახელმწიფო მომგებიანი სესხის ობლიგაციები

100 მილიონი მანეთისა

სესხის ობლიგაციები 3 წლის ვადით არის გამოშვებული, 1931 წლის თებერვლის 1-დე.

1929 წლის თებერვლის 1-დან სესხის ობლიგაციები მიიღება სასოფლო სამეურნეო გადასახადისა და სავალდებულო დაზღვევის შენატანის ანგარიშში.

ობლიგაციის მფლობელს შემდეგი უპირატესობა აქვს:

1) წლიურ სარგებლად ღებულობს 6 პროცენტს.
2) მონაწილეობას ღებულობს ობლიგაციების გათამაშებაში, რომლის დროსაც შეიძლება მოიგოს 50 მანეთიდან 1000 მანეთამდე.

თვითეულ ტირაჟში გათამაშდება:

40 მოგება 1.000 მანეთიანი, 12.000 მოგება 100 მანეთიანი
200 მოგება 500 მანეთიანი, 43.200 მოგება 50 მანეთიანი.
სულ იქნება 55.440 მომგებიანი ბილეთი - 3.500.000 მანეთისა.

ამ სამი წლის განმავლობაში ასეთი გათამაშება მოხდება ექვსჯერ. გათამაშებული იქნება სულ 332.640 მომგებიანი ბილეთი.

მოგების საერთო ჯამი 21 მილიონ მანეთს უდრის.

სამი წლის განმავლობაში ყოველ 30 ობლიგაციიდან ერთი ობლიგაცია იგებს.

ერთი ობლიგაცია ღირს 10 მანეთი.

ობლიგაცია 4 ნაწილად იყოფა, თითო ნაწილი ღირს 2 მან. 50 კაპ. ერთი ობლიგაციის თვითეულ ნაწილს ერთნაირი ნომერი აზის და ცალკეც იყიდება. ეს ნაწილი უფლებას იძლევა მთელი მოგების მეოთხედი ნაწილისა და კუთვნილი სარგებლის მიღებისას.

ობლიგაციები იყიდება ნაღდ ფულზე ყველა ფინგანყოფილებებში, ბანკებში, შემნახველ სალაროებში, თემების, დაირების და საუბნო აღმასკომებში, სოფლის საბჭოებში, საკრედიტო ამხანაგობებში და სხვა დაწესებულებებსა და კერძო პირებთან, ვისაც კი ეს საქმე ექნება მინდობილი.

ნ. 596

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონის და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის. რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, [illegible] ქ., № 20 25—4

კბილის ტეხნიკოსის წოდების მისაღებად გამოცდები შესდგება კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე მხოლოდ ამა წლის ივნისში კურსების პროგრამით. თხოვნის შეტანა შეიძლება კურსებზე (პლეხანოვის პროსპ. № 126) იანვარში გამოცდები არ შესდგება. დაწვრილებითი პირობები გამოქვეყნებული იქნება ა. წ. მარტში.
კბილის ტეხნიკოსთა კურსების გამგე პროფ.
25—18 ბ მ მუხაძე

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი, ავადმყოფობას, ხიფილისს, და ის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სისხლი, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დილის 1 საათამდე და 4 ნ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამო 7—8 საათამდე 13—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, ხიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე მოსაცდელი. სასტუმრო „ევრო ა“ ყოფ. „ხოის“, პირდაპირ ჩოდრიშვილის [illegible] № 3.

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—15

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. ბ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—60 25—

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82

ექიმი **მებრაბიანცი**
ფილტვების ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილის 9—1 და საღ. 6—8 საათზე.
ენგელსის ქ. № 23. (ყოფ. ბებუთოვის) 25—1

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.
იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდმთავრის ქ.) 25 - 18

ექიმი **ს. ი. ანდრეევა**
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ტელეფ. 11—78

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
ხიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე საღამოთი 5—8 ს-მდე. ქალების 7—8 ს-მდე. ელისაბედის ქუჩა. № 3. 25—1[illegible]

კბილის ექიმი
დავით სავვატის ძე
რიქიაშვილი
კბილების და პირის სნეულება, ლითონის კბილები და ყოველგვარი ხელოვნური კბილები ავადმყოფთა მიღება: 10—2 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის და ლენინის მოედანის კუთხე.

ექიმი
ნ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალთა სნეულებით ყოველდღე, გარდა კვირისა 3- 5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის) 25 1

დაკარგა: სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი № 97[illegible] გაცემული ხი[illegible] რაიონის სამხედრო მაგიდის მიერ ლეონტი ალექსის-ძე ჯალაღანიას სახელზე. ჩ. გ 1370

დაკარგა: სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ფ. № 3, მიხეილ ჩარხაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1371

დაკარგა მიწა-ტყის კავშირის საწევრო წიგნაკი № 16204 მოცემული ქვემო-მაჩხაანის მიწა-ტყის კავშირის რაი-ადგილკომიდან სოსო ლევანის-ძე შიხაშვილის სახელზე ჩ. გ. 1373

დაკარგა მე დავით დეკანოსიძემ სუფთა სამშაურიანი თამასუქი ხელმოწერილი წიფაში მცხოვრებ დავით ლევანის-ძე ლოლაძის მიერ, ჩ. გ. 1369

დაკარგა სამხედრო მოწმობა მოცემული ლანჩხუთის სამხედრო მაგიდიდან შალვა ივანეს-ძე ფირცხალაიშვილის სახელზე ჩ. გ 1370

დაკარგა ლომბარდის ქვითარი № 25159 ოლღა ჯალაღანიას სახელზე, ჩ. გ. 1371

დაკარგა: პირადობის მოწმობა ბახვის თემის აღმასკომის მიერ გაცემული რადიონ იგივე ბარდღუ მანუჩარის-ძე ფაღავას სახელზე, ჩ. გ. 1366

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი ზაქარია გვრიტიშვილის სახელზე მოცემული ქაშვეთის ეკლესიიდან, ჩ. გ. 1366ა

დაკარგა: პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 566254 მოცემული ტყიბულის სამთო-მადნო მუშათა კავშირის ქვე-რაიკომიდან დავით მელიტონის-ძე მინდიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1369

დაკარგა: ვინაობის წიგნაკი № 129; 1642 გაცემული ნიგოითის აღმასკომიდან სილიბისტრო ივანეს-ძე ტოროტაძის სახელზე ჩ. გ 1369

დაკარგა ხის დამამუშავებელთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 1736, გაცემული ზუგდიდის სამაზრო განყოფილების მიერ, გერონტი კიკალიშვილის სახელზე, ჩ. გ 1364

დაკარგა პირადი წიგნაკი, გაცემული ნე-2 უბნის სამხედრო მაგიდის მიერ კოსტა გიორგის-ძე ფხაკაძის სახელზე ჩ. გ 1362

დაკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი მიღებული მე-3 უბ. [illegible] მაგიდიდან იონა გუბელაძის სახელზე, ჩ. გ. 1361

დაკარგა ფიზიკო მათემატიკური დარგის 1-ლი კურსის სტუდენტის მოწმობა N. 152 [illegible] გიორგის ძე ძამუკიას სახელზე. ჩ. გ 1360

[illegible] სტამბა, [illegible]